წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დილის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

— „განიარაღების" კონფერენციაზე ტარდიემ ულტიმატიურად მოითხოვა საფრანგეთის პროექტის მიღება.
— იაპონიის იმპერიალიზმი ჟენევაში - [illegible]
— ამხ. რუხუტაძის სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პლენუმზე.

ოთხშაბათი, 10 თებერვალი 1932 წ. ყოველდღიური გაზეთი № 34 (3288) ფასი 5 კაპ.

მეორე ხუთწლედის შესახებ

ამხ. კუიბიშევის მოხსენება XVII პარტკონფერენციაზე*)

რაიონების განვითარება მეორე ხუთწლედში

მე ახლა საკმაოდ ძნელ ამოცანას ვკისრულობ. უნდა გადავშალო სახალხო მეურნეობის განვითარების სურათი ცალკე ოლქებისა და მხარეთა მიხედვით. ეს ამოცანა მით უფრო ძნელია, რომ მუშაობა ხუთწლიანი გეგმის შესადგენად ჯერ კიდევ პირვანდელ სტადიაშია.

რა თქმა უნდა, ყოველნაირად უნდა გავაფრთხილოთ, რომ ხუთწლედის ეს რაიონული განაკვეთი უაღრესად საორიენტაციო ხასიათისაა.

უშენიშვნოთ და მტკიცედ ვილაპარაკებ იმ მშენებლობებსა და სამუშაოებზე, რომლებიც პირველ ხუთწლედში დაიწყო, ხოლო დამთავრდება მეორე ხუთწლედში და სათანადო შენიშვნებს გავაკეთებ, როცა ვილაპარაკებ წინასწარ ვარაუდზე, რომელიც გულდასმით უნდა იქნას დამუშავებული ოლქებსა და მხარეებთან ერთად. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას სახალხო მეურნეობის საერთო ინტერესები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ეს ვარაუდი შევიდეს მეორე ხუთწლიან გეგმაში.

ხუთწლიანი გეგმის საოლქო და სამხარეო მასშტაბით შედგენის საჭიროებას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს.

უკვე პირველ 5 წლედში ჩვენ შევუდექით არა მარტო ცალკე საწარმოების მშენებლობას, რომელთა არსებობას შეიძლება ადგილი ქონდა ყველა რაიონში, არამედ კომბინატების მშენებლობასაც, რომელნიც აუცილებლად უნდა ეყრდნობოდენ ენერგეტიკის და ნედლეულის ფართო ბაზას. ამ კომბინატებს, ე. ი. მთელ რიგ წარმოებათა გაერთიანებას, ზოგჯერ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ რამოდენიმე სახის ნედლეული და ისინი ულრმეს გავლენას ახდენენ რაიონის მთელს ეკონომიკაზე. მეორე ხუთწლედში უმთავრესად გაიშლება ამ კომბინატების მშენებლობა, რომელნიც, თავის მხრივ, სათანადო დარგებში იწვევენ ერთი წარმოების მეორესთან დაკავშირებას. თუ შენდება მსხვილი მეტალურგიული ქარხანა, საჭიროა აქვე გამოვნახოთ ქვაკირის საბადო და მოვაწყოთ მისი დამუშავება. თუ შენდება მსხვილი მეტალურგიული ქარხანა, იქ აუცილებლად უნდა აშენდეს ხორცის კომბინატი, ყოველ შემთხვევაში პურის ქარხანა და სხვ.

ერთი სიტყვით, ამ მსხვილ კომბინატ-ბუმბერაზების მშენებლობა, რომელიც არსებითად ერთბაშად იწვევს მსხვილი სამრეწველო ცენტრის, მთელი ქალაქის ორგანიზაციას, უნდა დაუკავშირდეს ამა თუ იმ რაიონის ამა თუ იმ ოლქის მთელი ეკონომიკის დაპროექტებას. წარმოებათა კომპლექსი შემცველი დიდი კომბინატების, დიდ საწარმოების მშენებლობის ტენდენცია, რა თქმა უნდა, უფრო გაძლიერდება მეორე ხუთწლედში. ამიტომ მეორე ხუთწლიანი გეგმის დაპროექტების მოწყვეტა რაიონული გეგმისაგან, საოლქო გეგმისაგან არა თუ სწორი არ იქნება, არამედ მეტად საშიშიც იქნებოდა, რადგან ჩვენ მთელ რიგ რაიონებში მივიღებდით ადგილობრივ დისპროპორციას, რომელიც შემდეგ [illegible] უნდა გამოვასწოროთ.

კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში მეორე ხუთწლედისათვის განისაზღვრება 140-150 მილიარდი მანეთით. ეს მშენებლობის ისეთი უდიდესი მაშტაბია, რომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ მრეწველობის გეოგრაფიული განაწილების საკითხებს, ათჯერ გავზომოთ, სანამ გადავსწყვეტთ, სად უნდა აშენდეს ესა თუ ის ქარხანა. ეს გარემოებაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. და როცა, მუშაობის ახლანდელ სტადიაში, მე მხარს უჭერ ამა თუ იმ საწარმოს აშენებას, მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას ამა თუ იმ მხარესა ან ოლქში, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ვიძლევი საბოლოო წინადადებებს. გეგმის უფრო დაწვრილებით დამუშავებისას გამოირკვევა—სად უფრო რაციონალურია აშენდეს ესა თუ ის ქარხანა.

ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიხელმძღვანელოთ რენტაბელობის ბურჟუაზიულ გაგებით. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მთელი სოციალისტური მეურნეობის ინტერესებით. ამ თვალსაზრისით ესა თუ ის მშენებლობა მიზანშეწონილი იქნება ამა თუ იმ რაიონში ტვირთის გადაზიდვის, ნედლეულის სიახლოვის, კვალიფიციური მუშახელის არსებობის, მზა საბინაო ფონდის არსებობის მიხედვით და სხვ. სხვა ადგილას ეს შეიძლება ნაკლებ სასარგებლო იყოს სახალხო მეურნეობისათვის. ამიტომ ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ, შევადაროთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოირკვევა თითეული მხარის საბოლოო ეკონომიური სახე.

შორეული აღმოსავლეთი

გადავდივარ მიმოხილვაზე ოლქების მიხედვით. დავიწყებ შორეული აღმოსავლეთიდან. შორეულ აღმოსავლეთის მხარეს, რომელიც პირველ 5 წლედში სუსტად ვითარდებოდა სხვა ოლქებთან შედარებით, მეორე ხუთწლედში უნდა ახასიათებდეს განვითარების ყველაზე სწრაფი ტემპი. მან უნდა შექმნას საკუთარი მკვიდრი ინდუსტრიალური ბაზა საშვალო ტიპის მეტალურგიულ ქარხნის აშენებით, რომელმაც მთლიანად უნდა უზრუნველჰყოს შორეული აღმოსავლეთის მოთხოვნილება. მე მხედველობაში მაქვს სუჩანის ქარხანა, სუჩანის საუცხოვოთ საკოქსე ქვანახშირის და ვოლგის რკინის მადნის საბადოს ბაზაზე, რომელიც სუჩანის მახლობლად იმყოფება. ეს შორეულ აღმოსავლეთის მხარეს საშვალებას მისცემს განთავისუფლდეს ურალის მეტალურგიაზე დამოკიდებულებისაგან, რაც მეტად მნიშვნელოვანი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. მართლაც, ლითონის ტრანსპორტი შორეულ აღმოსავლეთში—ეკონომიური აბსურდია, როცა იქ კარგი რკინის მადანი მოიპოვება. შორეულ აღმოსავლეთის მხარეში ვითარდება მძლავრი გემთმშენებლობა. ამ საქმის მნიშვნელობა ხაზსმით გასაგებია. უნდა განვითარდეს და გაუმჯობესდეს ყოველგვარი სახის ტრანსპორტი, განსაკუთრებით ურელსო და მდინარის, რომელიც იქ განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იმყოფება.

შორეულ აღმოსავლეთში ისე, როგორც არსად, განვითარდება საჰაერო მიმოსვლა. უნდა განმტკიცდეს თევზის მრეწველობა და საკონსერვო საქმე. სოფლის მეურნეობის დარგში, მარცვლეულის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების გარდა, უნდა განვითარდეს სოია, კანაფი, შაქრის ჭარხალი და ამ ბაზაზე—მრეწველობა, რომელიც გადაამუშავებს ამ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს უნდა მოიწყოს შაქრის ქარხნები, სოია-ზეთის ქარხნები და სხვ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შორეული აღმოსავლეთის მხარე ყოველგვარი სურსათის და ფართო მოხმარების მასიური საგნების მხრით გადაიქცეს ისეთ მხარედ, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას, კერძოდ მარილის მოთხოვნილებას. ესაც ეკონომიური აბსურდია, როცა ჩვენ მარილის შეტანა ვლადივოსტოკში გვიწევს შორიდან, ყირიმიდან, სამ ოკეანეზე გავლით, რომ თევზის მრეწველობა და მოსახლეობა ამ მარილით მოვამარაგოთ. ამავე დროს [illegible], რომ შორეული აღმოსავლეთის მხარის აქვს საშვალება იქონიოს მარილის საკუთარი წარმოება, თუ ამას სათანადო ყურადღება მიექცევა. [illegible] ეს ეკონომიური აბსურდი [illegible] და [illegible] უნდა მოისპოს არა თუ მეორე ხუთწლედში, არამედ უახლოეს დროშიც შორეულ აღმოსავლეთის მხარეში მძიმე ინდუსტრიის ხაზით, გარდა შავი ლითონისა, ვითარდება ოქროს მრეწველობა, ფერადი ლითონების ამოღება (ტეტიუხეში), ქვანახშირის ამოღება, რომელიც 10—12 მილ. ტონას მიაღწევს. ძალზე გადიდდება ნავთის ამოღება სახალინში და ქვანახშირისა—კამჩატკაზე. განვითარდება ხე-ტყის დამუშავება და საერთოდ სატყეო მრეწველობა, მათ შორის ხე-ტყის გადამმუშავებელი მრეწველობა. აშკარაა, იქ უნდა მოეწყოს ქაღალდის წარმოება და უნდა განვითარდეს ხეწვეულის საქმე. აი ის მიმართულება, რომლითაც განვითარდება შორეული აღმოსავლეთის მხარე. ყველა, ვინც იცნობს ამ მხარეს იტყვის, რომ რასაც ახლა ვვარაუდობთ, სავსებით გამოსცვლის აღნიშნული მხარის სახეს და გადააქცევს მას ისეთ მხარედ, რომელსაც ექნება მტკიცე ბაზა მთელი მეურნეობისათვის მაშინ, როცა ამჟამად ეს მხარე ყველა დარგებში დამოკიდებულია შეტანილ პურეულისა, შეტანილ ლითონისა, შეტანილ მანქანებისა, შეტანილ გემებისაგან და სხვ.

მხარის ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება მოხდება მოწესრიგებული გადასახლების ბაზაზე, რამაც მეორე ხუთწლედში მეტად დიდი მასშტაბით უნდა მიიღოს.

აღმოსავლეთ ციმბირი

აღმოსავლეთ ციმბირის მხარესაც, რომელიც შეინარჩუნებს უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო, უმთავრესად მეცხოველეობის რაიონის მნიშვნელობას, მეორე ხუთწლედში დიდი სამრეწველო განვითარება უნდა ახასიათებდეს. დასახულია, თუმცა, ეს ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, აშენდეს ჩერემხოვის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც უზრუნველყოფილია ახლომყოფი რკინის მადნის საბადო. (ლუჩიხის საბადო). ამ ქარხნის მნიშვნელობა. მგონია, სავსებით გასაგებია. აღმოსავლეთ ციმბირის მხარეს დღემდე არ ქონია მეტალურგიული ქარხანა. პეტროვსკის ქარხანა, რომელიც შენდება, რა თქმა უნდა, ბაზად ვერ ჩაითვლება, რადგან ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელო სიმძლავრითაა დაპროექტებული და მას აქვს მთელი რიგი უხერხულობა, რაც ხელს უშლის მის გადაქცევას დიდ ქარხანად. მაგრამ პეტროვსკის ქარხანას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივანებოთ თავი, იგი რაც არ უნდა დაჯდეს უნდა იქნას დამთავრებული, რადგან ეს საჭიროა აღმოსავლეთ ციმბირის სახალხო მეურნეობისათვის. თუ მას მივუყენებთ ბურჟუაზიულ რენტაბელობის პრინციპს, იგი სარფიანი არ არის, რადგან მოგვცემს ძვირად ღირებულ თუჯს, მაგრამ თუ საქმეს შევხედავთ სოციალისტური სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით, მაშინ თუჯის ამ მაღალი თვითღირებულების დროსაც ეკონომია, რომელსაც ჩვენ მივიღებთ ტრანსპორტზე, რაც ისედაც დატვირთულია და შემდეგში უნდა განიტვირთოს, — პეტროვსკის ქარხანა უნდა აშენდეს, ყოველშემთხვევაში დაპროექტებული სიმძლავრის ფარგლებში. არის ვარაუდი, რომ აღ. ციმბირში აშენდება ორთქლმავლების სარემონტო ქარხანა—შორეულ აღმოსავლეთის და ციმბირის რკინის გზების მოსამარაგებლად.

ჩერემხოვის ქვანახშირის ბაზაზე უნდა გატარდეს მსხვილი ელექტროფიკაცია და აშენდეს მთელი რიგი საწარმოები იმ სადგურის გარშემო—ხე-ტყის, სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად და სხვა. ალბად აშენებული იქნება ხორცის კომბინატი. მაუდის წარმოება იქ ფართოდ უნდა განვითარდეს ნედლეულის მკვიდრ ბაზასთან დაკავშირებით. შორეული ციმბირი მეორე ხუთწლედის განმავლობაში გადაიქცევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რაიონად, რომელიც საბჭოთა კავშირს მოამარაგებს ოქროთი, ფერადი ლითონით, ძვირფასი ლითონით, როგორიცაა ვოლფრამი, მოლიბდენი, რადიუმი ქარსი, გრაფიტი და სხვა.

შორეული ციმბირის მხარის წინაშე უფრო მეტად, ვიდრე შორეულ აღმოსავლეთის მხარის წინაშე, ყოველშემთხვევაში ისეთივე სიმწვავით სდგას ყოველგვარი სახის ტრანსპორტის განვითარების საკითხი, რათა ახალი სამრეწველო რაიონები დაუკავშირდეს ახალ ადმინისტრატიულ და ძველ სამრეწველო ცენტრებს. მე უკვე ვილაპარაკე, სოფლის მეურნეობის დარგში მდგარ ამოცანებთან დაკავშირებით, რომ აღმოსავლეთ ციმბირმა მეტად უნდა განავითაროს მარცვლეული კულტურები და მეცხოველეობა. მეორე ხუთწლედის გეგმის დამუშავების დროს ჩვენ ყოველნაირად უნდა შევისწავლოთ მდ. ანგარაზე და მის შენაკადებზე ჰიდრო-ენერგეტიული ცენტრის აშენების პრობლემა და ამასთან დაკავშირებული სამრეწველო საწარმოთა კომპლექსი. ეს პრობლემა მეტად რთულია და მისი გადაჭრა, რა თქმა უნდა, ხელაღებით არ შეიძლება. ის უნდა დამუშავდეს და მეორე ხუთწლედის შედგენის მომენტში უნდა გვქონდეს ესა თუ ის პასუხი იმ საკითხზე, შევა თუ არა იგი მეორე ხუთწლედში.

ურალ-კუზნეცკის კომბინატი მეორე ხუთწლედში საგრძნობლად უნდა განვითარდეს. პირველი ხუთწლედი ჯერ კიდევ ვერ ამთავრებს ურალ-კუზნეცკის კომბინატის შექმნას. კიდევ უნდა დამთავრებულ იქნას ძირითადი საწარმოები, აგრეთვე საწარმოები, რომელიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის მთელი უზარმაზარი კომპლექტის შეუფერხებელ მუშაობას. მხედველობაში გვაქვს ელექტრომშენებლობა, საბინაო და კომუნალური მშენებლობა, ტრანსპორტის რეკონსტრუქციის დამთავრება და სხვა, რომ არაფერი ვსთქვათ ისეთ საწარმოებზე, როგორიცაა საწარმოები, რომელნიც ამარაგებენ ურალ-კუზბასის ახალი სამრეწველო პუნქტების ქალაქების მოსახლეობას საკვები პროდუქტების მრეწველობა, სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობა და სხვა. ამიტომ ყველა რაიონები, რომელიც ურალკუზნეცკის კომბინატში შედიან, ბუნებრივია, ღებულობენ კაპიტალური დაბანდების ზრდის მეტად დიდ ტემპებს.

სოფლის მეურნეობა ურალ-კუზნეცკის კომბინატის რაიონებში უნდა გარდაიქმნას სპეციალიზაციის მიმართულებით, ამ ახლად შექმნილი სამრეწველო ცენტრების საჭიროებას და მოთხოვნილებასთან შეფარდებით. ასეთია საერთო ამოცანები, რომლებიც სდგანან ურალ-კუზნეცკის კომბინატის წინაშე.

ახლა ოლქების მიხედვით, ურალი უფრო გაიშლება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მძლავრ უმსხვილეს სამრეწველო ბაზად. ქვანახშირის ამოღება, როგორც უკვე ვთქვით, გადიდდება 25 მილიონ ტონამდე, რა თქმა უნდა, უდიდესი ზრდაა იმასთან შედარებით, რასაც ახლა ურალი იძლევა. ფართოდ უნდა გაიშალოს ენერგომშენებლობა. პირველი, უნდა დამთავრდეს მთელი რიგი ელექტროსადგურები, რომლებიც შენდება, კერძოდ ბერეზნიაკის, ტაგილის, კიზელის და ჩელიაბინსკის მეორე რიგი. განზრახულია კურგანის ახალი თბოსადგურის მშენებლობა.

განზრახულია ორი ჰიდრო სადგურის აშენება, მაგრამ მათი მშენებლობის დაწყების საკითხი ჯერ კიდევ სპეციალურად უნდა იქნას განხილული. ელსადგურების აგება განზრახულია მდინარე ჩუსოვაიაზე და კამაზე. რაც შეიძლება ფართოდ უნდა განვითარდეს სპილენძის და თუთიის ამოღება, ნიკელისა და ალიუმინის წარმოება ალპაევსკის ბოქსიტებზე. უნდა შეიქმნას მძლავრი ქიმიური მრეწველობა გოგირდის მჟავისა და აზოტის გამომუშავების სახით და უნდა განვითარდეს კალიუმის მრეწველობა კალიუმისა და მაგნიუმის გადამუშავების ყველა პროდუქტების გამოყენებით. ახალი მეტალურგიული ქარხნების სიმძლავრე უნდა აღწევდეს დაახლოვებით 6 მილიონ ტონა თუჯს, რაც მოითხოვს კოქსის მრეწველობის იმდენად განვითარებას, რომ მივიღოთ 8 მილიონი ტონა კოქსი, ამასთან შეიქმნება ხარისხობრივი მეტალურგიის მძლავრი ბაზა ბაკალსკის ქარხნის აგებით. მადნეულის ამოღების განვითარება და სამთო ქიმიური პროდუქტების წარმოება დიდათ შეუწყობს ხელს ქლოროვანი ნატრიუმის, ბერტოლეს მარილის, სილვინიტის, აზბესტის, მაგნეზიტის და სხვ. წარმოების ზრდას. ტაგილის ვაგონების მშენებელ ქარხნისა და პერმის გემთსაშენის სახით იქმნება მანქანათმშენებლობის მძლავრი ბაზა ტრანსპორტის მომსახურებისათვის; სოფლის მეურნეობას კი დიდ სამსახურს გაუწევს ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა და სხვ. ამავე დროს იზრდება სოფლის მეურნეობა, როგორც მარცვლეულის ხაზით, ისე მეცხოველეობისა და ტექნიკური კულტურების ხაზით, ფართოვდება საკვები პროდუქტების მრეწველობა და ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობა (ხორცის კომბინატები, სელისა და ქერელის საწარმოები და სხვ.).

საფუძვლიანად გადაკეთდება რკინის გზის ტრანსპორტი, სადაც ვიწრო ადგილები ფართოვდება მეორე ლიანდაგის დაგებით, ურალის რკინის გზის ქსელის საგრძნობი ნაწილის ელექტროფიკაციით და რკინის გზის მთელ რიგ ახალი შტოების გაყვანით.

დასავლეთი ციმბირი

მეორე ხუთწლედში დასავლეთ ციმბირის მრეწველობა მეტად სწრაფი ტემპებით განვითარდება.. 22 მილიონი ტონა თუჯიდან დასავლეთი ციმბირის წილად მოდის დაახლოებით 2 მილიონი ტონა

განზრახულია ახალი ქარხნის აშენება ადგილობრივი მადნის ბაზაზე, რომელიც აღმოჩენილია კუზნეცკიდან 100 ვერსის დაშორებით. ამ რაიონში დიდძალი მადნის მარაგი უნდა იყოს (ტაშიაგის საბადო). ჯერჯერობით კვლევა-ძიებით აღმოჩენილია 250 მილიონი ტონა, მაგრამ სწარმოებდა მხოლოდ გეოლოგიური კვლევა-ძიება, არავითარ სამრეწველო კვლევა-ძიებას ადგილი არ ჰქონია.

როგორც ვსთქვი, კუზნეცკის ქვანახშირის ბასეინმა უნდა მოგვცეს 60 მილიონი ტონა ქვანახშირი.

უდიდესი ელექტრომშენებლობა ვითარდება დასავლეთ ციმბირის რაიონში. აქ ჩვენ გვექნება დიდი ელსადგური კუზნეცკის ქარხანაში, კემეროვსკის პირველი და მეორე ელსადგურები, ნოვოსიბირსკის სადგური და ბისკის სადგური.

დიდი მასშტაბით ვითარდება კოქსისა და ქიმიური მრეწველობა, რომელმაც უნდა მოგვცეს 4 მილიონი ტონა კოქსი და დიდძალი აზოტი და გოგირდის სიმჟავე.

ფერადი მეტალურგია ვითარდება თუთიის, ტყვიის და სხვ. წარმოების ხაზით. ამასთან განვითარდება მანქანათმშენებლობა, რომელიც სამსახურს გაუწევს სამთომადნო საქმეს და ტრანსპორტს. სოფლის მეურნეობის დარგში დასავლეთი ციმბირი რჩება მარცვლეულის ბეღლად სხვა რაიონების მომარაგებისათვის და ფართოდ ანვითარებს მეცხოველეობის კულტურებს. დასავლეთ ციმბირის სოფლის მეურნეობის ამ განვითარების ბაზაზე ხუთწლედში იქმნება დიდი მსუბუქი მრეწველობა და საკვები პროდუქტების მრეწველობა, შაქრის ქარხნები, კონსერვის ქარხნები, ტყავის მრეწველობა, სელის მრეწველობა, შალის, ქერელისა და ჯუტის მრეწველობა.

აშენდება ბამბის ქსოვილების მძლავრი კომბინატი ბამბის გადასამუშავებლად, რომელის გადაზიდვა იწარმოებს თურქესტან-ციმბირის რკინის გზით. სწრაფად განვითარდება ყველა სახის ტრანსპორტი. უნდა დამთავრდეს მთელი რიგი დაწყებული რკინის გზები და ფართოდ გაიშალოს გზატკეცილების მშენებლობა.

ყაზახსტანი

გრძელდება ყაზახსტანის გადაქცევა ჩამორჩენილი რაიონიდან საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ცენტრად, სადაც სათბობის რაიონის კარაგანდის განვითარების ბაზაზე (15 მილიონი ტონა ქვანახშირის ამოღებით), ელექტრო-ენერგიის ბაზაზე იზრდება ფერადი მეტალურგია — კოუნრადი, ჯეზკაზგანი, ალტაის ქარხანა, რიდერი, კაზპოლილითონი და სხვ. ვითარდება ქიმია, კერძოდ გოგირდის სიმჟავის წარმოება.

ყაზახსტანში უნდა გაიშალოს დიდი სარკინიგზო მშენებლობა. განზრახულია რკინის გზების გაყვანა შემდეგი მიმართულებით: კარაგანდა — ბალხაში — კარაგანდა —სემიპალატინსკი და სხვ. იზრდება ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების პროდუქცია, კერძოდ კაუჩუკის კულტურების პროდუქცია, მარცვლეული კულტურების ზრდასთან ერთად იქმნება მსხვილი სოციალისტური მეცხოველეობა. ამ ნედლეულის ბაზაზე აშენდება ბამბის პირველი ქარხნები, შაქრის ქარხნები, ტყავის, კენაფის, მატყლის საწარმონი, კონსერვის ქარხნები და სხვ.

შუა აზია

შუა აზია (რომელსაც უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის და თურქმენისტანის გარდა ვაკუთვნებ ყირგიზეთსაც და ყარა-კალპაკიასაც), ოდესღაც მეფის იმპერიალიზმის ეს ჩამორჩენილი კუთხე ხდება საბჭოთა კავშირის მიმართ მომარაგების მთავარ წყაროდ და ამავე დროს ინდუსტრიალურ ცენტრად, რომელიც შუა-აზიის მოსახლეობას უზრუნველჰყოფს მთავარი სამომხმარებლო საქონლით და საბჭ. კავშირსაც მიაწოდებს მეტად მნიშვნელოვან საწარმოო მოხმარების საგნებს.

ენერგეტიულ ბაზაზე ქვანახშირის სახით, რომლის ამოღება 1937 წელს აყვანილ უნდა იქნას 10 მილიონ ტონამდე, ნავთის სახით, რომელიც ხუთწლედის დამლევს ამოღებულ უნდა იქნას 8 მილიონი ტონა და ჩირჩიკის, ბახშის და მთელ რიგ სხვა ელსადგურების სახით—ვითარდება ფერადი მეტალურგია—სპილენძი, თუთია, ტყვია-ქიმია და უწინარეს ყოვლისა შევსილ აზოტის ქიმია ვითარდება მადნეულის—გოგირდის, სინდიყის, აზბესტის, ბარიუმის, დარიშხანის, მოლიბდენის, ლილა-ქვის და აეროსტატისათვის საჭირო ჰელიუმის ამოღება.

მებამბეობის ზრდასთან ერთად ვითარდება მეაბრეშუმეობა, კენდირის და კენაფის თესვა, იზრდება კაუჩუკის მცენარეების ფართობი.

იზრდება მეცხოველეობა. სოფლის მეურნეობის და ნედლეულის ბაზაზე, რომელიც იქმნება, შენდება შალის ფაბრიკები, კენდირ-კანტონინის კომბინატი, ბამბეულის მძლავრი კომბინატი, აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკები, შაქრის, კონსერვის ქარხნები და სხვ.

ძალიან დიდი ამოცანებია დასახული სარკინიგზო მშენებლობის დარგში. ასე, მაგალითად, განზრახულია მთელ რიგ ახალი მაგისტრალების გაყვანა.

ბაშკირია

ეხლა წავალ დასავლეთის მიმართულებით. ბაშკირეთის რესპუბლიკა მე უნდა დავახასიათო ურალ-კუზნეცკის კომბინატის აღწერასთან ერთად იმიტომ, რომ მისი ადმინისტრატიულად გამოყოფა ურალის ოლქიდან არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ იმყოფება ურალზე. იგი მდებარეობს ურალზე და მჭიდროთაა დაკავშირებული ურალ-კუზნეცკის კომბინატთან. ბაშკირეთის რესპუბლიკაში ვითარდება მსხვილი მრეწველობა. იმ მეტალურგიულ წარმოებას, რომელიც იქ გვაქვს ბელორეცკის ქარხნის სახით ემატება ახალი მძლავრი ქარხანა კომარო-ვოზნესენსკის ქარხანა, რომელსაც ყველა საფუძველი აქვს იმისათვის, რომ შეტანილ იქნას მეორე ხუთწლედში და დამთავრდეს მეორე ხუთწლედში.

მაგრამ, ამას გარდა, იქ ვითარდება ფერადი მეტალურგია. მიზანშეწონილია, რომ ამ ნედლეულის საფუძველზე ბაშკირეთში დაიწყოს და გაძლიერებული ტემპებით განვითარდეს მანქანათმშენებლობა. ალბად იქ აშენებული იქნება ელექტრომავლების ქარხანა რკინის გზების რეკონსტრუქციისათვის. იქ დაიწყება დიდი სამოტორო ქარხნის მშენებლობა. ალბად, როცა ჩვენ შევუდგებით დიდი ქვაბ-ტურბინის ქარხნის მშენებლობისათვის საჭირო ადგილის ამორჩევის საკითხის განხილვას, მშენებლობის ადგილად ამორჩეული იქნება ბაშკირეთი. ამასთან ერთად ვითარდება მსუბუქი გადამმუშავებელი მრეწველობა და კვების ინდუსტრია გაზრდილი სოფლის მეურნეობის საფუძველზე ტყავის, ხორცის და საფეიქრო მრეწველობის ხაზით, ვინაიდან ჩვენ იქ გვაქვს სელის კულტურები.

ეხლა რამდენიმედ შევცვალოთ მიმართულება, დასავლეთიდან ნება მიბოძეთ გადავიდე ჩვენს შორეულ სამხრეთში—ამიერ-კავკასიაში, რომ ამ რაიონის აღწერით დავამთავრო ახალი სამრეწველო რაიონების აღწერა, რომლებიც დღემდე მეტად სუსტად იყვნენ განვითარებული.

ამიერ-კავკასია

ამიერ-კავკასია ძირითადათ განვითარდება იმ ხაზით, რომელიც უკვე დაისახა პირველ ხუთწლედში, კერძოდ, მისი სოფლის მეურნეობა წავა წინ იმ ტექნიკური კულტურების განვითარების ხაზით, რომლებიც ცვლიან იქაურ ჭავას, პირველ რიგში კი ბამბა, მთელი რიგი სხვა სუბტროპიკული კულტურების დანერგვა, ჩაი, რამი და სხვ. სავსებით ცხადია, რომ ისეთი კულტურების განვითარების ამოცანები როგორც ყურძენი, ფორთოხალი და მანდარინი აგრეთვე უნდა იდგეს ამიერ-კავკასიის წინაშე, ისე როგორც ლიმონის პლანტაციების განვითარების ამოცანა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა ავითვალისწუნოთ ეს კულტურები იმიტომ, რომ ყოველ შემთხვევაში ამ ხუთწლედში ჩვენ გვექნება ისეთი მდგომარეობა, როცა არც ყურძენი, არც ფორთოხალი და არც მანდარინი არ იქნება ფუფუნების საგანი. ისინი იქნებიან მასიური მოხმარების საგნები. ამ კულტურებზე მუშაობა ამიერ-კავკასიისათვის წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან მუშაობას მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. ამიერ-კავკასიის მსხვილი მრეწველობის განვითარება იწარმოებს ძლიერ ინტენსიურად, რის შემდეგაც მივიღებთ ამ მხარის საგრძნობ ინდუსტრიალიზაციას. ამიერ-კავკასიის ახალ რაიონებში ნავთის ამოღებამ უნდა მიაღწიოს 10 მილიონ ტონას (ბაქოს გარდა), შეიძლება ეს ვარაუდი დიდია, ის, რასაკვირველია, უფრო მეტად უნდა იქნას შემოწმებული. მაგრამ ამის შესაძლებლობანი იქ არის. ქვანახშირის ამოღება ამიერ-კავკასიაში აღწევს 3 მილიონ ტონას (ტყვარჩელი და ტყიბული), ვითარდება სამთამადნო მრეწველობა, ფერადი მეტალურგია—სპილენძი ზანგეზურში, ალიუმინი ალუნიტიდან აზერბეიჯანში, ვითარდება იმ ნედლეულის გადამმუშავებელი მსუბუქი მრეწველობა, რომელიც მზადდება ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაშკესანის მეტალურგიული ქარხნის აგებას, რომელსაც, თუჯის წარმოებასთან ერთად ექნება სამილე საამქრო. ეს საამქრო მიაწოდებს მილებს ბაქოს და საერთოდ ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობას, ხოლო მეორეს მხრით მოგვცემს ლითონს ამიერ-კავკასიაში არსებულ მეტად მსხვილ მანქანათმშენებლობისათვის, რომელიც შეუმჩნევლად გაიზარდა პირველ ხუთწლედში (შმიდტის სახელობის ქარხანა და სხვ.). ქიმიის დარგში შენდება ფოსფორის და აზოტის სასუქის საწარმოები. საგრძნობლად ვითარდება საშენებელი მასალის—ცემენტი, ტუფი და სხვ. მრეწველობა. საფეიქრო დარგი ვითარდება ბამბეულის მრეწველობის და აბრეშუმის ხაზით. მძლავრ ენერგეტიულ ბაზას ამიერ-კავკასია ღებულობს მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურების სახით. მშენებლობის შესაძლებელ წერტილებად დასახელებულია ტერტერი, მინგეჩაური, ხრამი, [illegible] და სხვ. ამოცანები ტრანსპორტის დარგში არ ამოიწურება ელექტროფიკაციის ამოცანებით. იქ, ალბად, მოგვიხდება ზოგიერთი დამატებითი რკინის გზების განვითარება.

ეხლა კვლავ დაუბრუნდეთ ჩრდილოეთს.

ვოლგის მხარე

ვოლგის მხარის ოლქების ეკონომიკა საგრძნობლად შეიცვლება მეორე ხუთწლედის მანძილზე ვოლგის აუზის მდინარეთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო სამუშაოებთან დაკავშირებით. იაროსლავლთან დაიწყება კაშხალის და ჰიდრო სადგურის მშენებლობა ივანოვის ოლქის მრეწველობისათვის ენერგიის მისაწოდებლად, ასეთივე კაშხალი და ჰიდროსადგურები აგებული იქნება ნიჟნინოვგოროდთან ამ მხარის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მეორე ხუთწლედის გეგმის დამუშავების მომენტისათვის ჩვენ უნდა დავამუშაოთ მდ. ვოლგის შენაკადებზე (კამა, ოკა) მთელი რიგი კაშხალების აგების და ზემოვოლგის მდინარეთა მთელი სისტემის და არხების ნაოსნობისათვის საჭირო მდგომარეობაში მოყვანის საკითხი.

ხუთწლედის განმავლობაში უნდა დამთავრდეს ყველა საგამოკვლევო მოსამზადებელი სამუშაოები ვოლგაზე (შუა და ქვემო ნაწილში) კაშხალების ასაგებად იმ ანგარიშით, რომ უკვე დაწყებულ იქნას ერთ-ერთი მათგანის აგება. ამ საკითხის შემდგომი დამუშავება დაგვანახვებს რა გადაწყვეტილების მიღება შეგვეძლია ჩვენ მეორე ხუთწლედისათვის, შევსძლებთ თუ არა კიდევ ერთი დამატებითი კაშხალის აგებას ვოლგაზე, გარდა იმ ორი კაშხალისა, რომლებიც აგებულ იქნება ნიჟნი-ნოვგოროდისა და იაროსლავსკის მახლობლად. ნიჟნი ნოვგოროდის მხარეში მანქანების სააღმშენებლო ქარხნებზე მშენებლობის დამთავრებასთან და საავტომობილო ქარხნის განვითარებასთან ერთად, განვითარდება სასუქის მრეწველობა, ქიმიური მრეწველობის ხაზით აგებულ იქნება ხე-ტყის ქიმიური ქარხანა და ქაღალდის საწარმონი. ნიჟნი-ნოვგოროდის მხარე იქცევა მანქანათმშენებლობის და გემთმშენებლობის მრეწველობის მსხვილ ცენტრად. უკვე პირველ ხუთწლედში ჩვენ იქ ავაგეთ ბევრი სამანქანათმშენებლო ქარხანა და ბევრის აგება დავიწყეთ. იქ შენდება დიდი დაზგათმშენებელი ქარხანა, საავიაციო ქარხანა, შენდება და არსებითად უკვე ამუშავებულია საავტომობილო ქარხანა. იქ არის აგრეთვე რეკონსტრუქციაქმნილი სხვა მანქანათმშენებელი ქარხნები. იქ არის სორმოვის ქარხანა, რომელიც რეკონსტრუქციის პროცესში იმყოფება და რეკონსტრუქციის შემდეგ იქნება ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი სამანქანათმშენებლო ქარხანა. მაგრამ გარდა იმისა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის მხარე გადაიქცევა მსხვილ მანქანათმშენებლობის და გემთმშენებლობის ცენტრად, მასში თავმოყრილი იქნება აგრეთვე ქიმიური მრეწველობა ჩერნორეჩენსკის ქარხნის და ახალი ქიმიური ქარხნების სახით, რომელნიც თავის მხრით გააერთიანებენ ხე-ტყის და ტყის დამმუშავებელ მრეწველობას, ქაღალდის და ტყის ქიმიურ მრეწველობას.

ნიჟნი-ნოვგოროდის მხარეს ენერგიას მისცემს ტორფი და ვოლგის ჰიდრო-სადგურები.

მხარის სოფლის მეურნეობა ვითარდება მეცხოველეობის და ტექნიკურ კულტურების ხაზით, რასაკვირველია, ამ მხარეში უნდა განვითარდეს აგრეთვე მარცვლეული კულტურები.

თათართა რესპუბლიკა

თათართა რესპუბლიკაში განზრახულია სინთეტიური კაუჩუკის ქარხნის აგება, შესაძლებელია აგებულ იქნას აგრეთვე საავიაციო მოტორების ქარხანა, ცემენტისა და სიმჟავეების და სასუქის კომბინატი სათანადო ნედლეულით, განზრახულია პლასტიური მასების ქარხნის და ხის დამმუშავებელი ქარხნის აგება. ეს საწარმოები და ქარხნები ენერგიას მიიღებენ ვოლგა-კამის ჰიდროსადგურებიდან.

შუა ვოლგის მხარე

აქ ვითარდება მსხვილი მრეწველობა იმ ნედლეულ სიმდიდრეთა საფუძველზე, რომლებიც ამ მხარეს მოეპოვება. უწინარეს ყოვლისა, მე დავასახელებ ხალილოვის მეტალურგიული ქარხნის და ნიკელის ქარხნის მშენებლობას. სწრაფი ტემპით ვითარდება აგრეთვე ფიქალის მრეწველობა. შენდება ფიქალის კომბინატები ფიქალის გადასამუშავებლად.

ამავე დროს საწარმოები ელექტრო-ენერგიას მიიღებენ ფიქალის გამოყენების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებლად შუა ვოლგაზე შენდება შაქრის ქარხნები, ხორცის კომბინატები. ეწყობა შალეულის და ქერელის წარმოება სიზრანში შენდება სინთეტიური კაუჩუკის ქარხანა. ოლქი ღებულობს აგრარულ ინდუსტრიალური კომბინატის სახეს მძლავრად განვითარებული სოფლის მეურნეობით მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურების და მეცხოველეობის ხაზით, ამავე დროს მრეწველობის განვითარების მძლავრი ტემპებით.

ქვემო-ვოლგის მხარე

ქვემო-ვოლგის მხარეში, გარდა იმ ქარხნებისა, რომლებიც შენდებოდა და შენდება პირველ ხუთწლედში, კიდევ უფრო განვითარდება, და გაფართოვდება სტალინგრადის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობა, შესაძლებელია აგრეთვე დაიწყოს ხოპერის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. გარდა ამისა, ასტრახანში აგებულ უნდა იქნას გემთსაშენი თევზაო გემების ასაგებად; პოკროვსკში უნდა აშენდეს უდიდესი ხორცის კომბინატი, ასტრახანში თევზის საკონსერვო ქარხნები. მანქანათმშენებლობის ხაზით განზრახულია სასაკლაოთა მოწყობილობის ქარხნის აგება.

ტრანსპორტის დარგში ვოლგა-დონ მანიჩის არხების შესაძლო მშენებლობის გარდა, რის შესახებაც მე უკვე მქონდა ლაპარაკი, შენდება აგრეთვე მთელი რიგი რკინის გზები.

უკრაინა

უკრაინა რჩება საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო და სამიწადმოქმედო რაიონად და განაგრძობს იმავე ხაზებით განვითარებას, რომელიც შეიმუშავდა პირველ ხუთწლედში. ნახშირის ამოღება დონბასში იზრდება 110—120 მილიონ ტონამდე, შენდება ახალი თბოელექტროცენტრალები, რითაც მთავრდება უკრაინა —ჩრდილოეთ კავკასიის ენერგორგოლის აგება სამნახევარი (გამოტოვებულია)... თუჯის ჩამოსხმა სამხრეთში იზრდება 11 მილიონ ტონამდე და მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა რამდენიმედ ჰკარგავს თავის ხვედრით წონას ნახშირის და თუჯის წარმოებაში, თუჯის და ნახშირის ზრდის ტემპი აღებულია ისეთი, რომელიც უკრაინას ჰქმნის იმდენად ინდუსტრიალურ ოლქად, რომ ის გამოიმუშავებს უფრო მეტ ლითონს, ვიდრე მთელი ჩვენი ქვეყანა 1932 წელში.

ძალიან გაიზრდება ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით კი აზოტის წარმოება და ხარისხობრივი ფოლადის დამზადება მანქანათმშენებლობისათვის, რასაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი. მძლავრად ვითარდება მანქანათმშენებლობა — სამთოსაქარხნო მოწყობილობა, რომელიც დამზადდება კრამატორსის ქარხნებში, ორთქლმავალთმშენებლობა, რომელიც განხორციელდება ლუგანსკის ძველ და ახალ ქარხნებში, ვაგონების მშენებლობა „პრავდა"-ს სახელობის ქარხანაში, გემთმშენებლობა ნიკოლაევის ქარხანაში, ოდესის და სევასტოპოლის ქარხნებში და მარიუპოლის ახალ ქარხანაში, ტრაქტორების მშენებლობა და ელექტრომანქანათა მშენებლობა. ქიმიური აპარატურა უმთავრესად დამზადდება კიევის ქარხანა „ბოლშევიკში", ფართოდ გაშლილი იქნება მოწყობილობის დამზადება შაქრის ქარხნებისათვის. მსუბუქი მრეწველობის დარგში ვითარდება შაქარი, ქერელი, ხორცის და ბამბის მრეწველობა მებამბეობის ახალ რაიონებში.

სრული სიმძლავრით იმუშავებს დნეპრის ჰიდროსადგური და დნეპრის კომბინატი, რაც უდიდესი განძი იქნება საბჭოთა კავშირის მეურნეობაში და ძლიერ შესცვლის მთელი უკრაინის ეკონომიკას. რკინის გზების განვითარება წავა ელექტროფიკაციის ხაზით, მეორე გზის დაგების დამხარისხებელი სადგურების და ახალი სარკინიგზო მშენებლობის ხაზით.

უკრაინის სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს იმავე მიმართულებით, რომელიც იყო დღემდე, ე. ი. ხორბლეულ მეურნეობასთან ერთად უკრაინაში უნდა გააძლიეროს ტექნიკური კულტურების წარმოება შაქრის ჭარხლის და ბამბის დარგში.

ჩრდილოეთ კავკასია

ჩრდილოეთ კავკასიის მხარე მეორე ხუთწლედში ინარჩუნებს თავის დამახასიათებელ ნიშნებს, ისეთ რაიონისას, რომელიც შეიცავს მსხვილ სასაქონლო სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით ხორბლის დარგში და განვითარებულ ამომღებ და გადამმუშავებელ მრეწველობას. გეგმაში მრეწველობის ძირითად დარგებად მიჩნეულია ნავთი და ნახშირი. განზრახულია ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ნავთის რაიონებში ხუთწლედის ბოლოს ამოღებული იქნას 28—30 მილიონი ტონა ნავთი. აქედან გროზნოს ნავთის ხაზით 17—18 მილიონი ტონა (ამაში შედის დაღესტანის ნავთიც), მაიკოპის ნავთის ხაზით 11—12 მილ. ტონა. ჩრდილოეთ კავკასიის ნახშირის ხვედრითი წონა დონბასის ნახშირის ამოღებაში იზრდება და წინასწარი ანგარიშით ნახშირის ამოღება 1937 წელში უნდა გამოიხატოს დაახლოვებით 15 მილიონ ტონაში. ვითარდება ფერადი მეტალურგია—პოლილითონი, თუთია და ტყვია. იწყება ალიუმინის წარმოება. მანქანათმშენებლობის დარგში, გარდა არსებული ქარხნებისა და „როსელმაშის" და „როსკომბაინმშენის" მიერ აგებულ ქარხნებისა, შესაძლებელია, სატრანსპორტო მანქანების ქარხნის აგება და მთელი სხვა ძველი ქარხნების რეკონსტრუქცია. ქიმიის დარგში მოსალოდნელია სუპერფოსფატის ქარხნების, ბუნებრივ გაზების და ადგილობრივი ნახშირის გამოყენებულ ქარხნების აგება აზოტის დასამზადებლად. სოფლის მეურნეობის დარგში ხორბლის წარმოებასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიის მხარე ხდება ტექნიკური კულტურების ერთ-ერთ ძირითად რაიონად, ამასთანავე ის მონოპოლურ მდგომარეობას დაიჭერს იტალიანური კანაფის და კენაფის დარგში; ამას გარდა ფართოდ უნდა განვითარდეს ურწყავი ბამბა, შაქრის ჭარხალი, სოია, იონჯა, მებაღეობა და სხვ. ამის და მიხედვით იზრდება გადამმუშავებელი მრეწველობა, შენდება მთელი რიგი საკონსერვო და შაქრის ქარხნები, კენაფის ფაბრიკა და სხვ.

ენერგეტიულ ბაზას ჩრდილოეთ კავკასიის მხარე მიიღებს ორი დიდი ელექტროსადგურის სახით: 1 სულაკის ჰიდ.-სადგური, ხოლო მეორე (გამოტოვებულია).. ეს სადგურები დასახულია წინასწარ და საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება მაშინ, როდესაც ჩვენ საბოლოოდ შევადგენთ მეორე ხუთწლედს. ფართო სატრანსპორტო მშენებლობა იქნება გაშლილი რკინის გზის ტრანსპორტის დარგში, წყლის ტრანსპორტის დარგში თავდება მუშაობა ზღვის არხზე, მთავრდება როსტოვის ნავთსადგურის აგება და ფართოვდება ნაოსნობა დონზე.

ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქი

ეხლა გადავდივარ შემდეგ ოლქზე — ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქზე. აქ ძლიერ იზრდება ენერგეტიული ბაზა. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე წინასწარი გამოანგარიშებით უნდა ავიდეს 350 ათას კილოვატამდე. იზრდება შავი მეტალურგია. ლიპეცკის ქარხნის ახალი ღუმელების ამუშავების შედეგათ. მეორე ხუთწლედში ფართო მოსამზადებელი მუშაობა უნდა გაიშალოს კურსკის მაგნიტური ანომალიის მძლავრი რკინის მადნის ინდუსტრიალურ გამოყენებისათვის. მანქანათმშენებლობის ხაზით, მანქანათმშენებლობის არსებულ ქარხნების რეკონსტრუქციასთან ერთად. შესაძლებელია აგებული იქნას ვაგონების სამშენებლო ქარხანა ვორონეჟში საგრძნობლად უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობა; აგებული უნდა იქნას ახალი შაქრის, ზეთის, ეთეროვანი ზეთების, თოკის და მთელი რიგი ღვინის ქარხნები. განვითარებული იქნება ქერელის საფეიქრო წარმოება. სრული სიმძლავრით იმუშავებს სინთეტიური კაუჩუკის ქარხანა და შესაძლებელია აგებული იქნას ახალი ქარხანაც.

მნიშვნელოვნად უნდა განვითარდეს მეღორეობა, მეფრინველეობა და ამაზე დაყრდნობილი მრეწველობის დარგები. სარკინიგზო მშენებლობის დარგში განზრახულია რამდენიმე ახალი ხაზის გაყვანა. ძირითადი სამუშაოები რკინის გზის ტრანსპორტის დარგში მოდის კურსკის მიმართულების ელექტროფიკაციაზე, ეს მიმართულება კვებავს ინდუსტრიალურ ცენტრებს დონბასის ნახშირით.

მოსკოვის ოლქი

მოსკოვის ოლქის გადაქცევა ტიპიურ საფეიქრო რაიონიდან მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის და ქიმიის რაიონად, რაც ფართოდ გაიშალა ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში, უნდა გაღრმავდეს და განმტკიცდეს მეორე ხუთწლედში. მოსკოვის მახლობელ ბასეინში ნახშირის ამოღებამ უნდა მიაღწიოს 25 მილიონ ტონას. საგრძნობლად განმტკიცდება და გაფართოვდება ელექტროსადგურების ქსელი, როგორც არსებული სადგურების გაფართოებით, ისე ახალი სადგურების ამუშავებით: ბობრიკში (300 ათასი კილოვატი), ფრუნზეში—150.000 კილოვატი, რომლებიც მოსკოვის რაიონის ქვანახშირზე იმუშავებენ, ტვერში—150 ათასი კილოვატი, რომელიც ორშის ტორფით იმუშავებს. 1937 წლისათვის მოსკოვის ოლქში, ტულის ახალი და კოსოგორის ქარხნების გარდა, იმუშავებს 2 ბრძმედი ელექტროტექნიკური მრეწველობის და მანქანათმშენებლობის განვითარების ხაზი განისაზღვრება იმით, რომ აუცილებელია მოსკოვის ოლქის სპეციალიზაცია წარმოების პასუხისავებ სახეებზე, რამაც უნდა გამოიწვიოს იმდენად არა ახალი წარმოებების მშენებლობა, რამდენადაც არსებული ქარხნების კოოპერატიულად გაერთიანების რეალიზაცია, რათა დაპყრობილ იქნას მოწინავე ტექნიკა. მეორე ხუთწლედში განზრახულია ქიმიური მრეწველობის მძლავრად განვითარება.

კერძოდ ამუშავდება ორმაგი სუპერფოსფატის და ნიტროფოსფატის ქარხნები აგრეთვე ამიაკის მთელი რიგი ქარხნები სადაც ამიაკის წარმოება მოხდება კონვერსიის მეთოდით. სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ძირითადი ხაზები მჭიდროდ არის დაკავშირებული რაიონის მკვეთრად გამოსახულ ინდუსტრიალურ ხასიათთან და მის ნიადაგთან და კლიმატიურ პირობებთან. უმთავრესად განვითარდება სელის და კარტოფილის მოყვანა, მებოსტნეობა, აგრეთვე ინტენსიური მეცხოველეობა მერძეობისა და საკლავი პირუტყვის მოშენების მიმართულებით.

მოსკოვის, როგორც განმანაწილებელ-სატრანზიტო ცენტრის უდიდესი როლი მოითხოვს რკინის გზის მძლავრი განმანაწილებელი სატრანზიტო რგოლის ორგანიზაციას და ამ რგოლის, მოსკოვის კვანძის ელექტროფიკაციის საფუძველზე—საგარეუბნო მიმოსვლის მოწყობას.

გადამწყვეტი გარდატეხა უნდა მოხდეს წყლის გზების, განსაკუთრებით ვოლგას სათავისა და მისი შენაკადების გამოყენების საქმეში. სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრა ამ ნაწილში დაკავშირებულია მოსკოვის წყლით მომარაგების პრობლემის გადაჭრასთან. მოსკოვი უდიდესი კომუნალური და საბინაო მშენებლობის მეოხებით ყველაზე დიდი და უფრო კეთილმოწყობილი პროლეტარული ცენტრი იქნება საბჭოთა კავშირში.

ივანოვოს სამრეწველო ოლქი

ივანოვოს სამრეწველო ოლქის ისტორიულად შექმნილი განსაკუთრებული სპეციალიზაცია ბამბეულის მრეწველობის ხაზით არ შეიძლება დარჩეს უცვლელად მეორე ხუთწლედში, ვინაიდან, როგორც წესი, განსაკუთრებით ტექნიკური. ამ ოლქში უნ- აშენდება. ბამბეულის არსებული საწარმონი კი მეორე ხუთწლედში საფუძვლიანად უნდა გადაკეთდეს იმ მიზნით, რომ აქ მოხდეს სპეციალიზაცია და დამზადდეს მაღალი ხარისხის ქსოვილები პირადი მოხმარებისათვის, საექსპორტო ქსოვილები და განსაკუთრებით ტექნიკური. ამ ოლქში და და განვითარდეს აგრეთვე ის საწარმონი' რომლებიც ტექნიკური ქსოვილებიდან დაამზადებენ ნაწარმს. კერძოდ, განზრახულია სახანძრე სახელურების ქარხნის აშენება. საგრძნობლად განვითარდება სელის გადამუშავება, რომელიც დღემდე ჩამორჩებოდა. ამ მიზნით აშენდება მთელი რიგი ქარხნები სელის პირველადი გადამუშავებისათვის და სელის მთელი რიგი კომბინატები. მნიშვნელოვნად განმტკიცდება ოლქში ჩამორჩენილი ენერგეტიული ბაზა იაროსლავის ჰიდროცენტრალის ამუშავებით და მთელ რიგ თბოსადგურების აშენებით.

მეორე ხუთწლედში უნდა განმტკიცდეს და შეიქმნეს მრეწველობის ახალი დარგები, რომელთა განვითარება შესცვლის ივანოვოს სამრეწველო ოლქის ხასიათს. ამ ოლქში არსებობს საკმაო პირობები საფეიქრო წარმოების, მანქანათმშენებლობის გეგმით მშენებლობის, ავიამშენებლობის და ქიმიის განვითარებისათვის.

ოლქში მძლავრად უნდა განვითარდეს ქიმიური მრეწველობა [illegible] კომბინატის და მონათესავე დარგების შემდგომი გაშლის, ლაქსაღებავის მრეწველობის და ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის გაფართოების გზით, აგრეთვე საკუთარი სასუქი მრეწველობის შექმნის გზით კოსტრომისა და კინეშმის რაიონების ფოსფორიტის საბადოების გამოყენების საფუძველზე. ოლქის სატყეო სიმდიდრეები მთელი სიგრძე-სიგანით აყენებენ ქაღალდის მრეწველობის განვითარების პრობლემას, აგრეთვე ხე-ტყის გადამუშავების, განსაკუთრებით ხე-ტყის ქიმიური წარმოების, ნარჩენებზე მომუშავე დარგების განვითარების პრობლემას. არა ნაკლები მნიშვნელოვანია პერსპექტივები ტორფის ქიმიის დარგში.

ოლქის სოფლის მეურნეობამ მეორე ხუთწლედშიაც უნდა მოახდინოს სპეციალიზაცია სელის წარმოების დარგში და განსაკუთრებით განავითაროს მებოსტნეობა; მეცხოველეობა უნდა განვითარდეს ხორცისა და რძის მიმართულებით.

უნდა მოხდეს იმ წყალსავალი გზების საგრძნობი რეკონსტრუქცია, ჰიდროცენტრალ"-ის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირს შუა და ქვემო ვოლგასთან აგრეთვე მარინეს სისტემის რეკონსტრუქცია.

ლენინგრადის ოლქი

ლენინგრადის ოლქი მეორე ხუთწლედის მანძილზე დარჩება უდიდეს მანქანათმშენებლობის ცენტრად და ტექნიკური კულტურების წარმოების ოლქად. განსაკუთრებით საჭიროა აღინიშნოს ლენინგრადის ხელმძღვანელი როლი მოწინავე ტექნიკის გამოყენების და ახალ წარმოებათა დანერგვის საქმეში.

ენერგეტიული ბაზა შეივსება ფიქალის ამოღებით და ბოროვიჩის ქვანახშირის ამოღების განვითარებით, მთელ რიგ ახალი ელექტროსადგურების აგებით [illegible] პეტროზავოდსკიდან ჩრდილოეთით, [illegible], კერძოდ, ქარელ-მურმანსკის მხარეში.

შენდება მეორე ხვირი 140 ათას კილოვატ-საათის სიმძლავრით, ჰიდროსადგური მდინარე ნევაზე (გამოტოვებულია).. [illegible] ისეთი მძლავრი ქარხნის მშენებლობა, [illegible] ლენინგრადის ოლქში [illegible] მანქანათმშენებლობისათვის; ოლქის ალუმინის წარმოება გაფართოვდება ნეფელინების და ნევის ჰიდროსადგურის ენერგიაზე; [illegible] ალუმინის კომბინატის აგების გზით, ხიბინის კომბინატის აპატიტების წარმოება; იწყება ალუნიტის საბადოების დამუშავება, რომლებიც მდებარეობენ მურმანსკის რკინის გზის დასავლეთ ხიბინის რაიონში; შენდება ფოსფორის სასუქის ქარხნები. ლენინგრადის ოლქის რკინის გზის ქსელი ფართოვდება, მთელ რიგ მისასვლელი გზების და მურმანსკის გზის შტოების გაყვანის მეოხებით.

თევზის მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით შენდება თევზის ახალი ბაზები და საკონსერვო ქარხნები. ტექნიკური კულტურების და მეცხოველეობის ზრდა იწვევს, ხორცის კომბინატებთან ერთად, [illegible] ქარხნების და სელის პირველადი გადამუშავების ქარხნების აშენების საჭიროებას, სელის, რომელიც მოხმარდება ლენინგრადის მრეწველობას და გამოყენებული იქნება საექსპორტოდ.

ლენინგრადი გარდაიქმნება თანამედროვე უახლეს ქალაქის ტექნიკასთან შეფარდებით, სავსებით კეთილმოწყობილ პროლეტარულ ცენტრად. ლენინგრადის ოლქის განვითარების პერსპექტივები არ იქნებოდა ჩემ მიერ სავსებით დახატებული, თუ არ მოვიხსენებდი იმ სათბობ და მეტალურგიულ ბაზას, რომელიც [illegible] ლენინგრადს. კარელიის რესპუბლიკაში აღმოჩენილია [illegible] შუნგიტის საბადოები, რომელიც ალბად [illegible] ლენინგრადს, კარელიის და მურმანსკის მხარის ეკონომიკაში. უკვე ნაპოვნია შუნგიტის წვის მეთოდები, ამასთან აღმოჩნდა, რომ მისი დაწვის შემდეგ ნაცარში იმყოფება ძვირფასი ლითონი (გამოტოვებულია)... თუ დადასტურდა ცნობები წინასწარი სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის, შესახებ კარელია გახდება არა მარტო ხე-ტყის და ქაღალდის და სატყეო ქიმიური წარმოების მხარე, არამედ ისეთ მხარედ, რომელიც იძლევა მაღალ კალორიულ მინერალურ სათბობს ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სამანქანათმშენებლო ცენტრისათვის (ლენინგრადი).

ამით არ ამოიწურება ლენინგრადის განვითარების ახალი პერსპექტივები. მურმანსკის მხარეში აღმოჩენილია რკინის მადნები. მეორე ხუთწლედში განზრახულია [illegible] მეტალურგიული ქარხნის აგება, რომელიც ლენინგრადს მიაწოდებს ლითონს. [illegible] ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ლენინგრადისთვის და მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. მურმანსკის მხარე, რომელიც [illegible] თევზით და რომელიც შემდეგ გამდიდრდა ქიმიით (აპატიტი) და ფერადი მეტალურგიით (ალუმინი ნეფელინიდან), ეხლა ხდება უდიდეს მეტალურგიულ ცენტრად, რომელიც მიაწოდებს ლითონს ყველაზე უფრო მოწინავე მანქანათმშენებლობის ცენტრს.

ჩრდილოეთის მხარე

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალური მშენებლობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გეგმამ უნდა გამოიყენოს ჩრდილოეთის [illegible] ნაწილის ტყის სიმდიდრეები სრული გამოყენება, კერძოდ, ხე-ტყის და ქაღალდის და სატყეო ქიმიური კომბინატების აგება, ამასთან ერთად საზღვაო [illegible] სიმდიდრეების (საკონსერვო ქარხნები) გამოყენების ფართოდ განვითარება, პეჩორის ბასეინის ქვანახშირის და მისი წიაღის სიმდიდრეების (ფერადი ლითონი, გრაფიტი) ფართო ექსპლოატაციის დაწყება, აგრეთვე ჩრდილოეთის [illegible] გამოყენებისათვის საჭირო მთელი რიგ ფართო ღონისძიებათა ჩატარება. ამასთან ერთად მეტად დიდი ყურადღება უნდა იქნას მიქცეული ჩრდილოეთის [illegible] მეურნეობის განვითარების და ადგილობრივი სიმდიდრეების ([illegible], ნადირობა, ბეწვეულის წარმოება და სხვ.) განვითარების ამოცანებს. ჩრდილოეთის გამოყენების ძირითად გზას წარმოადგენს ფართო სატრანსპორტო მშენებლობა, რომელიც მეორე ხუთწლედში საგრძნობლად უნდა გაფართოვდეს ჩრდილოეთის რაიონებში.

დასავლეთის ოლქი

დასავლეთის ოლქს მოეპოვება მძლავრი [illegible] ბაზა ტორფის სახით, ამასთან საკმაოდ განვითარებული რკინის გზის ქსელი განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ოლქის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. ამიტომ მეორე ხუთწლედში დასავლეთის ოლქი ძალიან დიდ ნაბიჯს სდგამს წინ თავის ინდუსტრიალურ განვითარებაში. [illegible]

(გაგრძელება. იხ. მე-2 გვერდზე)

---

*დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 33

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

კომუნისტი

ოთხშაბათი, 10 თებერვალი 1932 წ. № 34 (3288)

დასავლეთის ოლქი აგრეთვე წარმოადგენს სელისა და კანაფის მსხვილ რაიონს. ამ ოლქის გადაქცევა სელის მოწინავე რაიონად, რაც განზრახული იყო სახკომსაბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1930 წელს, ხორციელდება მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და სელის გადამმუშავებელ საწარმოების მშენებლობით, არა-მარტო ბოჭკოს პირველადგადამუშავების, არამედ სელის სართავი და საქსოვი ფაბრიკების მშენებლობით და სხვ. ოლქში ვითარდება მეცხოველეობა, განსაკუთრებით კი მეღორეობა. ფოსფორიტების საბადოების არსებობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ წარმოებულ იქნას სუპერფოსფატის მრეწველობის მშენებლობა.

ბელორუსია

მეორე ხუთწლედში ბელორუსიის მრეწველობის განვითარება დამყარებული იქნება ტორფისა და ხე-ტყის რესურსების გამოყენების და სოფლის მეურნეობის ინტენსიურად განვითარების საფუძველზე.

ბელორუსიის სოფლის მეურნეობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პროდუქტიული მეცხოველეობა, მეფრინველეობა და ტეხნიკური კულტურები, კერძოდ სელი და კართოფილი. ამ ნედლეულის საგრძნობი ზრდა მსუბუქი ინდუსტრიისათვის საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ როგორც კვების, ისე დამმუშავებელი მრეწველობის საგრძნობი განვითარება სელის დარგში. იზრდება ტორფის ამოღება. ბელორუსიელ ამხანაგებს განზრახული აქვთ ტორფის ქიმიური ქარხნის აგება. ეს საკითხიც დამატებით უნდა იქნას განხილული. ვითარდება ელექტრო ენერგიის წარმოება ტორფისაგან. სამრეწველო მშენებლობის ცალკე საწარმოთაგან უნდა აღინიშნოს მშენებლობა ქაღალდის საქმის, ხის დამმუშავების, სატყეო ქიმიური წარმოების, სელის პირველადი გადამუშავების და შემდგომი გადამუშავების (რთვა, ქსოვა) დარგში.

ჩემ მიერ ნათქვამი ცალკე ოლქების და მხარეების სამეურნეო განვითარების პერსპექტივების შესახებ მოწმობენ მშენებლობის უდიდეს გაქანებას, რომელიც დაპროექტებულ უნდა იქნას მეორე ხუთწლედში. ჩვენ უდიდეს ნაბიჯებს ვდგამთ წინ საბჭოთა კავშირის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების საქმეში, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში საწარმოო ძალთა განვითარების საქმეში.

იმისათვის რომ გადავჭრათ ეს ამოცანები, რომ განვახორციელოთ ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროექტები, რომლებიც მოდის თითეულ ოლქზე, უნდა გავშალოთ განსაკუთრებული მუშაობა მიწის წიაღის სიმდიდრეთა გამოკვლევისა და ძიებისათვის, განსაკუთრებით მრეწველობის მხრით ნაკლებად გამოყენებულ რაიონებში. ამიტომ მეორე ხუთწლედის გეგმების დამუშავების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ გეოლოგიურ-საგამოკვლევო მუშაობის ისეთი გაშლა, მათთვის ისეთი მატერიალურ-ტეხნიკური ბაზის შექმნა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამ ამოცანების მთლიანად გადაჭრას და მოამზადებენ ჩვენს განსაკუთრებულ ბუნებრივ რესურსებს წარმოების ყოველმხრივ სამრეწველო გამოყენებისა და განვითარებისათვის..

მშრომელთა კეთილდღეობის დონე

გეგმის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას, რომელზედაც მე უკვე მიუთითე, წარმოადგენს მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლება. ახალი ხუთწლიანი გეგმა უნდა დამუშავებულ იქნას იმ გვარად, რომ ამ ამოცანამ ჰპოვოს რაც შეიძლება უფრო სრული და ყოველმხრივი გამოხატულება გეგმის ყველა პროექტებში — როგორც კვების მხრით, ისე სამრეწველო საქონლით მომარაგების, საბინაო კომუნალური მშენებლობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვ. მხრით.

თქვენ უკვე თეზისებიდან იცით, რომ ჩვენ საჭიროდ ვთვლით მეორე ხუთწლედში მსუბუქი და კვების ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის ისეთ გაშლას, რომელიც უზრუნველჰყოფს მოხმარების ნორმების გადიდებას 2—3 ჯერ მაინც.

1937 წელს სულადობრივი მოხმარების ნორმების სავარაუდო გაიანგარიშება პირადი მოხმარების ცალკე ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პროდუქტების მხრივ, ნებას გვაძლევს დანამდვილებით ვსთქვათ, რომ საბჭოთა კავშირი მოხმარების დონის მხრით იქნება მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყანა და ნათლად დაანახვებს ყველა მშრომელებს, თუ რისი მიღწევა შეუძლია სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასს.

საკვები პროდუქტების მოხმარების საერთო ზრდის დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კვების სტრუქტურის შეცვლას მისი საგრძნობლად გაუმჯობესების მხრით იმ პროდუქტების მოხმარების გადიდების ხარჯზე, რომელიც უფრო ნოყიერია და რომელსაც ყველაზე უფრო ადვილად ითვისებს ადამიანის ორგანიზმი. განსაკუთრებით საგრძნობლად უნდა გაიზარდოს ისეთი საკვები პროდუქტების მოხმარება, როგორიცაა: ხორცი, რძე, ხილი, კვერცხი და სხვ.

გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სამრეწველო საქონლის: ბამბის და შალის ქსოვილების, ფეხსაცმელის და სხვ. მოხმარების ნორმების საგრძნობ გადიდებას. (გამოტოვებულია)... სასურსათო, ისე სამრეწველო საქონლის... საგრძნობლად იზრდება, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

იმისათვის, რომ უზრუნველვჰყოთ მოსახლეობა მოხმარების საგნებით, დაახლოვებით, იმ ნორმის ფარგლებში, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, საჭიროა შესაფერი მატერიალური ბაზის შექმნა—მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება და სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის, განვითარება.

მეორე ხუთწლედისათვის მეცხოველეობის პრობლემას ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორიც პირველი ხუთწლედისათვის მარცვლეულის პრობლემას ჰქონდა.

ამასთან ერთად სწრაფად უნდა განვითარდეს მრეწველობის ისეთი კულტურული დარგები, როგორიცაა: ქაღალდის მრეწველობა, პოლიგრაფიული მრეწველობა, კინო-რადიოს აპარატურის, ფოტო-აპარატურის წარმოება, ელექტრონის მოწყობილობის, სამკურნალო იარაღის წარმოება და სხვ.

ინდუსტრიალური მშენებლობის უდიდეს ზრდას და მასთან დაკავშირებული ახალი სამრეწველო კერების შექმნას თან სდევს ინდუსტრიალური მოსახლეობის ზრდა—1932 წლის 35 მილიონიდან დაახლოებით 50 მილიონ კაცამდე 1937 წელში.

მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება და მათი ჯანმრთელობის დაცვა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და მუშა ქალთა განთავისუფლება საოჯახო მეურნეობის მონობისაგან მოითხოვენ საბინაო და კომუნალური მშენებლობის სათანადოთ ზრდას.

მეორე ხუთწლედის ფარგლებში საგრძნობლად უფრო სრულად უნდა დავაკმაყოფილოთ უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიალური რაიონების პროლეტარული მოსახლეობა საცხოვრებელი ფართობით და შევქმნათ დაწესებულებათა მთელი ქსელი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების კოლექტიურად დაკმაყოფილებისათვის (საერთო სასადილოები, საბავშო ოთახები, ბაგები, კლუბები, სამრეცხაოები და სხვ.).

კომუნალური და საბინაო მშენებლობის გაშლა მოითხოვს საგრძნობი ინდუსტრიის შექმნას კომუნალური მეურნეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, როგორც მშენებლობის ხაზით, ისე ექსპლოატაციის ხაზით. ფართოდ უნდა განვითარდეს კომუნალური მოწყობილობის, ელექტრო-იარაღის, საყოფაცხოვრებო საგნების და სხვათა წარმოება. მეორე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის ძირითადი ინდუსტრიალური პუნქტები ნამდვილად უნდა გადაიქცნენ კულტურულ, ტეხნიკურ, სამეურნეო მხრით განვითარებულ, კეთილმოწყობილ პროლეტარულ ცენტრებად და უნდა შეიქმნას ახალი სოციალისტური ქალაქების დიდი რაოდენობა

გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარება, ბაგების, კონსულტაციების ქსელის განვითარება, სანიტარული განათლების გავრცელება, კვების გაუმჯობესება უნდა მოყვეს დაავადების საგრძნობლად დაკლება და სიკვდილიანობის, განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობის შემდგომი შემცირება. მშრომელთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, თვითგანათლება, ფიზკულტურა, მასების დაახლოვება ხელოვნებასთან მოითხოვენ, რომ ფართოდ გაიშალოს კლუბების, შრომის სასახლეების, საყურებელი და სამომხმარებლო დარბაზების, სტადიონების და სასპორტო მოედნების ქსელი, განვითარდეს სასპორტო მოწყობილობის, ფოტო-აპარატურის, მუსიკალური იარაღის და სხვათა წარმოება და სხ.

ამოცანები საბჭოთა კავშირის გადაქცევისა (გამოტოვებულია) მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მუშაკთა კულტურული დონე უკვე საკმაო არ არის. ხუთწლედისათვის საჭიროა პოლიტიკური ცოდნა, ელემენტარული ცოდნის გავრცელება ფიზიკასა და ქიმიაში, ბიოლოგიასა და ტეხნოლოგიაში, სპეციალური ტეხნიკური ჩვევების შეძენა პოლიტიკურ ცოდნასთან. სკოლის პოლიტეხნიზაცია უნდა გახდეს ბერკეტად გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული განსხვავების დასაძლევად.

მოხმარება განუყრელად არის დაკავშირებული წარმოებასთან, ხოლო თუ წარმოების დონე, რომელიც ჰქმნის ეკონომიურ წინასწარ პირობებს, განსაზღვრავს მოხმარების ამა თუ იმ დონეს, მაშინ მშრომელთა სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხმა არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს შრომის ნაყოფიერებაზე და მუშაობის ხარისხზე, მაშასადამე, სოციალისტური წარმოების ტემპის გაშლაზედაც.

მეორე ხუთწლედი ამ მხრივ ჩვენს წინაშე სახავს მწარმოებელი ძალების აყვავების განსაკუთრებით ხელსაყრელ პერსპექტივებს მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველზე.

იმ ამოცანათა გრანდიოზულობა, რომელთა გადაჭრაც უნდა მოხდეს ჩვენ მიერ მეორე ხუთწლედში, საკმაოდ იქნა ჩემ მიერ დახასიათებული. ამ მეორე ხუთწლედის შესრულების პირობების საკითხი, მისი გრანდიოზულობის გამო, განსაკუთრებული სიმწვავით ისმება.

როგორია ეს პირობები?

პასუხი გაცემულია სოციალიზმისათვის მთელი ჩვენი ბრძოლის გამოცდილებით გაცემულია პირველი ხუთწლედისათვის ბრძოლის გამოცდილებით.

ეს, პირველ ყოვლისა, არის მუშათა კლასის რევოლუციონური აქტივობა, მშრომელთა ის ენტუზიაზმი და თავდადება, რომელთა მეოხებითაც ჩვენ გავიმარჯვეთ სამოქალაქო ომის ფრონტზე, პირველი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლის ფრონტზე.

მეორე ხუთწლედი უნდა ჩატარდეს საბჭოთა კავშირის ყველა მუშებისა და კოლმეურნეების არა მარტო სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში სავსებით ჩაბმის ნიშნით, არამედ შრომის სოციალისტური ფორმების შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების ნიშნითაც მრეწველობაში და ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში და სხვ.

გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს გეგმიანობის განმტკიცება სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. პრაქტიკულად დაგეგმილი იქნება მეურნეობის ყველა ელემენტები, მაგრამ ამით ძლიერდება პასუხისმგებლობა გეგმისათვის, მისი ხარისხისათვის, ვინაიდან თვითეული (გამოტოვებულია) შეაფერხებს და გააძნელებს მთელი გეგმის შესრულებას.

ამასთან ერთად ჩვენ ნათელი ანგარიში უნდა მივსცეთ ჩვენს თავს იმის შესახებ, რომ გეგმის როლი მით უფრო მნიშვნელოვანი და მისი სახალხო-სამეურნეო შედეგი მით უფრო მაღალი იქნება, რამდენადაც ფართოდ და სავსებით იქნებიან ჩაბმული გეგმიან მუშაობაში მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასები.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა

ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაცია და კონკრეტიზაცია, რომელიც შეთავსებულია უდიდეს გეგმიან დისციპლინასთან და მილიონიანი მასების ჩაბმა მართვა-გამგეობაში განმანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ბიუროკრატიზმს—კაპიტალიზმის ამ საზიზღარ მემკვიდრეს.

სოციალისტური დამოკიდებულების განვითარებასა და კლასების ლიკვიდაციასთან ერთად გაჰქრება ბიუროკრატიზმის საფუძველიც.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს იმნაირადვე ეხება სხვა სოციალურ პრობლემებსაც, რომ ბიუროკრატიზმის ლიკვიდაცია, რაც აუცილებელია საბოლოო ანგარიშში კლასების სრულიად მოსპობის შედეგად, არ ხსნის საკითხს ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის და ამ პროცესის განვითარების კონკრეტული პირობების შესახებ. ამიტომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა არ იხსნება დღის წესრიგიდან. პირიქით, რამდენადაც უფრო ფართოდ და დაჟინებით ვაწარმოებთ ჩვენ ამ ბრძოლას, რამდენადაც უფრო დავრაზმავთ მუშათა ფართო მასებს ამ ამოცანების გარშემო, იმდენად მეტი შედეგები გვექნება ჩვენ სოციალიზმის მშენებლობის ყველა უბნებზე და მით უფრო ჩქარა მივაღწევთ ბიუროკრატიულ დამახინჯებათა აღმოფხვრას.

კლასობრივად უცხო პსიქოლოგიის და ბურჟუაზიული ჩვეულებათა ნაშთებთან ბრძოლა—მეორე ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება. კონკრეტული პირობების აღნუსხვა, კლასების ლიკვიდაციის პროცესის აღნუსხვა, კოლმეურნის და თვით მუშის უკლასო სოციალისტური საზოგადოების აქტიურ, შეგნებულ მუშაკად გადაქცევის პროცესის აღნუსხვა არ შეიძლება არ გახდეს ჩვენი გულდასმითი შესწავლის და ყურადღების საგნად.

მუშაობის ხარისხი

შემდეგ მთელი გარკვეულობით უნდა აღინიშნოს მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის და განსაკუთრებით პროდუქციის ხარისხის საკითხები. ჩვენ ამოცანად ვისახავთ მეორე ხუთწლედში დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს მთელ რიგ სამეურნეო დარგებში, ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ მათ პროდუქციის ხარისხის მხრივაც. პროდუქციის ხარისხი უნდა გახდეს ძირითად კრიტერიუმად მეორე ხუთწლ. გეგმის შესრულების შეფასების დროს. მეორე ხუთწლედში სოციალიზმის ტეხნიკური ბაზის შექმნის ამოცანა, რომელიც პარტიამ დასახა, ნიშნავს მეურნეობის სოციალისტურად წარმართვას და ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის ხარისხის, ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ლოზუნგი გაგებულ უნდა იქნას სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობით. ფართოდ გაგებული ბრძოლა ხარისხისათვის არის ბრძოლა შრომის და მმართველობის სწორი რაციონალიზაციისა და ორგანიზაციისათვის, ბრძოლა მატერიალურ ღირებულებათა მომჭირნეობით ხარჯვისათვის, ბრძოლა შრომის უნაყოფო ხარჯვის მინიმუმამდე შემცირებისათვის, დანაკარგის შემცირებისათვის.

მეორე ხუთწლედში ხარისხისათვის ბრძოლა დგება ახალ საფეხურზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ცალკე დარგებში ნაწილობრივი მიღწევებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ამ ნაწარმოების სწორად გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

ხარისხისათვის ბრძოლა დაყენებულ უნდა იქნას მისი მეტად ფართო სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობით; ამაშია ხარისხის პრობლემა მეორე ხუთწლედში.

ბრძოლა ხარისხისათვის მისი სახალხო-სამეურნეო გაგებით არის ბრძოლა მატერიალური სახსრების აქტივიზაციისათვის, და, როგორც ლენინი ამბობდა, იმ შრომის ნაყოფიერების საერთო ნაციონალური მასშტაბით გადიდებისათვის, რომელიც წარმოადგენს ახალი წესწყობილების გამარჯვების გადამწყვეტ პირობას.

შრომის წახალისება

ხუთწლიანი გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანეს ამოცანას და პირობას წარმოადგენს ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ზრდა საგრძნობლად განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას.

ამავე დროს ჩვენ უდიდეს შეცდომას დავუშვებდით, რომ გვეფიქრა, თითქოს ის პერიოდი, რომელშიაც ჩვენ მივყავართ მეორე ხუთწლედს, წარმოადგენს ისეთ პერიოდს, როდესაც უკვე შეიძლება უარი ვსთქვათ შრომის ანაზღაურებაზე, მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, როდესაც შეიძლება შრომის მიხედვით განაწილებიდან გადავიდეთ მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე.

მარქსისა და ლენინის მითითებები საფუძვლად უნდა დაედვას შრომის წახალისების მეთოდებს.

„ანაზღაურება შრომის მიხედვით" — აი ის პრინციპი, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრებას და დამკვრელობის შემდგომ განვითარებასთან შეთავსებით, უნდა უზრუნველჰყოს შრომის ნაყოფიერების ახალი უდიდესი ამაღლება.

კომუნისტები არასოდეს არ სცნობდნენ „თანასწორობას" საერთოდ ეკონომიური პირობების გათვალისწინების გარეშე. „თანასწორობის" ყოველგვარ დაპირებას ისეთ პირობებში, როდესაც არ არის შექმნილი ეკონომიური წინასწარი პირობები ასეთ თანასწორობისათვის, მარქსი და ლენინი უწოდებდნენ მოტყუებას.

სანამ არ არის შექმნილი საკმაო ეკონომიური წინასწარი პირობები, სანამ არ განვითარებულა საწარმოო ძალები საკმაო მაღალ დონემდე, აუცილებელია უთანასწორობა, რომელიც არსებობს მანამ, სანამ პროდუქტები ნაწილდება მუშაობის მიხედვით. ამიტომ წვრილ - ბურჟუაზიული გათანაბრება, რომელიც აქა-იქ გადაიქცა მუშაობის პრაქტიკად, წარმოადგენს სოციალიზმის განვითარებისათვის ხელის შემშლელ მოვლენას.

წვრილ ბურჟუაზიული გათანაბრების ლიკვიდაციის ამოცანა, რომელიც მოგვცა ამხ. სტალინმა თავის ექვს პირობაში, არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას მეორე ხუთწლედისთვისაც. მეორე ხუთწლედში ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანაა — „შრომის მიხედვით ანაზღაურების" პრინციპის გაღრმავება და ხელფასის ისეთი ნორმების დამუშავება, ისეთი სისტემის, საბჭოთა ვაჭრობის ისეთი გაშლა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ „შრომის მიხედვით ანაზღაურების" პრინციპის სავსებით განხორციელებას სოციალისტური საზოგადოების თითეული მუშაკისათვის.

სამეურნეო კავშირის ფორმა

შრომის წახალისებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებზედაც მე ეხლა მოკლედ შევჩერდი, მეტის - მეტად მკაფიოდ ახასიათებენ იმ ეტაპის თავისებურობას და სირთულეს, რომელსაც ჩვენს წინაშე შლის მეორე ხუთწლედი.

კომუნიზმი არ გვევლინება უცბად, ის წარმოადგენს კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული რამდენიმე მილიონი ადამიანის ძალღონის დაჭიმვის შედეგს. ამიტომ არ შეიძლება ეხლავე გადავიდეთ პროდუქტის პირდაპირ გაცვლაზე, მოვსპოთ გაყიდვა, ვაჭრობა, გავაუქმოთ მანეთი და სხვა.

სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი სტადიისათვის, მეორე ხუთწლიანი გეგმის პერიოდისათვის „გაუქმების" მსგავს ლოზუნგებს" სხვა რამე არ ეწოდება, თუ არა „მემარცხენე" ფრაზა, რომლის ანტიბოლშევიკური ხასიათი ეჭვებს არ იწვევს.

სოციალიზმის, როგორც კომუნიზმის პირველი საფეხურის, ეკონომიური წინასწარი პირობები ისეთია, რომ საჭიროა თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნოს საბჭოთა ვაჭრობამ, მანეთმა, სამეურნეო ანგარიშმა.

ყველა ის ფორმები, რომელთა საშუალებითაც ხდება სამეურნეო კავშირის განხორციელება, როგორსაც წარმოადგენს საბჭოთა ვაჭრობა, ფული და სამეურნეო ანგარიში, ის ფორმები, რომელთაც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში პრინციპიალურად სხვაგვარი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე კაპიტალიზმის პირობებში, ყოველმხრივ უნდა იქნას განმტკიცებული და განვითარებული, როგორც ისეთი ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წინასწარ პირობებს მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის ბოლშევიკური ტემპებისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფისათვის.

მეორე ხუთწლედის უდიდესი სამშენებლო პროგრამა, რომელიც მოითხოვს დიდძალი კაპიტალის დაბანდებას, შეუძლებელია შესრულებულ იქნას გარეშე საკუთარი დაგროვებისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში და გარეშე სამეურნეო ანგარიშის თანამიმდევრად გატარებისა. სამეურნეო ანგარიშს უდიდესი გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საწარმოების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და ტრანსპორტის მუშაობისათვის, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება აღრიცხვისა და კონტროლის ნამდვილად განხორციელება, ნამდვილად იქმნება მუშაობის ხარისხის შემოწმების შესაძლებლობა.

მეურნეობის ყველა ელემენტების ურთიერთი კავშირის თანდათანი ზრდა, იმ მეურნეობის, რომელიც სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ საბოლოოდ იქცევა ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსად, და აგრეთვე მშრომელთა სამომხმარებლო საქმის გაუმჯობესების ამოცანა მაღალ საფეხურზე აყენებენ საბჭოთა ვაჭრობის მნიშვნელობას, როგორც ამ სახალხო სამეურნეო კავშირის განხორციელების ფორმას.

კადრების პრობლემა

დასასრულ, მეორე ხუთწლედის გიგანტური ამოცანების შესრულების პირობას წარმოადგენს კადრების პრობლემა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გადიდების ამოცანა მოითხოვს ინჟენერების, აგრონომების, ექიმების, მასწავლებლებისა და სხვათა უდიდეს რაოდენობას. სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ტეხნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების ამოცანა მოითხოვს მეურნეობის კიდევ უფრო გაძლიერებას კვალიფიციური კადრებით. არსებული ძველი კადრებით ვერ შესძლებენ ამ ამოცანის გადაჭრას. — ძალიან უმნიშვნელოა მათი რაოდენობა. ასევე საჭიროა მუშათა კვალიფიციური კადრები. საჭიროა კატეგორიულად უარყოფილი იქნას სულელური მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს მეურნეობის უფრო მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე გადაყვანა და წარმოების მექანიზაცია იწვევს მუშის დეკვალიფიკაციას. კვალიფიციური ხარატების, მექანიკოსების, ჩამომსხმელების, მეინსტრუმენტეებისა და იმ მუშების კადრები, რომელთაც შეეძლებათ გაუძღვენ ურთულესი მექანიზმების — ავტომატებისა და ნახევარ-ავტომატების მართვას, ისეთი კვალიფიკაციის მუშების კადრები, რომელიც სულ უფრო სპობს განსხვავებას გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის, გაცილებით უნდა გაიზარდოს. სწორედ ის გარემოება, რომ არ გვყავდა კვალიფიციური მუშები, იწვევდა ახალი ქარხნების მუშაობის ჩაშლას.

პარტიისა და მუშათა კლასის მიერ მიღებული ზომების შედეგად პირველი გიგანტების ამუშავების სიძნელეები წარმატებით იქნა გადალახული. მაგრამ ამ ქარხნების ამუშავების გამოცდილებიდან მეორე ხუთწლედისათვის ჩვენ მიერ გამოყვანილ უნდა იქნას ყველა საჭირო დასკვნები.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე ხუთწლედი უმეტეს შემთხვევაში დაემყარება, როგორც ბაზას, ახალ საწარმოებს. ახალ საწარმოთა ტეხნოლოგიური პროცესების დაუფლების პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით სდგება ჩვენს წინაშე. ამიტომ იმ კადრების პრობლემას, რომლებიც შესძლებენ არსებული საწარმოების გაძღოლას და ახალი ქარხნების ამუშავებას, მეორე ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის ეძლევა უმნიშვნელოვანესი პირობის მნიშვნელობა.

მეორე ხუთწლედი გახდება ქვეყნის საწარმოო ძალების არნახული განვითარების ხუთწლედად ის იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ძირითადი ტეხნიკური რეკონსტრუქციის ხუთწლედი, იქნება უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედი.

ამ გრანდიოზული ამოცანების გადაჭრისათვის უნდა ვიბრძოლოთ მთელი იმ შეუპოვრობითა და ენერგიით, როგორითაც ჩვენ ვიბრძოდით პირველი ხუთწლედის შესრულებისათვის.

აშკარად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს ბრძოლა უკვე არის დღევანდელი დღის ბრძოლა, რომ მხოლოდ 1932 წლის — პირველი ხუთწლედის დამთავრების წლის — გეგმის წარმატებით შესრულებით ჩვენ მტკიცე საძირკველს ვუყრით სოციალისტური მშენებლობის დანარჩენ წარმატებებს მუშებისა და კოლმეურნეების უფართოესი მასების მთელი ყურადღება, მთელი შემოქმედებითი ენერგია იმ მუშების და კოლმეურნეების, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, უნდა იქნას დარაზმული 1932 წლ. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად.

ბრძოლა ლითონისათვის, ქვანახშირისათვის, მანქანათმშენებლობისათვის, ტრანსპორტისათვის, კოლმეურნეობათა საორგანიზაციო — სამეურნეო განმტკიცებისათვის შრომის წესიერი ორგანიზაციისა და ამხ. სტალინის ექვსი პირობის გატარებისათვის, — აი, რა უნდა გახდეს მორიგი გადამწყვეტი მნიშვნელობის რგოლად, რომლისათვის ხელის ჩაჭიდებითაც შევძლებთ მეორე ხუთწლედის მთელი გეგმის შესრულებას.

სოციალიზმის აშენების ამ დიადი გეგმის შესრულება მოითხოვს მშრომელთა მთელი ძალისა და ნებისყოფის უდიდესად დარაზმვას, მოითხოვს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას, ჩვენი პარტიის ლენინური რკინისებური მთლიანობის შემდგომ განმტკიცებას, გადაჭრით ბრძოლას ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ გენერალურ ხაზიდან.

მთელმა მუშათა კლასმა და კოლმეურნეებმა უნდა დარაზმონ თავიანთი რიგები კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც მიიყვანს მათ სახელოვან გამარჯვებამდე მსოფლიო ოქტომბრის გზით და მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების გზით (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ

ამხ. ვ. მზარეულაშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის (ბ) მერვე ყრილობის 1932 წლის 24 იანვრის სხდომაზე

ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები და ჩვენი ამოცანები

ამხანაგებო, საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის საანგარიშო მოხსენება შეეხება იმ პერიოდს, რომელმაც განვლო საქართველოს კომპარტიის მე-7 ყრილობიდან მე-8 ყრილობამდე ე. ი. 1 ნახევ. წელს. ამ დროის მანძილზე საქართველოს კომპარტიას აქვს საგრძნობი მიღწევები, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ხუთწლედის შესრულება სამ წელიწადში ჩვენი მრეწველობის მთელ რიგ დარგებში (სამკერვალო ტრესტი, 20 კომუნარის სახელობის ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა და სხვ.). ძირითადათ საქართველოს მრეწველობაში ხუთწლედი სრულდება 4 წელიწადში, ხოლო ცალკე დარგებში 3 და 3 ნახევარ წელიწადშიაც. ამ გამარჯვებას ჩვენ მივაღწიეთ, პირველ ყოვლისა, მუშათა კლასის აქტივობის ზრდის შედეგად სოციალიზმის აშენების მხრივ ჩვენს ქვეყანაში, მივაღწიეთ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე, ბრძოლაში მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად კომპარტიის ხელმძღვანელობით შესძლო სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრა და დადებითად გადაჭრა საკითხი „ვინ-ვის" საბჭოთა კავშირის მთელს სახალხო მეურნეობაში სოციალიზმის სასარგებლოდ.

ამ წარმატებასთან ერთად ჩვენ გვქონდა მთელი რიგი სერიოზული შეცდომები, უმთავრესად, გლეხთა საკითხში. ამ შეცდომებს მე დაწვრილებით არ შევეხები, ვინაიდან ისინი განსაკუთრებით საკავშ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კ-ის გადაწყვეტილებისა და ამხ. ბერიას მოხსენების შემდეგ, ყველა თქვენგანმა იცის. მე შევჩერდები ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მუშაობაზე, საკითხზე იმის შესახებ, თუ საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია - მუშგლეხინი როგორ ასწორებდა ამ შეცდომებს, რაც დაშვებულ იქნა ც. კ-ისა და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ, რადგან რამდენადმე ეს შეცდომები შეეხება ცენტრალურ საკონტროლო კომისიასაც.

უნდა განვაცხადო, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას არ გამოუჩენია საკმაო სიფხიზლე, გაბედულობა და სიმტკიცე ც. კ.-ისა და ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების გამოაშკარავებასა და გამოსწორებაში.

ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის მიერ სიმტკიცის გამოუჩენლობის აღნიშვნის დროს ამ შეცდომების გამოსწორებაში მე მხედველობაში მაქვს ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მოხსენებითი ბარათი სიმინდის დამზადების შესახებ, რომელშიაც სათანადო გამოხატულება ვერ ჰპოვა საკითხმა სიმინდის გეგმების არარეალურობის შესახებ. გეგმა უცილობლად არარეალური იყო, მაგრამ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ-მუშგლეხინმა ვერ შესძლო დაჟინებით გაეტარებინა ბოლომდე და გამოესწორებინა სიმინდის დამზადების საკითხზე დაშვებული შეცდომები.

გარდა ამისა, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია პარტიის რიგების სიმტკიცისათვის ბრძოლაში, დაჯგუფებისა და „ატამანშჩინის" ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. იყო შემთხვევები, როცა ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ცალკე მუშაკები აცხადებდნენ, რომ ცენტრალურ კომიტეტში და ზოგიერთ რაიონებში ადგილი ჰქონდა დაჯგუფებას და „ატამანშჩინას", მაგრამ ეს განცხადებები მიჩქმალულ იქნა. ნაცვლად იმისა, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისიას გაერჩია შემოტანილი განცხადებები და პასუხი გაეცა იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც ნამდვილად ეწეოდნენ დაჯგუფებას და ატამანშჩინას, ცენტრალური საკონტროლო კომისიის ზოგიერთი ხელმძღვანელები ხელს უწყობდნენ დაჯგუფებას და აფუჩეჩებდნენ განცხადებებს.

ავიღოთ თუნდ უკანასკნელი მაგალითი— ამხ. მელაძის მოხსნა, რომელიც მაშინ იყო თბილისის საბჭოს თავმჯდომარე და, რომელიც ითვლებოდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად. სხდომას, სადაც არჩეოდა საკითხი მელაძის მოხსნის შესახებ, დაესწრო ცენტრალური საკონტროლო კომისიის წარმომადგენელი, მაგრამ მას ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს ამხ. მელაძის მოხსნის მიზეზის შესახებ. ცხადია, ამ ამხანაგებს შორის უკვე იყო ერთგვარი შეთანხმება იმ მხრივ, რომ მხარი დაეჭირათ ჯგუფობრივი ბრძოლისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში და, თუ გნებავთ, ცენტრალურ საკონტროლო კომისიაშიაც კი. ამხ. მელაძის მოხსნის მიზეზად დაასახელეს მისი განკარგულება, რომ გადაეჭრათ სინათლე სარემონტო ქარხნისათვის. პარტიის დირექტივებისა და მთავრობის დადგენილების თანახმად, რომელთაც აუცილებლად უნდა ვემორჩილებოდეთ, ამხ. მელაძეს სრული უფლება ჰქონდა გადაეჭრა სინათლე იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც არ იხდიდა ენერგიის ფულს მთელი 6 თვის განმავლობაში და, რომელიც დავალიანდა დაახლოვებით 80.000 მანეთით. რასაკვირველია, ნამდვილად არა ეს ფაქტი იყო ამხ. მელაძის მოხსნის მიზეზი, არამედ ამას სულ სხვა სარჩული ჰქონდა. ამხანაგი მელაძის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან გამოყვანა აუცილებლად სურდათ, რაც ბოლოს განხორციელებულ იქნა კიდეც. ამხ. მელაძეს არა თუ მხარს არ უჭერდა ცენტრალური საკონტროლო კომისია სამეურნეო ანგარიშის, როგორც პარტიის უმნიშვნელოვანესი დირექტივის, გატარების საქმეში, არამედ წმინდა ჯგუფობრივი მოსაზრებით იგი მოხსნილ იქნა ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის მიერ, რომელსაც ამ შემთხვევაში მხარს უჭერდა ცენტრალური საკონტროლო კომისია. ჩვენი მრეწველობის სწრაფი ზრდა, გლეხობის ძირითადი მასების პირის ბრუნება კოლმეურნეობისაკენ და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მოითხოვენ მუშაობისა და ხელმძღვანელობის ახალ ფორმებს. ეს შეეხება არა მარტო სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, არამედ შეეხება ცენტრალური საკონტროლო კომისია მუშგლეხინის მუშაობასაც. ამ მხრივ, ახალი წესით ხელმძღვანელობის მხრივ ჩვენი პარტიის დირექტივებისა და ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე, ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა. მე აქ არ მსურს ბრალი დავსდო მხოლოდ ძველ შემადგენლობას, მე მხედველობაში მყავს ახალი ხელმძღვანელობაც, რომელიც ითვლებოდა ყრილობის მოწვევამდე. ჩვენ კი მხოლოდ ჩვენი ამოცანად ვისახავთ პასუხისგებაში მიცემას. ეს აუცილებლად არ არის სწორი მიდგომა. ცენტრ. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი პასუხს უნდა აგებდეს სამეურნეო ორგანიზაციების თანაბრად ყველა დეფექტებისათვის, რაც კი მოიპოვება მთელს ჩვენს სამეურნეო მუშაობაში. ჩვენ ამის შემდეგ ვერ მივუდგებით ამ საკითხებს როგორც რევიზორები. ჩვენ სამეურნეო ორგანიზაციების თანაბრად უნდა ვეწეოდეთ პასუხისმგებლობას ჩვენი საწარმოო პროგრამის შესრულებაში დაშვებული გარღვევებისათვის. ამჟამადაც ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის წინაშე სდგას საკითხი, რომ ღრმად იქნას შესწავლილი ყველა საკითხები იმ პირობით, რომ უზრუნველვყოთ საჭირო დახმარებით ჩვენი სამრეწველო ორგანიზაციები სამეურნეო გეგმების შესრულების საქმეში.

ყოველივე ამისათვის კი ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს მოუხდება მთელი თავისი მუშაობის გარდაქმნა, რომ შეასრულოს ის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელთაც პარტია აყენებს ცენტრალური საკონტროლო კომისიის წინაშე. ყოველივე ეს შეეხება რაიონულ საკონტროლო კომისიებსაც, ისინიც აგრეთვე პასუხს უნდა აგებდნენ გარღვევებისათვის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში, ვინაიდან, რევიზორული მეთოდით ყოვლად შეუძლებელია მუშაობა. გინება და კრიტიკის გაწევა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სწორი მითითებისა და დახმარების მიცემა მათი რეალიზაციისათვის. ახლა ამ მხრივ ძალიან ცოტა არის გაკეთებული. უნდა ვეწეოდეთ არა მარტო კრიტიკას, არამედ, რაც უმთავრესია, ვასწავლიდეთ ადამიანებს, ვაძლევდეთ მათ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოასწორონ ნაკლოვანებანი, ვეხმარებოდეთ მათ მოცემულ დავალებათა რეალიზაციაში, რომ სწორედ ამით უზრუნველვყოთ სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანების შესრულება.

ამხანაგებო, ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ გამოკვლევანი. ჩვენში ხშირად აწარმოებენ სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციების, ტრანსპორტის და ყოველგვარი ორგანიზაციის გამოკვლევას, სახავენ მთელ რიგ ღონისძიებებს, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ მიჰყავდათ. ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა ბოლომდე თვალყური უნდა ადევნოს იმ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც მას გამოაქვს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა მუშაკების შერჩევა ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინისათვის. ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მუშაკებმა უნდა იცოდნენ უფრო მეტი, ვიდრე ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების რომელიმე მუშაკმა, იმისთვის, რომ მათ გაუსწორონ შეცდომები, მიუთითონ და დაეხმარონ ორგანიზაციებს. სამწუხაროდ ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. ამას მარტო ჩვენ როდი ვამბობთ. ამის შესახებ სწერდა ამხ. ლენინი და ამას ამბობდა ამხ. ორჯონიკიძე პარტიის მე-16 ყრილობაზე. ჩვენში მიღებულია წესად, რომ თუ უნდათ ვინმეს არ აწყენინონ, მას აგზავნიან სამუშაოდ ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინში. ეს არის უუნარო ორგანიზაცია, რომელიც ყველაფერს ითმენს. ჩემის აზრით, თუ შემდეგში ჩვენ დავსვამთ საკითხს იმის შესახებ, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად პასუხს უნდა აგებდეს გარღვევებისათვის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში, მაშინ ყრილობამ უნდა სთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის შესახებ, რათა უზრუნველჰყოს იგი საჭირო კვალიფიციური კადრებით, რომელთაც ექნებათ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების და ცხოვრებაში გატარების უნარი. ადგილებზე რაიონული საკონტროლო კომისიები არ არიან უზრუნველყოფილნი მუშაკებით. რაიკომების ზოგიერთი მდივნები არ გვეხმარებიან, რადგან რაიონულ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს სთვლიან საჩივართა ბიუროთ (ადგილიდან: ეს არ არის მართალი!).

არ არის მართალი? ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ. რაიკომის და რაიაღმასკომის ბევრი მუშაკი საკმაოდ ვერ აფასებს რაიონულ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს. რაიონულ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინებმა ჩვენთან ერთად პასუხი უნდა აგონ იმ შეცდომებისათვის, რომლებიც ძველმა ხელმძღვანელობამ დაუშვა. მე ვამტკიცებ, რომ არც ერთ მდივანს, 2-3-ის გამოკლებით არ შეუძლია სთქვას, რომ ჩვენი რაიონული საკონტროლო კომისიები აყენებდნენ საკითხს ამ უმსგავსოებათა შესახებ, პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯებათა შესახებ, დამზადებათა და იმ საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოფლად (მარიამ ორახელაშვილი: მხოლოდ საყვედურს უცხადებდნენ გეგმის შეუსრულებლობისათვის). ჩვენი რაიონული საკონტროლო კომისიები საყვედურს უცხადებდნენ იმისთვის, რომ არ სრულდებოდა არარეალური საკონტროლო ციფრები სიმინდის და სხვ. დამზადებათა ხაზით. ნაწილობრივ ჩვენც მიგვიძღვის დანაშაული იმაში, რომ ჩვენს რაიონულ საკონტროლო კომისიებს არ ჰქონდათ ის ხელმძღვანელობა, რომელიც მათ სჭირდებათ. მათ არ უწევდნენ დახმარებას. მე არ მინდა ამ საქმეში მთელი პასუხისმგებლობა დავაკისრო ძველ ხელმძღვანელობას, პასუხისმგებლობის ნაწილი ეკისრება ახალ ხელმძღვანელობასაც. ეს დახმარება რომ ყოფილიყო, საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მუშაკები რომ ყოფილიყვნენ დარწმუნებულნი, რომ მიიღებენ დახმარებას, მაშინ ალბად ზოგიერთი ამხანაგი გაბედავდა საკითხის დასმას ცენტრალურ ორგანოს წინაშე. სამწუხაროდ ჩვენ ამ საკითხში მოვიკოჭლებდით. ჩვენი მუშაობა ეყრდნობა კადრებს. არც ცენტრში, არც რაიონებში ჩვენ არ მოგვეპოვება სათანადო კადრები და თუ ეს კადრები ვერ შევქმენით, ვერ შევასრულებთ პარტიის და მთავრობის დირექტივებს. ცხადია, რომ ამ საკითხში ჩვენ ყოველნაირად უნდა გაგვეწიოთ დახმარება.

ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოხერხებულად და თავის დროზე მისცეს გაფრთხილება შეცდომების შესახებ, გამოამჟღავნოს და გამოასწოროს ეს შეცდომები. ამას ამბობს აგრეთვე ჩვენი მასწავლებელი ლენინი „მოხერხებულად გამოსცეს გაფრთხილება თავის დროზე—აი მუშგლეხინის მთავარი ამოცანა" (ლენინი, მუშგლეხინის ამოცანების შესახებ 1921 წ. 7 სექტ.), ჩვენ თქვენთან ერთად ეს უნდა შევასრულოთ, ხოლო იმისთვის, რომ მოხერხებულად შევასრულოთ ეს, რომ თავის დროზე მივსცეთ გაფრთხილება შეცდომების შესახებ, საჭიროა ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს გაუწიონ დახმარება კადრებით, რომლებიც ჩვენთვის ასე საჭიროა.

მრეწველობა და ტრანსპორტი



ამხანაგებო, ნება მომეცით გადავიდე მრეწველობის და ტრანსპორტის საკითხზე. ამ საკითხზე ილაპარაკეს ამხანაგებმა, ამ საკითხს დაწვრილებით შეეხო ამხ. ბერია თავის მოხსენებაში, აგრეთვე ამხ. ყურულაშვილი თავის გამოსვლაში. რა მდგომარეობაშია ჩვენი მრეწველობა, რა მდგომარეობაშია სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმე? გამოკვლევამ გამოარკვია, რომ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში პირველი ნახევარი წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმა მთლიანად არ შესრულებულა. ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობამ პირველი ნახევარი წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმა შეასრულა 60 პროცენტით, ხოლო ანდეზიტის წარმოებამ 9 თვის განმავლობაში ნახევარ ფაბრიკატების დარგში —21,8 პროცენტით, ფაბრიკატების დარგში —41 პროცენტით, ბარიტის წარმოებამ 9 თვის განმავლობაში— 37,8 პროცენტით.

მრეწველობის საერთო გეგმა საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ხაზით შესრულებულია 88,7 პროცენტით. შეუსრულებლობის მთავარი მიზეზია ის, რომ სათანადოთ არ განუხორციელებიათ ამხ. სტალინის 6 მითითება, არ სწარმოებდა მუშა-ხელის მოწესრიგებულად შეგროვება, არ იყო საკმაოდ განმტკიცებული სამეურნეო ანგარიში, სანარდო სისტემა, საკმაოდ არ აღმოფხვრილა გაუპიროვნება, არ გატარებულა მექანიზაცია.

იბადება კითხვა—უნდა გაემახვილებინა თუ არა ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს ყურადღება საკითხზე ჩემ მიერ ჩამოთვლილ მთელ რიგ დარგებში სამრეწველო-საფინანსო გეგმის არასაკმაოდ შესრულების შესახებ, უნდა გამოერკვია თუ არა ეს მიზეზები, რატომ არ შესრულდა მთლიანად სამრეწველო-საფინანსო გეგმა? მე შემიძლია აქ ყრილობას განვუცხადო, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა არსებითად არავითარი ნაბიჯი არ გადადგა და არაფერი არ გააკეთა იმისთვის, რომ მიეცა კონკრეტული მითითებანი და დახმარებოდა მრეწველობის ამ დარგებს.

საქართველოს ნავთი

შემდეგი საკითხია საქართველოს ნავთის შესახებ. საქნავთი რამდენჯერმე იქნა გამოკვლეული.

გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ სამეურნეო, პარტიული და პროფორგანიზაციები სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ მშენებლობას, არ არსებობს ერთმმართველობა, თავის დროზე არ ადგენენ სამრეწველო-საფინანსო გეგმებს და არ მიჰყავთ ისინი მუშამდე, სუსტად იყენებენ შიგა-სამრეწველო რეზერვებს, საწარმოთა თათბირები უმოქმედობას იჩენენ, არ არის მოწესრიგებული შრომა, არ არსებობს სანარდო სისტემა, აპარატში მოიპოვებიან უცხო ელემენტები და სხვ.

ამხანაგებო! მე ამას წინად ვმყავი „საქართველოს ნავთი"-ს სარეწაოებზე და გამოვარკვიე, რომ მექანიზაცია „საქ. ნავთში" არ იყო გამოყენებული 100 პროც. ეს მოწმობს ცუდ ხელმძღვანელობას სამეურნეო, პარტიული და პროფესიონალურ ორგანიზაციების მხრივაც. მოვიყვან ერთ კურიოზულ შემთხვევას: ჩემი მისვლისას ყოფნის დროს მიმდინარეობდა ფურცელის ბიუროს სხდომა აქტივთან ერთად. რამდენიმე მუშა გამოვიდა კამათში და მიუთითეს ზოგიერთ კონკრეტულ მაგალითზე. პარტკომის მდივანმა შალამბერიძემ, განაცხადა; რომ „ამ ამხანაგების გამოსვლა უნდა მივიღოთ ცნობათ"-ო. აი, ამხანაგებო, ასეთია იმ პარტიული მუშაკების დახასიათება, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთ უდიდეს დარგს—ნავთს. ეს საკითხი მე ვაცნობე ცეკას და აქედან გაკეთებული იქნა სათანადო დასკვნა. იქ სამუშაოდ გაიგზავნა პარტკომის ახალი მდივანი.

ვნახოთ რას აკეთებდნენ იქ სხვა ამხანაგები, პარტიის წევრები. „საქ. ნავთი"-ს მმართველი კალაშნიკოვი მხოლოდ ლოთობით იყო გართული, მისი მოადგილე კი, სხვათა შორის, დაწინაურებული მუშა, თავისი დროის დიდ ნაწილს ნადირობაში ატარებდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ის ოთახიდან აივანზე გამოდიოდა და აქედან ესროდა ფრინველებს. იბადება კითხვა—რა ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ ამ ამხანაგებს. ამის შემდეგ „საქ. ნავთი"-ს აპარატის ზოგიერთი მუშაკები მოხსნილი იქნენ. ცუდი არ იქნებოდა, რომ ზოგიერთი მასალები „საქართველოს ნავთი"-ს ზოგიერთ მუშაკების შესახებ გადაეცეს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს, რათა უფრო მკაცრად მოეკითხოთ იმ პირებს, რომლებიც უმსგავსოდ ეპყრობოდნენ ნავთის მრეწველობის განვითარებას.

თუ სიღნაღის პარტორგანიზაციების ახალი ხელმძღვანელობა ანდა ჩვენი რაიონული საკონტროლო კომისიები არ მოკიდებენ ხელს ამ საქმეს, მაშინ, ალბად, საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს მოუხდება ამ საქმის თავის ხელში აღება და ის გამოიყვანს ამ ხალხს მზის სინათლეზე.

კაპიტალური მშენებლობა

ეხლა კაპიტალური მშენებლობის შესახებ. ამ მხრივ ჩვენ არ შეგვეძლია თავის ქება, მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ იმდენად მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ რამდენი მოგვცეს კაპიტალურ მშენებლობისათვის რამდენი დაგვაკლეს, არამედ საქმე იმაშია, რომ შევამოწმოთ, თუ რამდენად საქმიანად არის გამოყენებული ეს ფული, თავის დროზე მიღებულია თუ არა მშენებლობისათვის საჭირო მასალები. კრედიტების გამოუყენებლობას ადგილი ჰქონდა თბილისის მექანიკურ ქარხანაში, ზესტაფონის ფერრო-მარგანეცის ქარხანაში, ღრმა-ღელეს აგურის ქარხანაში და სხვაგან. ფერო-მარგანეცის ქარხანამ კრედიტები გამოიყენა 68,8 პროც., მექანიკურმა ქარხანამ—73,4 პროც., ღრმა-ღელეს აგურის ქარხანამ— 75,5 პროც. რასაკვირველია, ამხანაგებო, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გამოვიდეთ ყრილობაზე და ვსთქვათ, რომ კრედიტები არ არის გამოყენებული, არამედ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მიუთითოთ—თუ როგორ გამოვასწოროთ ეს შეცდომები, მე არ შემეძლო გვერდი ამევლო ფერო-მარგანეცის ქარხნისათვის, რადგან როდესაც მე ს. მ. უ. საბჭოში ვმუშაობდი, თვითონ მიხდებოდა ამ მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ყველა ამას ადგილი ჰქონდა იმიტომ, რომ ჩვენ დროზე არ ვაძლევდით ამ წარმოების მშენებლობას იმას, რაც მათთვის იყო საჭირო. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენოს საკითხი ამ უმსგავსოების აღმოფხვრის შესახებ. მაგრამ ეს არ მომხდარა, ამხანაგებო. ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ ამ საკითხის დაყენებით ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე და ხშირად ეს საკითხები პაკაში რჩებოდა.

ალბად, შემდეგში, პარტორგანიზაციების დახმარებით, საზოგადოებრიობის დახმარებით ჩვენ შევძლებთ იმ უმსგავსოების აღმოფხვრას, რომელსაც ვხედავთ აქა-იქ მშენებლობაზე და რომელთა შესახებაც გუშინ ლაპარაკობდა ამხ. ლავრენტი ბერია. მე მხედველობაში მაქვს ახალი კაპიტალური მშენებლობის გაჭიანურება. მთელი რიგი მსხვილი მშენებლობა სწარმოებდა უპროექტოთ, უხარჯთაღრიცხვოთ, ზოგიერთ შემთხვევებში პროექტების შედგენა ჭიანურდებოდა 3-4 თვით, მაგალითად აბანოს, სადგურის ხიდის პროექტის შედგენა, რისთვისაც გადადებული იყო 330.000 მანეთი, საბურთალოს გზის პროექტი, რაზედაც გადადებული იყო 250.000 მანეთი და სხვ.

იბადება კითხვა—ვინ არის აქ დამნაშავე. რასაკვირველია, მე არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენი აპარატის მუშაკები და სამეურნეო ორგანიზაციების მეთაურები ცუდი მუშაკები არიან. მაგრამ მაინც საჭიროა ერთგვარი გარდაქმნა ამ მიმართულებით. და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეამოწმოს—თუ რამდენად მზად არიან ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები სამშენებლო სეზონისათვის, რამდენად უზრუნველყოფილი არიან ისინი პროექტებით. შემდეგში საჭიროა ხელი მოვკიდოთ ამ საკითხებს, შევამოწმოთ მშენებლობის ისეთ მომზადებას და მსვლელობას, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობისათვის გადადებულ კრედიტების მთლიანად გამოყენებას და მათ ეფექტიურობას.

საბინაო მშენებლობა

გადავდივართ საბინაო მშენებლობაზე. საბინაო მშენებლობა, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, საგრძნობლად ჩამორჩება მრეწველობის განვითარების ტემპებს. არის ზოგიერთი მიღწევები, მაგრამ ისინი არ უზრუნველჰყოფენ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომელსაც აყენებს მუშათა კლასი. როგორ სრულდება ამხ. სტალინის 6 მითითება მუშათა კლასის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები სუსტ ყურადღებას აქცევენ საბინაო მშენებლობის განვითარებას და მუშათა კლასის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კრედიტებს ძალიან ცუდად იყენებენ. ავიღოთ „საქართველოს ნავთი". იქ თვითეულ მუშაზე მოდის 1,1 კვ. მეტრი საბინაო სივრცე, ანდეზიტზე—1,2 კვ. მეტრი. 18.250 ათას მანეთიდან გამოყენებულია მხოლოდ 88 პროც. საქ. ს. მ. უ. ს. —52 პროც., თბილისის აღმასკომში—[illegible] პროც., რკინის გზის დირექციაში—[illegible] პროც., სარემონტო ქარხანაში—25 პროც. და სხვ.

აი როგორ იყენებენ იმ კრედიტებს, რომელიც მათ ეძლევათ საბინაო მშენებლობისათვის. ჩვენ ძალიან ცუდათ ვაწარმოებთ საბინაო მშენებლობას. ამხანაგები ამას იმით ხსნიან, რომ არ არის სამშენებლო მასალები, და ამიტომ ვერ შესძლეს მათ ამ თანხების გამოყენება. ეს არ არის მართალი. სამშენებლო მასალები, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს სალიმიტო ნედლეული—რკინა და ცემენტი, ორგანიზაციებმა უნდა მოძებნონ აქვე და გამოიყენონ ის თანხები, რომელიც ეძლევათ მათ საბინაო მშენებლობისათვის.

აქ ჩვენ გვაქვს ხარჯების ზრდა ხარჯთ-აღრიცხვის ვარაუდებთან შედარებით. კუბომეტრის ღირებულება აღემატება ლიმიტებს. ზესტაფონში ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულია 18 მან. 15 კ., ფაქტიური ღირებულება კი გამოიხატება 19 მან. 17 კაპ.; ბინათკავშირში ლიმიტია 17 მან. 60 კაპ., ფაქტიური ღირებულება კი 23 მან. 74 კაპ., ახალშენში ლიმიტია—16 მან. 50 კაპ., ფაქტიური ღირებულება—21 მან. და სხვ.

სუსტად სწარმოებს მუშაობა ახალი სამშენებლო მასალების გამოსაძებნად. ეს მოწმობს, რომ ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციებმა სუსტად გაშალეს მუშაობა საშენებელი მასალის ახალი სახეების გამოსაძებნად, რატომ ხდება ღირებულების ზრდა?

ჯერ ერთი რომ უმსგავსოთ ადიდებენ ტრანსპორტის ტარიფს, მეორე—ადიდებენ საშენებელი მასალის ფასებს, მესამე—მუშახელის დიდი ცვალებადობა და მეოთხე—ჩვენ მშენებელ მუშებს ვაძლევთ იმაზე მეტს, რაც დაწესებულია ერთიანი ტარიფით.

მე ვფიქრობ, რომ ეს არის ერთად-ერთი იმის მიზეზი, რომ ჩვენში ადგილი აქვს გადახარჯვას ლიმიტის ხაზით. აქ მომყავს ციფრები, რომ აგურის ქარხანამ თავის დროზე არ მოგვცა მშენებლობისათვის საჭირო აგური. სარეწაო კავშირს უნდა მოეცა 17.000.000 ცალი აგური, მოგვცა მხოლოდ 8.000.000 ცალი. აგური საჭიროა ჩვენი მშენებლობისათვის, ხოლო ჩვენ არა საკმაოდ ენერგიულად ვაცხადებდით ამის შესახებ, რომ მოგვცეთ ჩვენი მშენებლობისათვის საჭირო საშენებელი მასალა. უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ გამოვძებნოთ საშენებელი მასალა ადგილებზე, ამხ-ბი არ უნდა უცდიდნენ, რომ ვინმე ამ მასალას მათ ზეციდან ჩამოუყრის. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რომ შემდეგში ყველა ის ასიგნობები, რომლებიც უნდა მოხმარდეს საბინაო მშენებლობას, გამოვიყენოთ მთელი ასი პროცენტით. ზოგიერთი ამხანაგი დაესწრო იმ კონფერენციას, სადაც გამოვიდა ამხ. მაჩაიძე და სთქვა, რომ „ქალაქი დაძველდა". მართალია, რომ სახლები ინგრევა და ამის გამო ჩვენში შედარებით მცირდება საბინაო ფართობი იმ დროს, როცა საგრძნობლად იზრდება მოსახლეობა. ეს აიხსნება მრეწველობის სწრაფი ზრდით და საბინაო მშენებლობის მრეწველობის ზრდისაგან ჩამორჩენით. აღნიშნული განსხვავების ლიკვიდაციისათვის საჭიროა, რომ თვით სამეურნეო ორგანიზაციებმა მიიღონ მონაწილეობა საბინაო მშენებლობაში. მეორე საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ასი პროცენტით გამოვიყენოთ ყველა ის ასიგნობები, რომლებიც აქვს თბილისის საბჭოს საბინაო მშენებლობისათვის.

მესამე საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქ თბილისის გარდაქმნის საქმეში, კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების საქმეში ჩვენ უნდა დაგვეხმარონ სამხარეო ორგანიზაციები: საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ამიერ-კავკ. სახკომსაბჭო. ამ მხრით ჩვენ გვჭირდება დახმარება, თბილისის საბჭოს და პროფორგანიზაციებს ჩვენ უნდა დავუსვათ საკითხი—არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ჩვენში არსებული საცხოვრებელი ფართობის შემცირება და მიაღწიონ საცხოვრებელი ფართობის შემდგომ გადიდებას. საბინაო მშენებლობაში ადგილი აქვს კრედიტების საგრძნობ გამოუყენებლობას. ამაში ბრალი მიუძღვის პროფორგანიზაციებსაც. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება, რომელიც ავალებს პროფორგანიზაციებს—მიაქციონ თავიანთი ყურადღების ცენტრში საბინაო მშენებლობის საკითხი, პროფორგანიზაციები მაინც განზე დგანან საბინაო მშენებლობისაგან.

საჭიროა მთელი კომუნალური მეურნეობის მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა. ამ საკითხზე აქაც უნდა გამოსულიყო ამხ. მაჩაიძე იმიტომ, რომ ეს საკითხი მუშათა კლასის მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში წარმოადგენს აქტუალურ საკითხს.

ამ საკითხზე უკვე არსებობს თბილისის კომიტეტის დადგენილება, მაგრამ არ კმარა მარტო დადგენილების გამოტანა, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ უყოყმანოდ სრულდებოდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები, ხოლო უნდა ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებებს ჩვენ ძალზე ცუდათ ვასრულებთ. ეს ეხება თბილისის საბჭოსაც, ს.მ.უ. საბჭოსაც და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებსაც. ალბად შემდეგში პარტორგანიზაცია მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს და ცენტრ. საკონტროლო კომისია მუშგლეხინი დაეხმარება მას იმისათვის, რომ გააუმჯობესოს ჩვენი კომუნალური მეურნეობის მდგომარეობა არა მარტო თბილისში არამედ სხვა სამრეწველო ქალაქებშიაც, როგორიცაა: ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი და სხვ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ჩვენ მრავალი რამე გვაქვს გასაკეთებელი საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის იმ დადგენილების საფუძველზე, რომელიც ეხება კომუნალური მეურნეობის განვითარებას და ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ აქამდე მაინც ვაუფასებდით ამ მეურნეობის მნიშვნელობას.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

ბიბლიოთეკა

ვიბრძოლოთ ხარისხისათვის

რა წარმოადგენს კიდევ ჩვენი მრეწველობის ვიწრო ადგილს? ჩვენში ვიწრო ადგილს წარმოადგენს ხარისხობრივი მაჩვენებლები. ზოგ შემთხვევაში სამრეწველო-საფინანსო გეგმებს ჩვენ ვასრულებთ რიცხობრივად, ხოლო ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ყურადღებას ვაქცევთ რაოდენობას და ვივიწყებთ ხარისხს, თუ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ზოგიერთ დარგებში ჩვენ ვერ ვასრულებთ სამრეწველო - საფინანსო გეგმებს რაოდენობის მხრითაც. აი ხარისხობრივი მაჩვენებლების რამდენიმე ციფრი: აგურ-კრამიტის ქარხნის ხაზით—წუნდადებული პროდუქციის პროცენტი უდრის 60—70 პროცენტს, ბორჯომის მინერალური წყლის დარგში—36 პროცენტს და სხვ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ვინ არის ამაში დამნაშავე? პირველ რიგში ცენტრ. საკონტრ. კომისია-მუშგლეხინი რა თქმა უნდა ამის შესახებ ამხ. ანდრეევმა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე?

„ჩვენ—მუშგლეხინის მუშაკებმა უნდა ვაღიაროთ, რომ ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ზეგავლენის მოხდენის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ სუსტად ვმოქმედობთ. ჩვენ სასტიკი ზეგავლენის ზომები უნდა მივიღოთ გეგმის რიცხობრივად შესრულებისათვისაც, მაგრამ წინასწარ უნდა. შევთანხმდეთ, რომ გეგმის მხოლოდ რიცხობრივად შესრულებას სათანადო ხარისხობრივი მაჩვენებლების გარეშე, ესე იგი თვითღირებულების შემცირების და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გარეშე, ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ და ვერც ჩავთვლით გეგმის შესრულებად".

გადავდივარ მუშათა გამომგონებლობაზე, რაციონალიზაციაზე და შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის ბრძოლაზე. 1931 წელს შემოსული იყო 831 წინადადება, რომელთაგან მიღებულია 424 წინადადება, განხორციელდება 198. წინადადებათა განხორციელებამ მოგვცა 196.000მ. ნაწილობრივი ეკონომია.

გამომგონებლობა

მე წინასწარ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა ყრილობაზე, რომ ჩვენ ცუდათ ვუდგებით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საკითხებს. ამ საკითხებს არ ექცევა საკმაო ყურადღება, მიუხედავათ იმისა, რომ რაციონალიზაციამ 1931 წელს მოგვცა დაახლოვებით 2.844.108 მანეთის ეკონომია. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი უდიდესი მიღწევები გვაქვს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში. მაგრამ ბევრი ჩვენი სამეურნეო ორგანიზაცია ბიუროკრატიულად უდგება ამ საკითხებს. ზოგჯერ წინადადებებს რამდენიმე თვით აჩერებენ. ასე მაგ.: ერთმა სპეციალისტმა გამოიგონა ქვის სამტვრევი ტყიბულში. ამ გამოგონებას ექვსი თვის განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა.

ამ ცოტა ხნის წინად მოსკოვში გაიმართა გამომგონებელთა საკავშირო ყრილობა, სადაც 1932 წლისათვის დასახული იქნა ერთი მილიარდი მანეთის ეკონომია გამომგონებლობის დანერგვიდან. მაგრამ საქართველოში 1932 წლისათვის არაფერი არ დაგვისახავს ამ ხაზით. ალბად მომავალში პროფორგანიზაციები და საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინი შესაფერ ზომებს მიიღებენ ამ სამეურნეო მუშაკების მიმართ, რომლებიც სათანადოთ არ აფასებენ გამომგონებლობის დანერგვის მნიშვნელობას.

გამომგონებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარმოებისათვის არა მარტო ფულის ეკონომიის და მუშა-ხელის განთავისუფლების მხრით, არამედ იმ მხრითაც, რომ ჩვენ ვანთავისუფლებთ ვალიუტის ერთ ნაწილს, რადგან ვამცირებთ მოწყობილობის შემოტანას საზღვარგარეთიდან. ბევრ ამხანაგს ეს არ ესმის. ამიტომ ჩვენ შემდეგში მოგვიხდება დავსაჯოთ ის ამხანაგები, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ გამომგონებლობას.

სათბობი მასალის მომჭირნეობისათვის

გადავდივარ შემდეგ საკითხზე — სათბობის ხარჯვის საკითხზე. მე მგონია, რომ ზედმეტია აუხსნა ყრილობის დელეგატებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის როგორც თხევად, ისე მაგარ სათბობს. ამ დარგში ადგილი აქვს ყოვლად უმსგავსო მდგომარეობას. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მოგიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ამ საკითხის შესახებ.

რკინის გზის მეორე საექსპლოატაციო რაიონს ოქტომბერში 1000 კილომეტრზე ნორმად მიეცა 326 კილოგრამი, ფაქტიურად კი დაიხარჯა — 392 კილოგრამი. ამ რიგად სათბობი მასალის გადახარჯვა შეადგენს 20,8 პროცენტს.

ხავრინაგო ქარხანას გეგმის მიხედვით მეოთხე კვარტალში უნდა დაეხარჯა 297.180 კილოგრამი. ფაქტიურად დაიხარჯა—422.532 კილოგრამი. ამ რიგად გადამეტებით დახარჯა — 125.354 კილოგრამი. ან 42.2 პროცენტი. აი, ამხანაგებო, ასეთი „მომჭირნეობით" ვხარჯავთ სათბობს. ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ნორმის მიხედვით ერთი ჰექტარის დახვნაზე უნდა დაიხარჯოს 30 კილოგრამი, ფაქტიურად კი დახარჯულია 81 კილოგრამი.

ამხანაგებო! სათბობის ეკონომიისათვის ბრძოლა საშური, მაგრამ ჯერ-ჯერობით შედეგები არ ჩანს. ამ მხრივ საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია პარტორგანიზაციების დახმარებით მიაღწევს გარკვეულ შედეგს.

ტრანსპორტი

ამიერ-ტრანსპორტის გამოკვლევამ მოძრაობის გრაფიკის მიხედვით მოგვცა შემდეგი შედეგები: იანვარში გავლილია გრაფიკით გათვალისწინებულ მანძილის 65 პროცენტი, თებერვალში 64 პროცენტი, მარტში — 57 პროცენტი.

პარტიისა და მთავრობის დირექტივა გაწყვილებული სვლის შესახებ ცუდათ ტარდება და ადგილი აქვს თვალის ახვევას. მაგალითად, თბილისის დეპოს ცნობების მიხედვით გაწყვილებული სვლა გატარდა 98 პროცენტით. ნამდვილად კი 50—60 პროცენტით.

ორთქლმავლების რემონტის გეგმის შესრულებას აკლია 4 პროცენტი, სამგზავრო ვაგონების რემონტის გეგმის შესრულებას —81 პროცენტი, საქონლის ვაგონების — 25 პროცენტი, და ეს იმ დროს, როცა მუშა ხელი საკმაოდ იყო.

სერია Э-ს ორთქლმავლების დღე-ღამის გარბენის გეგმის შესრულებას აკლია 22 პროცენტი.

მე უნდა განვაცხადო ყრილობაზე, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ტრანსპორტის საკითხებს. ავიღოთ თუნდაც ის ცნობები, რომლებიც მოეპოვებოდა ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს იმის შესახებ, რომ ტრანსპორტის მუშაკები ცდილობდენ აგვიხვიონ თვალი. ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს არ მიუღია თავის დროზე ზომები ამ მოვლენის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტი წარმოადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ „ვიწრო" ადგილს. გზათა დირექციას დახმარებისათვის უნდა მიემართა ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინისათვის, მაგრამ დირექცია ასე არ მოქცეულა. გუშინ ამხ. ხინევი ჩიოდა, რომ თბილისსა და ბათომში კლიენტურა რამდენიმე დღით აგვიანებს ტვირთს სადგურზე. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ თუ ისინი დაწერენ მოხსენებით ბარათს 24 გვერდზე, შეუძლიათ დაკმაყოფილდნენ ამით (მე მხედველობაში არ მყავს ამხ. ხინევი). არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მოხსენებითი ბარათის წერით, არამედ უნდა ვეცადოთ გადავჭრათ ეს საკითხები. კარგი იქნებოდა, რომ ეს საკითხი დაესვათ ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის წინაშე, რათა მას დახმარება გაეწია ამ საქმეში. იგი არც იმდენად უძლურია რომ ვერ შესძლოს დახმარების გაწევა ამ საქმეში. ჩვენ მოგვეპოვება ძალები იმისათვის, რომ ავლაგმოთ ის კლიენტები, რომლებიც აფერხებენ ტვირთის გადატანას და აჩერებენ ტვირთს საქონლის სადგურებზე.

რა უნდა გავაკეთოთ ტრანსპორტის დარგში?

უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველყოთ გაწყვილებული სვლის გატარება, მოვსპოთ ვაგონების გაუპიროვნება, გავაძლიეროთ მუშაობა ვაგონების რემონტის ხაზით, გავაძლიეროთ დისპეტჩერების აპარატის მუშაობა და გადავაქციოთ იგი მოძრაობის ორგანიზატორად, მოვახდინოთ ჰიდრავლიკური კოლონების ისეთი გადაჯგუფება, რომ გაიზარდოს გამტარუნარიანობა, შევამციროთ წყლის მომარაგებისათვის გაჩერების ვადა; შემოვიღოთ შრომის ანაზღაურების პროგრესიული სისტემა, დავნერგოთ შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა და დავაწესოთ პრემიალური სისტემა ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის, დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, მივიღოთ ზომები სათბობი მასალის გადახარჯვის წინააღმდეგ. აი ამოცანები, რომლებიც უნდა გადასჭრას ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ. შემდეგ საკითხს წარმოადგენს სატელეფონო კავშირის საკითხი, რომელსაც ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მიაქცია ყურადღება, მაგრამ საკმაოდ სუსტად. მე მგონია, რომ ყოველმა ჩვენგანმა იცის, თუ რა მდგომარეობაშია სატელეფონო ქსელი. არც ამ საკითხებს აქცევდა საკმაო ყურადღებას ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი. მან ვერ შეუწყო ხელი იმ შენობების დროზე დამთავრებას, რომელიც შენდება ფოსტა-ტელეგრაფისათვის. ალბად ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი მომავალში უფრო სერიოზულად მოეკიდება ხელს ამ საკითხებს, რათა ბოლო მოეღოს იმ უმსგავსოებას, რომელსაც ადგილი აქვს კავშირგაბმულობის დარგში. აქ საჭიროა შრომის დისციპლინის განმტკიცება, კომუნისტების პროცენტის გადიდება, სამეურნეო ანგარიშის გატარება და სხვ. ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი ენერგიულად უნდა შეუდგეს საქართველოს კავშირგაბმულობის საქმის მოგვარებას.

მდგომარეობა ადგილებზე

ნება მომეცით ორიოდე სიტყვა ვსთქვა ზოგიერთი ოლქის და რაიონის შესახებ. სამხრეთ-ოსეთში მომუშავე ამხანაგები გამოდიოდენ და ჩიოდენ იმაზე, თითქო ცენტრალური ორგანიზაციები არ ეხმარებიან მათ სამხრეთ-ოსეთის მრეწველობის განვითარებაში. პირველი შეხედვით თითქო ასე ჩანს, მაგრამ თუ უფრო ღრმად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ეს მთლად ასე არ არის. რას ამბობდა ერთ-ერთი დელეგატი, რომელიც გამოვიდა სამხრეთ-ოსეთის მე-14 პარტკონფერენციაზე? მე წაგიკითხავთ მის სიტყვას, დელეგატები გაეცნონ: „მრეწველობა სამხრეთ-ოსეთში არ ვითარდება იმის გამო, რომ საქართველოში სხედან შოვინისტები, რომლებიც ოსებისათვის არაფერს აკეთებენ, და ოსი გლეხები შეიძლება აჯანყდნენ საქართველოს წინააღმდეგ". შემდეგში ამ დელეგატმა გამოასწორა თავისი შეცდომა და განაცხადა, რომ მას უნდოდა ეთქვა: „ცალკე ქართველი შოვინისტების წყალობით მრეწველობა სამხრეთ-ოსეთში არ ვითარდება".

თუ ეს მართლა ასეა, ნება მომეცით გამოვაქვეყნო ის დოკუმენტები, რომლებიც ჩემ ხელთაა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხაზით. ამხ. ლავრენტი თავის მოხსენებაში და ამხ. ყურულაშვილი შეჩერდნენ სამხრეთ-ოსეთის მრეწველობის განვითარების საკითხზე და მე აქ უნდა ვსთქვა, თუ როგორ კიდებენ ხელს თვით სამხრეთ-ოსეთის მუშაკები სამხრეთ-ოსეთის მრეწველობის განვითარებას. საქართველოს სახ. მეურნ. უმ. საბჭოში ჩემი ყოფნის დროს გადაიდო 50.000 მანეთი ქვისმჭრელი ქარხნის მშენებლობისათვის. ჩვენ არა ერთხელ ვწერდით, რომ სამხრეთ-ოსეთიდან გამოეგზავნათ ეკონომიური ბარათი პროექტის შესადგენად, მაგრამ ვერ მივიღეთ. ჩვენ ერთხელ კიდევ შევეკითხეთ ცხინვალს: „გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ ეკონომიური ბარათი", მაგრამ კვლავ ვერ მივიღეთ, ხოლო ამ ცნობების წარუდგენლად სამეცნიერო - ეკონომიურ საბჭოს არ შეეძლო განეხილა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. გარდა ამისა, თუ არ ვცდები, გადადებული ფული არ ყოფილა მთლიანად გამოყენებული, თუმცა ეს პატარა თანხაა.

მარმარილოს დასამუშავებლად გადებული თანხიდან ნახევარი შტატის შენახვისათვის დახარჯეს. ჩვენ საერთოდ შევეჩვიეთ: სანამ შეუდგებით მუშაობას ამა თუ იმ მრეწველობის განვითარებისათვის, პირველ ყოვლისა ვქმნით უზარმაზარ აპარატს, გვინდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ გვყავს აპარატი და, მაშასადამე, საქმეც კარგად მიმდინარეობს. ეს არ არის სწორი. მაშინ, როცა მარმარილოს დამუშავება მიმდინარეობდა, ამ საქმისათვის გადადებულ იქნა 700.000 მანეთი და ამ თანხის ნახევარი შტატს შენახვას მოუნდა.

ამიტომ სამხრეთ-ოსეთში მომუშავე ამხანაგებს არ შეუძლიათ სჩიოდნენ, რომ ჩვენ მათ მრეწველობას არ ვანვითარებთ, რადგან ჩვენ ამ მრეწველობას დიდი ყურადღება დავუთმეთ, მაგრამ მათ არ გამოუყენებიათ ის, რაც გადადებულია. ჩემი აზრით, მათ მთლიანად უნდა გამოიყენონ ის, რაც ეძლევათ, და შემდეგ გამოითხოვონ დამატებითი თანხა. მაშინ ვნახავთ, თუ რამდენის მიცემა შეიძლება.

1932 წელს სამხრეთ-ოსეთში გეოლოგიურ-საგამომკვლევო სამუშაოთა საწარმოებლად გაიცემა 890.000 მანეთი. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები და პარტია ამ ბოლო დროს საკმაო ყურადღებას აქცევენ სამხრეთ-ოსეთის მრეწველობის განვითარებას. სამხრეთ-ოსეთში მომუშავე ამხანაგებმა აქ უნდა სთქვან, თუ რამდენი გამოიყენეს. ისინი, ალბად, გამოვლენ კამათში, ხოლო საბოლოო სიტყვაში საშუალება მექნება ვილაპარაკო სხვა ობიექტების შესახებ. ახლა მათ არ ჩამოვთვლი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყრილობის წინაშე უნდა დაისვას სამხრეთ-ოსეთის მრეწველობის საჭირო კადრებით მომარაგების საკითხი, ვინაიდან ამ მხრით მდგომარეობა სამხრეთ-ოსეთში მეტად ცუდია.

შეუნელებელი ყურადღება გეოლოგიურ გამოკვლევებს

მე არ მინდოდა დაწვრილებით შევჩერებულიყავი გეოლოგიურ - საგამომკვლევო სამუშაოთა განვითარებაზე საქართველოს სახ. მეურნ. უმ. საბჭოს მრეწველობის ხაზით. ყოველ ჩვენგანს წაკითხული აქვს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილება, სადაც ლაპარაკია გეოლოგიურ - საგამომკვლევო სამუშაოთა განვითარებაზე ამიერ-კავკასიაში, კერძოდ საქართველოში. ამხ. ყურულაშვილი გუშინ არ შეხებია ამ საკითხს, ჩემის აზრით კი ყრილობამ უნდა გაამახვილოს ყურადღება გეოლოგიურ - საგამომკვლევო სამუშაოებზე, ვინაიდან ეს საქმე ჩვენში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და თუ ასე გაგრძელდა, ძნელი იქნება ლაპარაკი საქართველოს მრეწველობის შემდგომ განვითარებაზე.

გეოლოგიურ - საგამომკვლევო სამუშაოებისათვის 1925-26 წელს გადაიდო 29 ათასი მანეთი, 1926—27 წელს—39 ათასი მანეთი, 1927—28 წელს—97 ათასი მანეთი, 1929 წელს—48 ათასი მანეთი, 1930 წელს —157 ათასი მანეთი და 1931 წელს—1.300 ათასი მანეთი. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ ახლა გვაქვს შესაძლებლობა სათანადო ორგანიზაციების წინაშე დავსვათ საქართველოს მძიმე მრეწველობის განვითარების საკითხი. მხედველობაში მაქვს ქვანახშირის მრეწველობა, რომელზედაც გუშინ ლაპარაკობდა ამხ. ყურულაშვილი ტყიბულთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ტყიბულის შესახებ მე უნდა ვსთქვა, რომ მოსკოვში დასამტკიცებლად გაიგზავნა საკონტროლო ციფრები, მაგრამ იქ ყველა ობიექტებმა ვერ ჰპოვეს გამოხატულება.

უნდა განვაცხადო, რომ დღემდე ზუსტად არ ვიცით, თუ ქვა-ნახშირის რა მარაგი გვაქვს. ესევე ითქმის შიათურის მარგანეცზე. ეს მოწმობს, რომ დღემდე არა საკმაოდ ვაფასებდით გეოლოგიურ-საგამომკვლევო სამუშაოებს. შემდეგში ამ სამუშაოებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ზოგი ამხანაგი სკეპტიკურად უყურებდა იმას, რომ ახალციხეში შეიძლება ქვანახშირი იყოს, ახლა კი გვაქვს ცნობები, რომ ახალციხის რაიონში არის 140 მილიონ ტონამდე ქვანახშირის მარაგი. შემდეგ ზოგი ამხანაგი ამბობს, რომ თუ აღმოჩენილია რკინის, სპილენძის რაიმე ნამცეცი, ეს არ ნიშნავს, რომ შეიძლება დაისვას კვლევაძიების წარმოების საკითხი. თუ ჩვენ სადმე წავაწყდით რაიმე მადნის ნაჟერს, აშკარაა, რომ უკვე უნდა შევუდგეთ ამ ადგილის შესწავლას. მხოლოდ ასეთი გზით შეგვიძლია გამოვიკვლიოთ და შევისწავლოთ ჩვენი სიმდიდრე. ვიმეორებ, რომ ჩვენში არასაკმაოდ აფასებდენ გეოლოგიურ-საგამომკვლევო სამუშაოებს, განსაკუთრებით საქართველოში. ამ მხრით ჩვენმა სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა შესცვალონ თავიანთი თვალსაზრისი, თუ ჩვენს წინაშე მართლა ვაყენებთ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხს, სხვანაირად ჩვენ საკითხს ვერ გადავწყვეტთ. უნდა გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობა, ყველა საშუალებანი, რაც გაგვაჩნია. ბუნებრივი სიმდიდრე, მუშა-ხელი, ტრანსპორტი და სხვ. ერთი ამხანაგი მეუბნებოდა, რომ როცა საკონტროლო ციფრები მოსკოვში წარვადგინეთ, ერთმა სპეციალისტმა სთქვა,—„ეს მე მაგონებს უკანასკნელი კურსის სტუდენტის შრომას". ასეთი ბრალდება შეიძლება მივიღოთ ზოგიერთი ორგანიზაციის მიმართ, რომლებიც მუშაობენ 1932 წლის საკონტროლო ციფრების შედგენაზე ისე, რომ თავიანთ მოსაზრებებს დოკუმენტებით და არგუმენტებით არ ამაგრებენ.

პარტია და მთავრობა გადაჭრით სვამენ მრეწველობის საკითხს, და ჩვენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება უნდა მივაქციოთ გეოლოგიურ-საგამომკვლევო სამუშაოთა განვითარების მიმდინარეობაზე. ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვის თქმა გეოლოგიურ-საგამოკვლევო დარგის მუშაკებისათვის დახმარების აღმოჩენაზე რაიონებში. ზოგმა ამხანაგმა, რომელნიც ამ ხაზით მუშაობენ, არ იციან რომ არის პარტიის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ეს მუშაკები მომარაგების მხრით გათანასწორებულ უნდა იქნან პირველი კატეგორიის მუშებთან, რომ მათ ყოველნაირი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ამ საქმეში ძირფესვიანად უნდა შევსცვალოთ ჩვენი თვალსაზრისი, ბოლო უნდა მოვუღოთ გეოლოგიურ-საძიებელი მუშაობის შეუფასებლობას, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე

მოსკოვი, 8 თებერვალი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მე-4 პლენუმზე პირველად მოსმენილ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. ს. კ.-ის თავმჯდომარის ამხ. რუძუტაკის მოხსენება სახალხო მეურნეობის გეგმისა და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ

ამხ. რუძუტაკის მოხსენება

„ჩვენ მიმდინარე წელს ვამთავრებთ,—დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. რუძუტაკმა,—სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლედის გეგმას. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ოთხი წლის შეუპოვარი ბრძოლა ამ გეგმის შესრულებისათვის ჰქმნის მკვიდრ ინდუსტრიალურ ბაზას მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასამთავრებლად, უზრუნველყოფს კოლექტივიზაციის დამთავრებას 1932-1933 წლებში და უშუალოდ გვაყენებს მეორე ხუთწლედის დიდი ამოცანების წინაშე—სოციალისტური საზოგადოების აშენების წინაშე. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაო ეკონომიური კრიზისის ფონზე, რომელიც უფრო და უფრო ღრმავდება კაპიტალისტურ მსოფლიოს ყველა ქვეყნებში. 1931 წელი ნამდვილად იყო გადამწყვეტი წელიწადი ჩვენი მეურნეობის განვითარებაში. ჩვენ დავამთავრეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება და შევქმენით მტკიცე ბაზისი სოციალისტური მშენებლობის შემდგომი უფრო მძლავრი გაშლისათვის. 1931 წლისათვის დამახასიათებელია მთელი ჩვენი მეურნეობის გადასვლა უფრო მაღალ ორგანიზაციულ საფეხურზე, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება ბრძოლაში შრომის და მმართველობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, გაუპიროვნების და გათანაბრების ლიკვიდაციისათვის, ტექნიკის დაუფლებისათვის, მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ამხ. სტალინის ექვსი პირობის რეალიზაციის საფუძველზე. „შრომის ნაყოფიერება—ეს საბოლოო ანგარიშით არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ისეთი ნაყოფიერება, რომელიც უმაგალითო იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და საბოლოოდ დამარცხდება იმით, რომ სოციალიზმი შექმნის შრომის ახალ, ბევრად უფრო მაღალ ნაყოფიერებას. ეს საქმე მეტად ძნელი და მეტად ხანგრძლივია, მაგრამ იგი დაწყებულია. აი რა არის ყველაზე მთავარი" (ლენინი). შრომის ახალ, უფრო დიდი ნაყოფიერების გზას გვიჩვენებს ამხ. სტალინის ექვსი პირობა. ბრძოლა მათი ნამდვილი განხორციელებისათვის არის საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამჟამად ცალკე დარგებსა და საწარმოებში ჩვენ გვაქვს ტექნიკა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში საკმარისია იმისათვის, რომ მივაღწიოთ შრომის ისეთ ნაყოფიერებას, რაც აჭარბებს კაპიტალისტურ ნორმებს. მაგრამ ჩვენ უნდა გადავლახოთ მთელი რიგი დაბრკოლებანი, რომლებიც აიხსნება ჩვენი კულტურული და ტექნიკური ჩამორჩენილობით.

ამხ. რუძუტაკი შემდეგ ლაპარაკობს საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოების ამოცანებზე სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში არ არის გაშლილი ბრძოლა სოციალისტური აგროტექნიკის განხორციელებისათვის. სოფლის მეურნეობაში ცენტრალურ ფიგურად გადაქცეული კოლმეურნის შრომის საკითხები ჯერ კიდევ არ არის პრაქტიკულად საბოლოოდ გადაჭრილი. ბევრ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს უყაირათობას. მუშაობის გაუმჯობესება საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება უფრო მაღალ საფეხურზე აყენებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეს.

ამხ. რუძუტაკი დაწვრილებით ჩერდება მუშგლეხინის ამოცანებზე, მეცხოველეობის, მუშათა მომარაგების, მუშათა კლასის მატერიალური დონის გადიდების დარგში. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებმა მთელი თავიანთი მუშაობა უნდა დაუმორჩილონ 1932 წლის გეგმის წარმატებით შესრულების ამოცანებს. დავალებები დიდია, მაგრამ რეალური და მათი განხორციელება სავსებით შეიძლება, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გამოუყენებელ შესაძლებლობათა დიდძალი მარაგი შრომის ნაყოფიერების აწევის დარგში. შრომის ორგანიზაციის და ხარისხობრივი მაჩვენებლების საკითხები უნდა მოექცნენ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მთელი მუშაობის ცენტრში.

1932 წელს ამუშავდება ბევრი ახალი საწარმო და აგრეგატი. მრეწველობის უმსხვილესი ბუმბერაზების ამუშავება მოითხოვს სათბობის და ნედლეულის ბაზის, უმთავრესად ლითონის და ქვა-ნახშირის განვითარებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, ქიმია და ტრანსპორტი. ძირითად საკითხებს, რომელთა წარმატებით გადაჭრისათვის საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებმა უნდა იმუშავონ, ეკუთვნის ფინანსების საკითხები, მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის გეგმის შესრულება, საკრედიტო რეფორმის შესახებ მოცემული დირექტივების ნამდვილად გატარება.

უდიდესი მნიშვნელობა 1932 წელს ენიჭება კოოპერაციის მუშაობას. ნამდვილად საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაციამ უნდა გააფართოვოს მომარაგების ბაზა თვით მომხმარებელთა უშუალო კონტროლით.

შემდეგ საჭიროა ენერგიული მუშაობის წარმოება საბჭოთა-სამეურნეო აპარატის გაიაფების და გამარტივებისათვის; ეს აპარატი კიდევ უფრო უნდა დაუახლოვდეს მშრომელ მასებს. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებმა უნდა მიაღწიონ აპარატის ყველა რგოლებში მკაფიო მუშაობას და განაგრძონ გადამწყვეტი ბრძოლა ბიუროკრატიზმის გამოხატულებასთან და აპარატის შემდგომი გარდაქმნისათვის მეურნეობის ორგანიზაციის ახალ პირობებთან შეფარდებით. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებმა 1932 წელს უნდა უზრუნველყონ ამხ. სტალინის ექვსი პირობის სრული განხორციელება მუშაობის ყველა დარგებში და მათი შესრულებისათვის დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები.

ჩვენ გვარტყია კაპიტალისტურ მსოფლიოს სიძულვილის ისეთი ტალღა, — ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. რუძუტაკი,—რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი დარაზმულობა და მთლიანობა. ყოველგვარი გადახრა პარტიის სწორი ხაზიდან ძირშივე უნდა აღიკვეთოს. საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ყველა ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული რევოლუციონური სიფხიზლე და შეურიგებლობა ბრძოლაში ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუნადგურებელი კლასობრივი მტრის აგენტებთან, ბრძოლაში კონტრ - რევოლუციონურ ტროცკიზმთან, ტროცკისტულ პროპაგანდასთან, „მემარცხენე" გადახვევებთან და მემარჯვენე გადახრასთან რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ახლანდელ ეტაპზე, შემარიგებლობასთან და დამპალ ლიბერალიზმთან. მხოლოდ ჩვენი პარტიის რკინისებური მთლიანობის შენარჩუნებით შევძლებთ სწრაფი ნაბიჯებით გავსწიოთ უკლასო სოც. საზოგადოების აშენებისაკენ.

მასიურ-პოლიტიკური მუშაობისა და საწარმოო აგიტაციის გაშლის შესახებ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გატარებასთან დაკავშირებით

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება)

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის წარმატებით შესრულება წარმოადგენს ხუთწლედის უკანასკნელი დამამთავრებელი წლის გეგმის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

1932 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია, რომელიც საგრძნობლად აღემატება თავისი ამოცანებით და რიცხობრივი და ხარისხობრივი დავალებებით წარსული წლების კამპანიებს, წარმოადგენს სოციალისტური სექტორის შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა და ზრდის კამპანიას, რის შედეგადაც 1932 წელს უნდა მოხდეს ძირითადათ კოლექტივიზაციის დამთავრება მებამბეობის რაიონებში და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. ეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანია წარმატებით მხოლოდ იმ პირობებში შეიძლება გატარებულ იქნას, თუ გადაჭრით იქნება გამოსწორებული და საბოლოოდ ლიკვიდაციაქმნილი 1931 წელს ა.-კ. პარტორგანიზაციების მიერ დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომები გლეხთა საკითხში.

მთელი თავისი მუშაობის სისტემის გარდაქმნის საშუალებით საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და რესპუბლიკათა ც. კ.-ების მოხსენებების გამო მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის მიზნით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა შემაკავშირებელი როლის გაძლიერებით გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გატარებაში, გადამჭრელი ბრძოლის გაშლით კულაკობის წინააღმდეგ და დაუნდობელი წინააღმდეგობის გაწევით თვითდინებაზე მემარჯვენე-ოპორტუნისტულ დაყრდნობისა და „მემარცხენე" გადახვევებისადმი პარტორგანიზაციებმა უნდა შეაკავშირონ და მეთაურობა გაუწიონ მასებს აქტივობისა და თვითმოქმედების გამოჩენაში სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესასრულებლად.

ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის, 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებისათვის მოითხოვს ყველა ორგანიზაციების მუშაობის გადაჭრით გარდაქმნას.

ამ გარდაქმნის გზები ნათლად და გარკვევით არის გაშუქებული ამხ. სტალინის ექვს ისტორიულ მითითებაში.

ახალი წესით მუშაობის ერთ-ერთ ძირითად პირობათაგანს წარმოადგენს სწორი ხელმძღვანელობის გაწევა მასიურ-პოლიტიკური და საწარმოო მუშაობისათვის სოფლად მასიურ-პოლიტიკური მუშაობა და საწარმოო აგიტაცია სოფლად უნდა მოეწყოს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ყველა ეტაპზე:

1. საგეგმო დავალებათა დაწესება კულტურებისა და დარგების მიხედვით, რაიონების სპეციალიზაციის მხედველობაში მიღებით.

2. კოლმეურნეობების გამგეობათა ანგარიშის მოსმენისა და მათი გადარჩევის ჩატარება, კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო და სამუშაო გეგმების შედგენა, ხელშეკრულებათა დადება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის, ნათესების კონტრაქტაცია, სარემონტო კამპანია და სხვ.

3. ყველა არსებული საწარმოო-მატერიალური რესურსების აღრიცხვისა და მობილიზაცია, მათი სავსებით შეფარდება წარმოების კონკრეტული პირობებისათვის; ძალების სწორად განაწილება, რომ ამან უზრუნველყოს გეგმის შესრულება.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რესპუბლიკანურ ც. კ.-ებსა და პარტიის რაიონულ კომიტეტებს—დაამუშაონ და უზრუნველჰყონ მასიურ-პოლიტიკური მუშაობისა და საწარმოო აგიტაციის ერთიანი გეგმის გატარება ცხოვრებაში გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო გლეხთა ფართო მასებს შორის.

პრაქტიკულად საჭიროა შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

1) ფართო მასების მიერ მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფის მიზნით გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის რაიონული გეგმების განხილვაში, პარტიის რაიკომებმა ფართოდ უნდა გაშალონ ხსენებული საკითხების დამუშავება და გაშუქება საკოლმეურნეო თათბირებზე—საერთოზე და სადარგოზე, საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა ჯგუფების საწარმოო თათბირებზე' რაიონის კოლმეურნეთა შეკრებებზე, სოფლის საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირებზე, ქალთა დელეგატების, ღარიბთა ჯგუფების თათბირებზე, სოფლის საბჭოების პლენუმებზე, აგრო და ზოორწმუნებულთა თათბირებზე, კოლმეურნეობათა და სასოფლო კედლის გაზეთების რედაქტორების თათბირებზე და სხვ.

ეს თათბირები ჩატარებულ უნდა იქნას რაიონის შინა-საწარმოო რესურსების ფართო მობილიზაციის ნიშნით.

2) საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საწარმოო თათბირების მუშაობას, კერძოდ, საწარმოო თათბირების მუშაობას კოლმეურნეობებში, და წინადადებას აძლევს რესპუბლიკათა ც. კ.-ებსა და რაიონულ კომიტეტებს—ფართოდ დააყენონ აღნიშნული თათბირების მუშაობა, რათა უზრუნველჰყონ ყველა იმ საკითხების ღრმად დამუშავება, რომელთაც კავშირი აქვთ კოლმეურნეობების სამეურნეო-პოლიტიკურ განმტკიცებასთან და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ყველა საწარმოო ამოცანების შესრულებასთან, როგორიცაა:

ა) სახარგებლო ფართობის გადიდება სუსტად გამოყენებული ვარგისი მიწების გამოაშკარავების ხარჯზე, მიწის გაწმენდა ბუჩქნარებისაგან, ნასვენი მიწის რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა, სახნავი მიწების ორგზერადი გამოყენების უზრუნველყოფა (რაც მთელ რიგ რაიონებში შესაძლებელია), ნაყოფიერების გადიდების მიზნით საძოვარი და სათიბი ფართობების გაუმჯობესება და სხვ.

ბ) კოლექტიური მეურნეობის ტექნიკური ბაზის შემდგომი გაძლიერება და, რაც უმთავრესია, მისი სრული და უფრო რაციონალური გამოყენების პირობების უზრუნველყოფა—გამწევი ძალისა და წარმოების საშუალების სწორი მომზადება და მოწყობა.

გ) აგრო-ზოოტექნიკური ხასიათის ისეთ ღონისძიებათა დამუშავება, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობისა და მეცხოველეობის ყველა დარგების პროდუქტიულობის ზრდა, აგრეთვე წყალთსარგებლობის რაციონალიზაციის საკითხების დამუშავება.

დ) შრომის წესიერი ორგანიზაციის საკითხები—სანარდო მუშაობაზე ნამდვილად გადასვლის უზრუნველყოფა, დაწესება გამომუშავების მტკიცე ნორმების, რაც შემოწმებული უნდა იყოს საუკეთესო კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა გამოცდილებით, გაუპიროვნების ლიკვიდაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, შემოსავლის განაწილება დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ დანერგვა, საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობა თვალყურის სადევნებლად დავალებათა დროზე შესრულებისათვის; მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით და სხვ..

3) რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა დეკადის ვადაში შეამოწმონ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის სარემონტო კამპანიის მიმდინარეობა' და ამ კამპანიის გარშემო კოლმეურნეთა ფართო მასების დარაზმვით და საწარმოების სარემონტო ბრიგადებისა და სახელოსნოების შემკეთებელი ძალის მუშაობის გაძლიერებით უზრუნველჰყონ კამპანიის დამთავრება 20 თებერვლისათვის.

რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა გამოჰყონ ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან პასუხისმგ. პირი, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების გეგმის მიმდინარეობისა და შესრულებისათვის.

4) რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უზრუნველჰყონ, კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერების საფუძველზე, სოფლის უჯრედების მუშაობის განმტკიცება და სათანადოთ გარდაქმნა, განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და მსხვილ კოლმეურნეობებში და გადააქციონ ისინი მთელი პარტიული მუშაობის ნამდვილ დასაყრდენ პუნქტებად სოფლად, პარტიის გენერალური ხაზის აქტიურ გამტარებლებად, მასების გაზრდილი პოლიტიკური აქტივობის ხელმძღვანელებად და ორგანიზატორებად მათ ბრძოლაში კულაკობისა და მისი აგენტურის—მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

5) უზრუნველყოფილ იქნას სოფლის საბჭოების მუშაობის ყოველმხრივ გაცხოველება, ამ მიზნით აღნიშნული საბჭოების მთელი მუშაობის სათავეში ჩადგომა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გასატარებლად და მათი როლის გაძლიერება კოლმეურნეობათათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

6) წინადადება მიეცეს ა. ლ. კ. კავშირის ა.-კ. სამხარეო კომიტეტსა და პროფკავშირების ა.-კ. საბჭოს—ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ ა. ლ. კ. კავშირისა და პროფკავშირების მონაწილეობის გეგმა და და ფორმები მასიურ-პოლიტიკური მუშაობისა და საწარმოო აგიტაციის გატარებაში სოფლად, გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს.

7) რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და რაიკომებმა ქალთა სადელეგატო კრებების, ქალთა კლუბებისა და გლეხ-ქალების კუთხეების მუშაობა გადაიყვანონ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომსახურებაზე, კერძოთ მუშაობის გაშლაზე კოლმეურნე-ქალებისა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ქალების ფართო მასებისათვის სამსახურის გასაწევად საგაზაფხულო თესვის პერიოდში, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაზე, რომლის დროსაც უნდა იქნას მიღებული ზომები ქალთა შრომის ფართოდ გამოყენებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

8) წინადადება მიეცეს რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს, რათა მათ ერთი დეკადის ვადაში მისცენ კონკრეტული მითითება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს მასიურ-პოლიტიკური და საწარმოო მუშაობის გაშლის შესახებ მათი მოქმედების რაიონებში.

9) რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა 10 თებერვლამდე შეამოწმონ საშეფო მუშაობის მდგომარეობა და მიიღონ გაშლილი ღონისძიებანი ამ მუშაობის განსამტკიცებლად და გასაცხოველებლად.

10) რესპუბლიკათა ც. კ.-ებმა ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ კონკრეტული გეგმა და ღონისძიებათა სისტემა ძირეული პრესის (რაიონული გაზეთების, კედლის გაზეთებისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მრავალტირაჟიანი გაზეთების) მუშაობის გასაცხოველებლად და უზრუნველჰყონ მისთვის ხელმძღვანელობის გაწევის გაუმჯობესება.

ძირეულმა პრესამ, საუკეთესო კოლმეურნეების და დამკვრელთა ბრიგადების მუშაობის ჩვენებასთან ერთად, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ზარმაცებს, დღეების გამცდენებს და დარაზმოს მასები კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

11. სამხარეო და რესპუბლიკანურმა გაზეთებმა ყოველმხრივ გააშუქონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საკითხები.

12. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების და საორგანიზაციო საკითხების განმარტებისათვის საჭირო მასიურ-სააგიტაციო მუშაობის, აგრეთვე ცნობების მიმცემ, საკონსულტაციო და მუშაობის სხვა სახეების ფართოდ მოწყობით, საჭიროა მიღწეულ იქნას, რომ ქოხ-სამკითხველო გადაიქცეს სოფლად მასიური მუშაობის ცენტრად.

13. პარტიის ც. კ-ბმა და რაიკომებმა ერთი დეკადის ვადაში ჩაატარონ ყველა სასოფლო რადიომიმღებების აღრიცხვა, დააწესონ რადიოფიკაციის ჩამტარებელ თვითეული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა განსაზღვრულ სასოფლო პუნქტებში წერტილების განსაზღვრული რაოდენობის მუშაობისათვის. გადაგზავნილ იქნას რაიონებში საქალაქო პუნქტებში არსებული მთელი რესურსები—მკვებავი წყაროები.

ჩატარებულ იქნას რადიოტექნიკოსების საჭირო რაოდენობის მობილიზაცია და დაეკისროს მათ მოსიარულე რადიო-მონტიორების, ტექნიკოსების და ინსტრუქტორების მოვალეობის შესრულება მათი განსაზღვრულ რაიონებზე მიმაგრებით.

რესპუბლიკათა ც. კ-ების მასიური აგიტაციის განყოფილებების სპეციალური მეთვალყურეობით შესდგეს რადიოგადაცემის გეგმები და უზრუნველყოფილ იქნას კამპანიების—მოხსენებები, ლექციები, გამოძახების მოწყობა, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და რაიონებს შორის სოცშეჯიბრების მიმდინარეობის გაშუქება, სამხატვრო ლიტერატურული დადგმების გადაცემა და სხვ.—მიმდინარეობის ყოველდღიური მომსახურება.

14. დაევალოს რესპუბლიკათა ც. კ-ებს განსახკომებთან ერთად ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ სოფლად სამხატვრო მასიური მუშაობის გეგმები, ფორმები და თემატიკა.

ადგილობრივი რაიონული თეატრების, სოფლის სკოლებსა და ქოხ-სამკითხველოებთან არსებულ სამხატვრო წრეების მუშაობის გამოცოცხლების და გაუმჯობესების საფუძველზე, აგრეთვე ცენტრალური თეატრების და საწარმოებისა და მუშათა კლუბების სამხატვრო წრეების ფართოდ მიზიდვის საფუძველზე, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო კამპანიის და კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ამოცანების პოპულარიზაცია მხატვრულ ფორმებში.

15. რესპუბლიკათა ც. კ-ბმა ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის კინო-მომსახურების კონკრეტული გეგმა. მობილიზაცია უყონ ყველა არსებულ მოძრავ კინოებს, უზრუნველჰყონ ისინი სარემონტო და მომსახურე პერსონალით და გადაგზავნონ რაიონებში. უზრუნველჰყონ რაიონებში მიმავალი კინოები იდეოლოგიურად მისაღებ ფილმებით და ერთსა და იმავე დროს მიიღონ ზომები ახალი ფილმების გამოსაშვებად.

16. საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ სამხარეო კომიტეტის და რესპუბლიკათა ც. კ-ბის მასიური აგიტაციის განყოფილებებთან ერთად ხუთი დღის ვადაში დაამუშაოს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნ. კამპანიისათვის მასიური ლიტერატურის გამოცემის გეგმა.

17. რესპუბლიკათა ც. კ-ბმა ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ რესპუბლიკების ხელმძღვანელი დარგებისა და კულტურების მიხედვით, სოცშეჯიბრების ხელშეკრულების, სოცშეჯიბრების ორგანიზაციის მეთოდების და მისი შეფასების შედეგების, დაჯილდოების და აღრიცხვის საქმის დაყენების სანიმუშო ფორმები.

18. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის აგიტატორების, პროპაგანდისტების და ორგანიზატორების მომზადების მიზნით, გაიშალოს კურსების და კონფერენცია-კურსების ფართო ქსელი.

ა) რაიონული ხუთდღიანი კურსები აგრო და ზოორწმუნებულთათვის.

ბ) რაიონული სამდღიანი კონფერენცია-კურსები საკოლმეურნეო, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივისათვის;

გ) რაიონული სამდღიანი კონფერენცია-კურსები სამკითხველოების გამგეთათვის, მასწავლებლებისათვის, სკოლის გამგეებისათვის და სხვ.;

დ) რაიონული ხუთდღიანი კურსები კედლის გაზეთების რედაქტორებისა და გლეხკორთა აქტივისათვის.

ე) რაიონული ხუთდღიანი კურსები ქალთა აქტივისათვის და სხვ.

რესპუბლიკათა ც. კ-ბმა და რაიკომებმა ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ კურსების მუშაობის კონკრეტული გეგმა და უზრუნველჰყონ ისინი მასწავლებელთა საჭირო კადრებით და პროგრამებით.

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი ც.კ-ების და პარტიის რაიკომების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო ყველა ძირითად მოსამზადებელ ღონისძიებათა დაწესებულ ვადებში განხორციელებას, განსაკუთრებით სათესლე და დასაზღვევი ფონდების შეგროვებას, სათესლე ფონდების გადაცვლას ხარისხოვან თესლზე; თესვის გეგმის მიყვანას კოლმეურნეობამდე, სოფლამდე და კომლამდე და სხვ., კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნე გლეხთა ფართო მასების დარაზმვით საგაზ. სასოფ.-სამეურნეო კამპანიის ყველა რიცხობრივი და განსაკუთრებით კი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

ხელმძღვანელი რესპუბლიკანური და რაიონული პარტაქტივის სემინარების მუშაობის შესახებ

საქ. კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1932 წლის 9 თებერვლის დადგენილება

1. საქართველოს კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1931 წლის 29 ნოემბრის და საქართველოს კ.პ.(ბ) ც.კ-ის სამდივნოს 1932 წლის 3 თებერვლის დადგენილებების განსავითარებლად და შესასრულებლად—მოეწყოს ყველა რაიონულ კომიტეტებთან რაიპარტაქტივის 14 სემინარი და თბილისის კომიტეტთან ხელმძღვანელი პარტაქტივის 2 სემინარი. ლენინის რაიონში 3 სემინარი, სტალინის რაიონში 3 სემინარი, „26" კომუნარის სახ. რაიონში 4 სემინარი, ორჯონიკიძის სახელობის რაიონში 4 სემინარი და პარტიის თბილისის კომიტეტთან 2 სემინარი.

2. შემოღებულ იქნას, როგორც წესი, თვითეული სემინარის მსმენელთა რიცხვი 15-დან 20 კაცამდე.

3. სემინარების ხელმძღვანელებად პარტიის რაიკომებთან დამტკიცებულ იქნან ამხ. ვაშაყმაძე, ორაგველიძე, ხაჭაპურიძე, ქორიძე, პაპავა, ბარამიძე, ამატუნი, გასანოვი, ბრომიკერი, ერქომაიშვილი, ფანცხავა, გვაზავა, რ. მელაძე, გეგენავა, ორაგველიძე, ხოლო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან ამხ. აბამალიანი და შარია.

4. რაიპარტაქტივის პირველი საორგანიზაციო მეცადინეობა ჩატარდეს ლენინის რაიონში, „26" სახელობის რაიონში და სტალინის რაიონში შესდგეს 10 თებ. და წინადადება მიეცეს რაიკომებს 100 პროცენტით უზრუნველყონ სემინარებში ჩაწერილი ამხანაგების გამოცხადება.

5. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის რაიპარტაქტივისა და საქართველოს კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული სემინარების მეცადინეობა შესდგეს 20 თებერვალს.

6. კატეგორიულად აეკრძალოს პარტიის რაიკომებს პარტაქტივის სწავლებისათვის გამოყოფილ დღეებში (10, 20, 28) მოწვევა სხვადასხვა თათბირებისა და სხვა.

7. თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ უზრუნველჰყოს პარტაქტივის სემინარების მუშაობა სათანადო ლიტერატურითა და პროგრამებით, ამასთან მან თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებასთან ერთად მიიღოს ზომები იმისათვის, რომ არა უგვიანეს 15 თებერვლისა შევსებულ იქნას პარტაქტივის სემინარების პროგრამა სპეციალური ლექციების ციკლით პარტიული მშენებლობის საკითხების შესახებ, რისთვისაც შერჩეულ იქნეს ლექტორთა სათანადო კადრი.

საქართველოს კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ა. წითლიძე

პარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების საყურადღებოდ

საქართველოს კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1932 წლის 9 თებერვლის დადგენილების თანახმად 10 თებერვალს ინიშნება რაიპარტაქტივის სემინარებში ჩაწერილთა მეცადინეობა.

1. ლენინის რაიონში დიალექტიურ და ისტორიულ მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიისა და საბჭოთა მეურნეობის თეორიის და აგრეთვე პარტიის ისტორიის სემინარებში ჩაწერილები იკრიბებიან პარტიის ლენრაიკომის შენობაში (საბჭოთა ქ. № 122, ტრამვაი № 14) საღამოს 7 საათზე ხელმძღვანელები ამხ. ვაშაყმაძე ორაგველიძე, ერქომაიშვილი.

2. სტალინის რაიონში დიალექტიური და ისტორიულ მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის და საბჭოთა მეურნეობის თეორიის, სემინარებში ჩაწერილები იკრიბებიან პარტიის რაიონული კომიტეტის შენობაში საღამოს 7 საათზე (პლეხანოვის გამზ. № 142, ტრამვაი, 1, 2. და სხვა) ხელმძღვანელები ამხ. ქორიძე და რაჟდენ მელაძე.

3. პარტიის ისტორიისა და ლენინიზმის სემინარებში (1-ლი) მაუდის ფაბრიკიდან ჩაწერილები იკრიბებიან კლუბის შენობაში დღის 4 საათზე. ხელმძღვანელი ამხ. ხაჭაპურიძე.

პარტიის ისტორიის და ლენინიზმის მე-2 სემინარში თბილისის ტრამვაის სამმართველოდან ჩაწერილები იკრიბებიან საღამოს 7 საათზე პარტკომის შენობაში (მუშტაიდის ქ. №1).

4. „26 კომუნარის სახელობის რაიკომთან დიალექტიური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიის და საბჭოთა მეურნეობის თეორიის, პარტიის ისტორიის და ლენინიზმის და ნაციონალურ საკითხში ლენინის მოძღვრების სემინარებში ჩაწერილები იკრიბებიან საღამოს 7 საათზე რაიკომის შენობაში (კახეთის მოედანი №1, ტრამვაი № 9). ხელმძღვანელები ამხ. ამატუნი, გასანოვი, გვაზავა და ბუდილიევი.

5. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომთან რაიპარტაქტივისა და თბილისის კომიტეტთან სემინარებში ჩაწერილები პირველ მეცადინეობას ჩაატარებენ 20 თებერვალს. დაწვრილებით უკანასკნელთა მუშაობის შესახებ დამატებით იქნება გამოცხადებული.

საქართველოს კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება.

ხელმოწერილია თავდაუსხმელობის პაქტი საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის

მოსკოვი, 8 თებერვალი. 5 თებერვალს ხელმოწერილია თავდაუსხმელობის პაქტი საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის. ამ ხელშეკრულების ძალით მხარეები კისრულობენ ურთიერთ ვალდებულებას თავი შეიკავონ ყოველგვარ თავდასხმისაგან ერთი მეორეზე და, აგრეთვე, ყოველგვარ ძალადობითი მოქმედებისაგან, რომელიც მიმართული იქნება მეორე მხარეს ტერიტორიის მთლიანობისა და ხელუხლებლობის ან დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

თვითეული მხარე კისრულობს ვალდებულებას არ მიიღოს მონაწილეობა არავითარ სამხედრო ან პოლიტიკურ ხელშეკრულებებში, რომლებიც მიმართული იქნება მეორე მხარის დამოუკიდებლობის, ტერიტორიალური ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური უშიშროების წინააღმდეგ; აგრეთვე ხელშეკრულებებში, კონვენციებში ან შეთანხმებებში, რომელთა მიზანი იქნება ერთ-ერთი მხარის ეკონომიური ან ფინანსიური ბოიკოტი. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ყველა სადაო საკითხები, გარეშე მათი წარმოშობისა, განიხილონ შერეულ შესათანხმებელ კომისიაში.

ხელშეკრულება ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისთანავე და დარჩება ძალაში სამი წლის განმავლობაში. თვითეულ მხარეს უფლება აქვს უარი სთქვას ხელშეკრულებაზე 6 თვით ადრე გაფრთხილებით ამ პერიოდის გასვლამდე ან გაფრთხილების ვადის დაცვის გარეშე, თუ მეორე მხარე თავს დაესხმის რომელიმე მესამე სახელმწიფოს (ადს).

საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა დამუშავების მიმდინარეობის შესახებ

(თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება)

თბილისის ორგანიზაციის ცალკე უჯრედებში საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 პარტკონფერენციის შედეგების დამუშავება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რასაც მოწმობს კრებებზე დასწრების დიდი პროცენტი და კომუნისტების, კომკავშირელების და უპარტიო მუშების აქტივობა, მე-14 პარტკონფერენციის მიერ თბილისის ორგანიზაციის წინაშე დასახულ ამოცანების ფართოდ განხილვა და მასთან დაკავშირებით კრებებზე (სარემონტო ქარხნის ამწყობი და სამჭედლო საამქროები, მაუდის ფაბრიკა, „მკერავი" № 2 და № 1, ფეხსაცმელის ფაბრიკა და სხვ.) კონკრეტულ ღონისძიებათა და ვალდებულებათა მიღება, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას.

ამასთან ერთად მთელ რიგ უჯრედებში ეს მუშაობა არ იყო საკმაოდ უზრუნველყოფილი. ზოგიერთმა უჯრედმა ჩაატარა დახურული კრებები (ტრამვაი, მკერავი № 1 და სხვ.), ცალკე უჯრედებში ადგილი ჰქონდა კრებების ჩაშლას კომუნისტების დასწრების მცირე პროცენტისა და მომხსენებლების გამოუცხადებლობის გამო („სოიუზტრანს"-ი, ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხანა და სხვ.), ზოგიერთ უჯრედში კომუნისტების დასწრება კრებებზე 40—45 პროცენტს არ აღემატებოდა (სარემონტო ქარხნის საიარაღო სატენდერო საამქროები, დეპო და სხვ.), კამათი არ გაშლილა (სარემონტო ქარხნის საიარაღო, სატენდერო და საამშენებლო საამქროები), ცალკე რაიონებში შედეგების დასამუშავებლად მოწვეულ იქნა ჯგუფური კრებები (სტალინის რაიონი, 26-ის რაიონი), სუსტად წარმოებდა მომხსენებლების შერჩევა, ზოგიერთ უჯრედში მიღებულ იქნა საერთო რეზოლიუციები ისე, რომ არ ყოფილა დასახული პარტორგანიზაციის კონკრეტული ამოცანები ყრილობისა და კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

ზემოაღნიშნულის მიხედვით თბილისის კომიტეტის სამდივნო მე-8 ყრილობის და კონფერენციის გადაწყვეტილებათა დამუშავების მიმდინარეობას საერთოდ არადამაკმაყოფილებლად სთვლის და ავალებს რაიკომებს:

1. განაგრძონ მე-8 ყრილობის და მე-14 პარტკონფერენციის შედეგების დამუშავება სამ და ოთხ თებერვალს გამორკვეულ დეფექტების გათვალისწინებით.

2. დაამუშაონ შედეგები ხელმეორედ: ცალკე უჯრედებში, სადაც მოწვეული იყო ჯგუფური კრებები, უჯრედებში, რომელთაც ჩაატარეს დახურული კრებები, ყველა ცეხებში და საამქროებში, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა პირველ დამუშავებაში და უჯრედებში, რომლებშიაც არ ყოფილა გაშლილი კამათი.

3. უზრუნველჰყონ მე-8 ყრილობის და მე-14 პარტკონფერენციის შედეგების დამუშავება პარტგანათლების მთელს ქსელში პოლიტსწავლების მორიგ დღეს 8 თებერვალს.

დაევალოს თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას გაუწიოს რაიონულ პარტკომებს სათანადო დახმარება ამ მიმართულებით.

დიდი თოვლი დასავ. საქართველოში

ქარბუქი რკინისგზებზე

ქარბუქი, რომელიც 7 თებერვალს დაიწყო ა.-კავკასიის რკინისგზებზე, განსაკუთრებულის ძალით მძვინვარებდა ბათომის რაიონში. სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვქარის გამო სადგურებსა და გზებში მრავალი მატარებელი ჩარჩა. 9 თებერვალს ბათომიდან მიღებულია ცნობა, რომ მახინჯაურ-ჩაქვის უბანზე (აქ გზა დაზიანდა 7 თებერვალს) მოძრაობა განახლდა დროებითი ხაზით. მაგრამ პირდაპირი მიმოსვლა არ არის უზრუნველყოფილი. რკინისგზის ხაზები ბათომში არ არის გაწმენდილი თოვლისაგან, რაც ძლიერ აფერხებს სამანევრო მუშაობას და მატარებლების მიღებას.

გარდა ამისა, სადგ. ჩაქვში და რაიონის სხვა პუნქტებში 9 თებერვლამდე იდგა თოვლში ჩარჩენილი საბარგო, სამარშრუტო და სხვა მატარებლები, რაც შეუძლებლად ხდიდა ახალი მატარებლების მიღებას მეორე რაიონიდან. ხაზის გაწმენდას აბრკოლებს მუშა-ხელის ნაკლებობა. ოზურგეთის ხაზი დაფარულია თოვლით.

პირდაპირი მიმოსვლა სამხრეთის უბანზე, თოვლში ჩარჩენილ მატარებლების გამოყვანის შემდეგ, განახლებულია. მოძრაობა კვლავ თოვლმწმენდების საშუალებით სწარმოებს (ადს).

—:—

ხარაგოული, 8 თებერვალი. ხარაგოულის მიდამოებში მოვიდა დიდი თოვლი. მიმოსვლა სოფლებს შორის შეწყვეტილია. მიღებულია ზომები რკინისგზის ხაზის გასაწმენდათ თოვლისაგან (ადს).

ჩოხატაური, 8 თებერვალი. განუწყვეტლივ თოვს. თოვლის სიღრმე დაბლობში აღწევს ერთ მეტრს, მთიან ადგილებში-ორს. კავშირი სად. საჯავახოსთან და სოფლებთან შეწყვეტილია (ადს).

„განიარაღების“ კონფერენციაზე

ტარდიე ულტიმატიურად მოითხოვს

საფრანგეთის იმპერიალიზმის პროგრამის მიღებას

ტარდიეს გამოსვლა

ჟენევა, 8 თებერვალი. განიარაღების კონფერენციაზე დაიწყო საერთო კამათი. ინგლისის დელეგატის საიმონის შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის დელეგაციის მეთაური ტარდიე.

ტარდიეს სიტყვა არსებითად წარმოადგენ და ულტიმატიურ მიმართვას კონფერენციისადმი: ან მიიღოს საფრანგეთის სქემა ან კონფერენცია ჩაშლილი იქნება. შეიარაღების შემცირების პრობლემის ძირითად პირობებად ტარდიე თვლის უშიშროების გარანტიას, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და თითეული ქვეყნის გეოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა თავისებური პირობების ათვალისწინებას. ტარდიე მოაგონებს კონფერენციას ინგლისის და შეერთებული შტატების დეკლარაციას „ჯერ კიდევ 1919 წელს“, რომ საფრანგეთის უშიშროება არ არის საკმაოდ უზრუნველყოფილი და აცხადებს: „არ უნდა ჰქონდეს ადგილი არავითარ შენიშვნებს და გაჭიანურებას. საჭიროა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება საფრანგეთის წინადადებების გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენცია ჩაიშლება“ ა(დს).

გერმანიის პრესა ტარდიეს გამოსვლის შესახებ

ბერლინი, 8 თებერვალი. გერმანიის პრესა ტარდიეს სიტყვას აფასებს, როგორც საფრანგეთის უკანასკნელ ყველაზე ძლიერ გამოსვლას განიარაღების წინააღმდეგ შემდგომი შეიარაღების დაცვით. მემარჯვენე „დოიჩე ტაგეს ცაიტუნგ“-ის აზრით, ტარდიე ანვითარებდა პროგრამას საფრანგეთის ჰეგემონიისას სამხედრო საფუძველზე და ამ პროგრამას ახალებდა „მშვიდობიანობისათვის“ ბრძოლის საქმეთ ა(დს).

„ტარდიეს პროექტი—მოწოდებაა საბჭოთა კავშირთან ბრძოლისაკენ“

ლონდონი, 8 თებერვალი. ეხება რა განიარაღების ფრანგულ პროექტს, ინგლისის კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერ“ მიუთითებს, რომ მთელი სქემა აგებულია ვერსალის ხელშეკრულების ძალით დაცვისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების დაჩქარების იდეის საფუძველზე.

„საერთაშორისო არმიის შექმნა ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ,—სწერს „დეილი უორკერ“,—მიმართულია რევოლიუციონური მუშათა კლასისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საფრთხე ინტერვენციონისტური ომისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახლა უფრო რეალურია, ვიდრე ოდესმე. 1930-31 წელში პრაღაში და პარიზში სწარმოებდა საფრანგეთისა და მისი ვასალების სამხედრო წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირებზე განხილული იქნა მომავალი ინტერვენციონისტური ომის სტრატეგიული გეგმები. თუ ერთი რომელიმე ქვეყანა დაიწყებს ომს საბჭოთა კავშირთან, საკმაო იქნება იმისათვის, რომ ერთა ლიგამ მოახდინოს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყველა ძალების მობილიზაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ეხება რა მე-2 ინტერნაციონალის როლს „დეილი უორკერ“ განაგრძობს:

„სოციალ-დემოკრატიის მთელი პოლიტიკა მიმართულია ინტერვენციისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს აიხსნება იმით, რომ სოციალ-დემოკრატია მჭიდროთ არის დაკავშირებული კაპიტალისტური სისტემის აპარატთან“ (ადს).

ვანდერველდე ვერსალის ხელშეკრულების სადარაჯოზე

ჟენევა, 8 თებერვალი. კონფერენციის დილის სხდომაზე მოხდა ბურჟუაზიულ და სოციალ-ფაშისტურ ორგანიზაციების მიერ შეკრებილ პეტიციების გადაცემა. პეტიციების გადაცემის ცერემონიის დამთავრების შემდეგ გამოვიდა ლორდი სესილი.

ერთა ლიგის კრიტიკოსის როლი ლორდი სესილი იცავს შეიარაღების თანასწორობის პრინციპს და მოუწოდებს უთანასწორობის მოსპობისაკენ გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის.

შემდეგ მეორე ინტერნაციონალის სახელით გამოვიდა ვანდერველდე, რომელმაც განაცხადა, რომ არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო საშიში რამე, ვიდრე ქვეყნების დანაწილება გამარჯვებულებად და დამარცხებულებად. მაგრამ, ამასთანავე, ვანდერველდემ ხაზი გაუსვა ვერსალის ხელშეკრულების მტკიცედ დაცვის საჭიროებას და გაილაშქრა „სამშვიდობო“ ხელშეკრულებების საფუძველზე განიარაღებული ქვეყნების შეიარაღების წინააღმდეგ. შემდეგ ვანდერველდემ, ტარდიეს მანევრებთან შეფარდებით, წინადადება შეიტანა მოეწყოს საერთაშორისო კონტროლი სამხედრო ბიუჯეტზე, სამხედრო მრეწველობაზე და საერთაშორისო ვაჭრობაზე სამხედრო მასალებით.

ვანდერველდეს კრიტიკაც არ დაუძრავს განიარაღებაზე

საერთაშორისო სოციალ-ფაშიზმის ლიდერი თავის გამოსვლაში შეეცადა მიეჩქმალა როლი სოციალ-ფაშიზმისა, როგორც იმპერიალისტური პოლიტიკის აქტიური გამტარებლის, შეიარაღების დარგში შეჯიბრების, ახალი ომისა და ანტი-საბჭოთა ინტერვენციის მზადების, მზადების აქტიური მონაწილის.

ასეთივე იყო ჟუოს გამოსვლაც ამსტერდამის ინტერნაციონალის სახელით.



ვანდერველდე

თვალის ამხვევი მუშაობა გაჩაღებულია

(„პრავდა“-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჟენევა, 7 თებერვალი. დღეს კონფერენციაზე მეფობს „მშვიდობიანი“ განწყობილება. ტარდიეს გუშინდელ ეშმაკურ მემორანდუმ-ს შემდეგ და ხვალინდელ აყალ-მაყალის წინ ეს განსაკუთრებით „გულის ამაჩუყებელია“. დღეს მიმდინარეობს „საპეტიციო“ გამოსვლების სერია, რომელსაც ხანს მთელი პროცესია ბევრი დეკლარაციებისა მხრებზე გადაკრულ ლენტებით. თითეულ ლენტზე აღნიშნულია სახელმწიფო, რომელსაც წარმოადგენს ესა თუ ის ქალბატონი. ქალბატონებს თან მიაქვთ მთელი დასტა ქაღალდებისა შეკრული ცისფერი ლენტებით - ხელმოწერილი ფურცლები ომის წინააღმდეგ. სამი ქალბატონი ადის ტრიბუნაზე და ერთად კითხულობენ განცხადებას იმის შესახებ, რომ ომი ცუდი საქმეა და რომ ეხლანდელი კონფერენციის შემდეგ ომი არ უნდა იქნას. თითეულ ქალბატონს ხელსახოცზე გადაკრული აქვს თეთრი არშია წარწერით: „მშვიდობიანობა“.

ლორდი **სესილი** ესალმება კონფერენციას „ერთა ლიგის მეგობართა საზოგადოებების“ სახელით. საბრალო! ის გააპანჩურეს ინგლისის დელეგაციის შემადგენლობიდან, როგორც გზა-აბნეული და თავისი უფროსების არასაკმაოდ მტკიცე წარმომადგენელი. დღესაც იგი ინგლისის მოთხოვნილებებში საფრანგეთის წყალქვეშა ფლოტის შემცირების შესახებ ურევს საფრანგეთის თეზისს გარანტიებისა და გერმანიის წინადადებას „სამხედრო გათანაბრების“ შესახებ.

დაბოლოს, პროგრამის ყველაზე თვალსაჩინო ნომერი—**ვანდერველდე** ჟუოს დიტრონის თანხლებით.

დრამატიულად აწეული ხმით მე-2 ინტერნაციონალის თავმჯდ. მარე ჩამოთვლის პარტიებს, რომელთა სახელით ის მოვიდა მშვიდობიანობის მოსათხოვათ. მომენტთან შეფარდებით განსაკუთრებით ხაზგასმით იხსენიება შორეული აღმოსავლეთი.

რა გაეწყობა: იაპონელი რეფორმისტები მთლიანად უჭერენ ხარს შანხაის სასაკლაოს! ორატორი რადიკალური და მშურვალეა, როგორც არასდროს. ის ამბობს, რომ ხალხთა მოთმინების ფიალა აივსო. ის მიუთითებს, რომ დამარცხებული ქვეყნები არათანასწორ პირობებში იმყოფებიან გამარჯვებულებთან შედარებით. ის „იმუქრება“, რომ ომის შემთხვევაში მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მუშათა მასები უარს იტყვიან ბრმათ წასვლაზე წინ. სიტყვა აჭრელებულია იმავე ფრაზებით, რასაც იგივე ორატორები ლაპარაკობდნენ ბაზელის კონგრესზე 1912 წელს, მსოფლიო ომის წინ, რომელშიაც სოციალ-მოღალატეებმა სასიკვდილოდ გაგზავნეს მილიონი პროლეტარები.

ვანდერველდე აშინებს კონფერენციას კომუნიზმის აჩრდილით. „თუ ქვეყნიერებას თავს დაატყდა სამხედრო კატასტროფა, მთელ რიგ ქვეყნებში შეიძლება მოხდეს ის, რაც მსოფლიო ომის შემდგომად მოხდა ევროპის ერთ ნაწილში 1917 წლის შემოდგომაზე“. ის მოუწოდებს „კონფერენციაზე შეკრებილ სახელმწიფო გვამებს სიფრთხილისა და კეთილგონიერებისაკენ“ და განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ კონფერენციას მეთაურობს მე-2 ინტერნაციონალის ყოფილი თავმჯდომარე და შემდეგ ბრიტანეთის მინისტრი—ჰენდერსონი.

კონფერენცია [illegible] მეგობრულად ესალმება ორატორს, დიახაც რომ! ძნელი გამოსაგონებელია უფრო შესაფერი ფიგურის გამონახვა მსოფლიო სოციალ-ფაშიზმის წარმომადგენლობისათვის ჟენევის საკრებულოში. კაცი, რომლის ხელის მოწერა ამშვენებს ვერსალის ხელშეკრულებას, კაცი, რომელიც ომის შემდეგ იყო მინისტრი [illegible]ერობაში, რომელმაც დასდო ახალი სამხედრო ხელშეკრულება საფრანგეთსა და ბელგიას შორის—ეს არის თავის კაცი ტარდიესთვის. სხვა ვინ, თუ არა მან უნდა ილაპარაკოს „მუშათა კლასის სახელით“?

ვანდერველდეს შემდეგ გამოდის ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენელი. მაგრამ მას ცუდად უსმენენ, რამდენიმე წუთის შემდეგ მისი ხმა იფარება სკამების გაწევა-გამოწევის ხმაურობაში.

„ჟურნალ დე-ჟენევ“-ის საღამოს გამოცემა აღფრთოვანებულია, რომ „კონფერენცია თავის მუშაობის დაწყებისთანავე მჭიდროთ დაუკავშირდა მსოფლიო საზოგადოებრიობას“.

პრესა დაჟინებით სდუმს იმის შესახებ, რომ კონფერენციაზე დაშვებული არ არიან მთელი რიგ იმ ქვეყნების ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები, რომ ... შეიარაღებულ ბანაკებს წარმოადგენენ. განა საჭიროა ლაპარაკი იმ ათეულ მილიონ მსოფლიო შეკავშირებულ რევოლიუციონურ პროლეტარებზე, რომლებიც არა ჟენევაში ეძებენ დაპირისპირებას ახალი მსოფლიო ომისათვის? მსოფლიო მილიტარიზმმა ჟენევაში მიიღო თავის პოლიტგანყოფილებათა და ქალთა განყოფილებების ალლუმი.

მიხეილ კოლცოვი.

იაპონიის იმპერიალისტები ემზადებიან

პეიპინ-ტიანძინის ოკუპაციისათვის

გენერალური შეტევა უსუნზე

შანხაი. 8 თებერვალი დღეს იაპონელებმა დაიწყეს გენერალური შეტევა უსუნზე. უსუნის ფორტები და აგრეთვე ქ. ბაო (ორი სამი კილომეტრის მანძილზე უსუნიდან) მიწასთან არის გასწორებული. იაპონელებმა დაიკავეს სანაპირო ფორტები.

ინგლისის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება

ლონდონი. 8 თებერვალი. ინგლისის კომპარტიის პოლიტბიურომ პარტიის ყველა წევრებს მიმართა მოწოდებით გააჩაღონ ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. კომპარტიის პოლიტბიურო აცხადებს, რომ იმპერიალიზმი პირუტყვივით სპობს მრავალ ათას ჩინელ მუშას.

„ჩინელი მუშები—ჩვენი ამხანაგებია, — ნათქვამია მოწოდებაში. მსოფლიო იმყოფება ახალი 1914 წლის უფსკრულის წინაშე“.

პოლიტბიურო მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს დაუყოვნებლივ განიხილონ მასიურ კრებებზე ფაბრიკებსა და ქარხნებში ომის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. (ადს)

ზარბაზნები და ტანკები ტრაქტორ-მანქანების ნიღაბით

შორეულ აღმოსავლეთისაკენ განუწყვეტლივ იგზავნება საომარი მასალები

მოსკოვი, 8 თებერვალი. „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება:

„ბურჟუაზიული ორგანო „ველტბიუნე“ იუწყება, რომ ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთისაკენ გავიდა სამხედრო მასალით დატვირთული მრავალი გემი. გემების დოკუმენტებში აღნიშნულია, თითქო მათ მიაქვთ მანქანები, ტრაქტორები და სხვ. ნამდვილად კი გემებს მიაქვთ დინამიტი, თოფის წამალი, ზარბაზნები, აეროპლანების ნაწილები, ყუმბარები, რევოლვერები და სხვა. ევროპის ყველა ნავთსადგურებში (სამხრეთ სლავიაში, შვეციაში და ჩრდ. ევროპის ქვეყნებშიც კი) ამჟამად იტვირთება ასეთი „საქონელი“ ჩინეთისა და იაპონიისათვის. კამპრობა დინამიტით და სხვა ასაფეთქებელი ხიფით [illegible] „ლეგალურია“, მაგრამ მაინც ცდილობენ არ მიაპყრონ მუშების ყურადღება და დაჭფარონ ვადასატან ტვირთების ნამდვილი ხასიათი. დინამიტი იტვირთება არა თვით ნავთსადგურში, არამედ სადმე მოშორებით, სადაც „საქონელს“ პატარა გემებიდან ტვირთავენ ოკეანეს გემებზე. სამხედრო მასალები ნორვეგიიდან და შვეციიდან მიდის ჰამბურგში, სადაც იწერება ახალი „საბარგო“ დოკუმენტები. აქედან გემები გადიან შორეულ აღმოსავლეთისაკენ. ჰამბურგის ნავთსადგურში „საქონელი“ განუწყვეტლივ იტვირთება დღისით და ღამით. აქ შეხვდებით იაპონელებს და ჩინელებს, რომლებიც აჩქარებენ სამხედრო მასალების გაგზავნას. მათ შორის ხშირად იმართება დავა იმის შესახებ, თუ სად უნდა გაიგზავნოს პირველ რიგში „საქონელი“. გემები მიდიან შანხაიში, გონკონგში, კობეში, იოკოგამაში, ტოკიოში.

გამოირკვა აგრეთვე, რომ სამხედრო მასალების დატვირთვა გემებზე უმთავრესად სწარმოებს გრანჯმუზენში (ელბაზე). საშუალოდ თითეული გემით იგზავნება 4000-5000 ტონა ასაფეთქებელი მასალა და ამუნიცია. ამ მასალებს გზავნის „კრუმელის“ დინამიტის ქარხანა, რომელიც ნობელის ფირმას ეკუთვნის“ (ადს).

საქ. განათლების მუშაკთა კავშირის მე-8 ყრილობა

მეშვიდე სხდომა

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება

ყრილობის მეშვიდე სხდომაზე 4 თებერვალს „პროგრამების და მეთოდურ ხელმძღვანელების შესახებ“ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქ. განათლების სახალხო კომისარი ამხ. მარიამ ორახელაშვილი. მომხსენებელმა დაახასიათა ის უდიდესი მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს კულტურული რევოლიუციის ფრონტზე, განსაკუთრებით საყ.-სავ. სწავლების გატარების დარგში 4-წლედისა და 7-წლედის ფარგლებში. სკოლების პოლიტექნიზაციის ჩატარება, წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია მთელ რიგ რაიონებში, დაწყებით და საშუალო სკოლის მოწაფეთა და მასწავლებელთა რიცხვის ზრდა, უმაღლესი სასწავლებლების ქსელის გაშლა, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მუშებისა და კოლმეურნეთა პროცენტის ზრდა და სხვ. მომხსენებელმა აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ ნაკლულოვანებებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 5 სექტემბრის ისტორიული დადგენილების რეალიზაციის დარგში დაწყებითი და საშუალო სკოლის გარდაქმნის შესახებ.

— საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 5 სექტემბრის დადგენილება მთელ რიგ რაიონებში მხოლოდ ფორმალურად არის დამუშავებული —აღნიშნა მომხსენებელმა. ამიტომ ეხლა გვესდება ამ დადგენილების ხელახლა დამუშავება. როგორც ცეკას ამ დადგენილებაშია აღნიშნული, ჩვენი სკოლის შინაარსი, მსოფლმხედველობა რადიკალურად განსხვავდება ბურჟუაზიულ-სქოლასტიურ სკოლიდან, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ შეეფერება იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს რომელსაც მას უყენებს თანამედროვე ეტაპი. სკოლის მუშაობის ხარისხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროგრამებს. სასწავლო პროგრამების [illegible] გამო ჩამორჩება უმთავრესად ჩვენი სკოლა ჩვენი განვითარების ტემპებს.

სასკოლო მუშაობის დარგში ჩვენ სასტიკ ბრძოლა გვეწარმოებს მემარჯვენე ოპორტუნისტებთან, რომლებიც უარყოფდნენ სკოლის პოლიტექნიზაციას და გვეწეოდნენ უკან. სიტყვიერი სკოლისაკენ (პისტრაკი [illegible] და სხვ.) აგრეთვე „მემარცხენე ელემენტებს“ (შულგინი, ვაგანიანი, კრუპენინა და სხვ.), რომლებიც აყენებდნენ სკოლის [illegible] თეორიას, სკოლისა და წარმოების გაერთიანების იდეას. „მემარცხენენი“ არ ცნობდნენ სკოლაში პედაგოგიური პროცესის ხელმძღვანელად მასწავლებლის როლს, იცავდნენ ანტილენინურ „პროექტების მეთოდს“, რომლის მასიურ გამოყენებას მივყავდით სკოლის სიკვდილამდე [illegible]. მაგრამ სამწუხაროდ ყველა ამ ანტილენინურმა გადახრებმა თავისი გამოხატულება ფართოდ ჰპოვა გასულ წელში საქართველოს განსახკომის მიერ გამოცემულ პროგრამებშიც. აღნიშნული პროგრამები მთლიანად შედგენილია პროექტების მეთოდის საფუძველზე, რომელიც მოწაფეებში ავითარებს მხოლოდ ვიწრო პრაქტიკული ცოდნის მიღების ჩვევებს. პირველსა და მეორე ჯგუფის მოწაფეებს ეს პროგრამები დასამუშავებლად აძლევდა ისეთ პროექტებს, რომლის დამუშავება მათ არ შეეძლოთ (მაგ., ხუთწლიანი გეგმის დამუშავება მეორე ჯგუფში და სხვ.) ამ პროგრამებში აგრეთვე არ იყო გატარებული კლასობრივ-პედოლოგიური თვალსაზრისი. ამ მეთოდით მუშაობა აგრეთვე გამორიცხავდა მასწავლებლების როლს სკოლიდან და მთავარ ყურადღებას აქცევდა მოწაფეს, რაც ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ არ გვესმის სკოლა ისე, სადაც პედპროცესის მთავარი ხელმძღვანელი თუ მასწავლებელი არ არის. არსებითად ეს „მემარცხენე“ ხაზი [illegible] გამოხატულებაა შულგინის, ვაგანიანის და სხვების ანტილენინური თეორიების გაზიარებისა. [illegible] „მემარცხენე“ ხასიათის შეცდომები დაუშვა საქ. განსახკომის ორგანო ჟურ. „კულტ. აღმშენებლობამ“, რომელშიაც განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული პროექტების მეთოდის პოპულარიზაციას და არც ცეკას დადგენილების შემდეგ გამოუსწორებია ჟურნალს თავისი შეცდომები. განსახკომმა 5 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე შეადგინა წერილი „სკოლის მუშაობის მაღალი ხარისხისათვის“, მაგრამ იქაც უამრავი დამახინჯებანი იყო, შეცდომებია დაშვებული პედაგოგიურ ქრესტომათიაში და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს აღნიშნული დადგენილების, თანახმად ჩვენ გადამუშავებული ახალი პროგრამები მზად უნდა გვქონოდა პირველ იანვრისათვის, მაგრამ ეს დაგვიანდა, რადგან ჩვენ მოგვიხდა ყველა პროგრამის და გეგმის მთლიანად უარყოფა და ახალის შედგენა. ახალი პროგრამები იქნება სავალდებულო პროგრამები, რომელსაც თან ექნება განმარტებითი ბარათი თუ რომელი მეთ. და როგორ უნდა ისწავლებოდეს თითეული საგანი. პროგრამის უმთავრესი ამოცანაა ახალგაზრდების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის უზრუნველყოფა. თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთთან ორგანიულად დაკავშირება სწავლების დარგში ეს კი პირველ რიგში ნიშნავს პროგრამების გაპოლიტეხნიკურებას. საჭიროა პროგრამით მოწაფეებს, როგორც მარქსი ამბობდა, მივცეთ ისეთი ცოდნა, რომელსაც იგი გამოიყენებს არსებული მდგომარეობის გარდასაქმნელად, მის შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში. ამიტომ სხვადასხვა ახალი იქნეთი მეთოდების გამოყენებას სკოლაში, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

ახალი პროგრამები შედგენილია ცალკე საგნების მიხედვით. მაგ., ქართული ენის ცალკე, ფიზიკის ცალკე, მათემატიკის ცალკე და სხვ. თითეული საგნის სწავლებისათვის კი საჭიროა ცალკე მეთოდი, ხოლო საგნების ცალკე მეთოდებით სწავლების [illegible]თან დასაკავშირებლად უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური მეთოდი, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპლექსური მეთოდის გამოყენების დროს ხშირად ადგილი აქვს დამახინჯებებს. ასე მაგ., რუსეთში ერთ-ერთ სკოლაში თურმე ლაგარითმების კომპლექსურად სწავლებას უკავშირებდნენ რქოსანი საქონლის სწავლებას და სხვა, რაც უხეში შეცდომაა. საჭიროა კომპლექსური მეთოდი სწორად იქნას გამოყენებული. მისი საშუალებით უნდა დავამყაროთ მჭიდრო კავშირი საგნებს შორის, უზრუნველვყოთ თეორიული და პრაქტიკული სწავლების ერთმანეთთან ორგანიულად დაკავშირება და მოწაფის მარქსისტულ-ლენინურად აღზრდა.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი შეეხო სკოლებში შრომის დისციპლინის მოწესრიგებას, სკოლის თვითორგანიზაციას, პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობას. განსახკომს უკვე შემუშავებული აქვს მოწაფეთა თვითმმართველობის, სკოლის ერთმმართველობის, პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციების დებულებები, რომელიც უახლოეს ხანში გამოქვეყნდება. საჭიროა აგრეთვე აღრიცხვის მოწესრიგება სკოლებში. ჩვენ მართალია წინააღმდეგი ვართ გამოცდების და ნიშნების დაწერის, მაგრამ მოვითხოვთ ჯგუფებისა და ბრიგადების მუშაობის სწორ აღრიცხვას.

სკოლების პოლიტექნიზაციის გატარების დარგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებსა და წარმოებებს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულების შემოწმებას. გასულ წელში დადებული ხელშეკრულებები მთელ რიგ შეცდომებს შეიცავს, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ. პოლიტექნიკურ სკოლაში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ის აქტიური მეთოდები, რომელიც ხელს შეგვიწყობს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინურად აღზრდაში. ასეთი მეთოდებია კვლევითი, ლაბორატორულ-ბრიგადული, კომპლექსური, ექსკურსიული, ცოცხალი საუბრების და სხვ. მეთოდები. კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლებში კი მოწაფეთა შორის პოლიტეხნიკური ცოდნის გამომუშავებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწის ნაკვეთებში მუშაობას.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი შეჩერდა სკოლაში მასწავლებლის როლის განმტკიცებაზე, ინსტრუქტორების მუშაობაზე, საბაზო სკოლებზე, დაუსწრებელი ინსტიტუტის მუშაობის გარდაქმნაზე, მეთოდურ პროგრამულ მუშაობას პედინსტიტუტის მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის მუშაობაზე და მთელი კულტურული მშენებლობის ახალი ვითარების თანამედროვე ეტაპის გაზრდილი მოთხოვნილების საფუძველზე გარდაქმნის აუცილებლობაზე.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენების დამთავრების შემდეგ „პედაგოგიური და მეთოდიური კადრების შესახებ“ თანამოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. აგრბა. „სკოლის მართვა და ხელმძღვანელობის შესახებ“. აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ნაკაიძე, და დაწყებითი და საშუალო სკოლების მატერიალურ ბაზის შესახებ. სამხრეთ-ოსეთის საოლქო განათლების განყოფილების გამგე ამხ. ჯიჯოევა, რის შემდეგ დაიწყო კამათი.

რესპუბლიკანური კულტესტაფეტა

ა.-კ. ფედერაციის 10 წლისთავისათვის

10 თებერვლიდან 10 მარტამდე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ტარდება ა.-კ. ფედერაციის 10 წლისთავის სახელობის კულტესტაფეტა, რომლის სტარტი იწყება დღეს 10 თებერვალს.

საქართველოში კულტესტაფეტის ჩასატარებლად გამოყოფილია რესპუბლიკანური ხელმძღვანელი შტაბი, რომლის პირველი თათბირიც გაიმართა გუშინ პროფაბჭოში. ესტაფეტის ჩასატარებლად შტაბმა შეიმუშავა 6 მარშრუტი: 1) წერა-კითხვის სრული ლიკვიდაციისათვის, 2) კულტ. პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა—პირით წარმოებისა და კოლექტივიზაციისაკენ, 3) მარქსისტულ-ლენინური აღზრდა-დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ, 4) დაბალი და საშუალო სკოლის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილების სრული რეალიზაციისათვის. 5) გაზაფხულის თესვის კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის და სხვ.

სამარშრუტო საკითხების შესასწავლად და ადგილებზე ამ მხრივ არსებული მდგომარეობის გამოსაკვლევად უნდა იქნენ გამოყოფილი კულტარმიელთა რაზმები, რომლებსაც უხელმძღვანელებენ სპეციალურად დანიშნული უფროსები.

რაიონებში და ავტონომიურ რესპუბლიკაში ესტაფეტის ჩასატარებლად გამოყოფილი იქნებიან ადგილობრივი ხელმძღვანელი შტაბები.

10 მარტისათვის გადაწყვეტილია ესტაფეტის ჩატარებაში მონაწილე კულტარმიელების სრულიად რესპუბლიკანური შეკრების მოწვევა.

კომკავშირული საკოლმეურნეო რესპუბლიკანური თათბირი

7 თებერვალს, საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა საქ. კომკავშირის რესპუბლიკანური თათბირი. თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: საქართველოს კომკავშირის ამოცანები კოლმეურნეობათა-სამეურნეო პოლიტიკური განმტკიცების და 1932 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში.

დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირმა მოისმინა საქ. კომკავშირის ცეკას მდივნის ამხ. პ. აზარაშვილის მოხსენება. საქ. კომკავშირის ამოცანების შესახებ, კოლმეურნეობათა სამეურნეო, ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცების და 1932 წლის საგაზაფხულო თესვის საქმეში.

ამხ. აზარაშვილი ვრცლად შეჩერდა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებზე საკოლმეურნეო მშენებლობაში. მომხსენებელმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა გლეხთა საკითხში დაშვებულ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს და აღნიშნა, რომ გამოსწორებისათვის პასუხისმგებელია კომკავშირის ორგანიზაციაც. ბევრი ფიქრობდა, თითქოს ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებში კომკავშირს არ მიუძღვის ბრალი, ეს რასაკვირველია, შეცდარი აზრია.

ამხ. აზარაშვილმა მოიყვანა ადგილებიდან მთელი რიგი კონკრეტული ფაქტები, იმის დასამტკიცებლად, რომ კომკავშირის ორგანიზაციები უშვებდნენ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს (თელავი, სიღნაღი, ჩხარი, ზესტაფონი და სხვ.). შეცდომები გამომჟღავნებულია. ეხლა საჭიროა კომკავშირის ორგანიზაციებმა [illegible] შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების პრაქტიკულად რეალიზაციისათვის, რომელიც წარმოადგენს ა.-კ. ფედ. რესპუბლიკების გაშლილ სოციალისტური მშენებლობის პროგრამას და ამ საფუძველზე სწრაფი ნაბიჯით გავსწიოთ წინ.

ამხ. აზარაშვილის მოხს. ირგვლივ გაიხსნა კამათი, პირველ სხდომაზე კამათში გამოვიდნენ ამხ. (ზუგდიდი) კოკილაშვილი, (თელავი) ქუჩრაშვილი, (გურჯაანი) და ლუარსაბიშვილი (თბილისი). კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ძველი ხელმძღვანელობის უხეშ შეცდომებს და იმ უყურადღებობის კონკრეტულ ფაქტებს, რომელსაც ცეკას ძველი ხელმძღვანელობა იჩენდა, საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. ორატორებმა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ გამოამჟღავნეს ადგილებზე კომკავშირის ორგანიზაციების მიერ დაშვებულ შეცდომები და სახავდნენ მათი გამოსწორების კონკრეტულ გზებს.

8 თებერვალს დილის და საღამოს სხდომებზეც გაგრძელდა კამათი ამხ. აზარაშვილის მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგზე მეტმა.

კამათის და ამხ. აზარაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლუციები კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციულ პოლიტიკური განმტკიცების და 1932 წლის საგაზაფხულო თესვის საქმეში, საქართველოს კომკავშირის ამოცანების შესახებ, რის შემდეგ თათბირიც დაიხურა.

ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის გარდაცვალება

7 იანვარს თბილისში გარდაიცვალა დამსახურებული საზოგადო მოღვაწე და მწერალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

დამკრძალავი კომისია

საბჭოთა მწერლების ფედერაციასთან შესდგა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მარიამ ორახელაშვილი, ს. თოდრია, ნინო ნაკაშიძე, შალვა კილურაძე, პან. ჩხიკვაძე, ნ. ზომლეთელი, ტიც. ტაბიძე, რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი, ა. ჭუმბაძე, ნ. მიწიშვილი, დ. სულიაშვილი, ა. მაშაშვილი, პროფ. გ. ახვლედიანი, ნინო ძიძიგური, პ. კეშელავა, ან. ციკანაძე და ნოე დონდუა.

ანასტასია წერეთელი დაკრძალული იქნება მთაწმინდაზე

კომისიის დადგენილებით ანასტასია თუმანიშვილი - წერეთლისა დაკრძალული იქნება მთაწმინდის პანთეონში პარასკევს, 11 იანვარს, ამ დღეს, დილით ცხედარი საკუთარი ბინიდან გადმოსვენებული იქნება განათლების მუშაკთა სახლში, საიდანაც გამოსვენება მოხდება ნაშუადღევის 4 საათზე.

დაკრძალვის ხარჯები იკისრა მთავრობამ.

ოფიციალური განყოფილება

საქართველოს ს. ს. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

19131-32 წლის ზამთრის გადაზიდვების პერიოდში რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან წარმატებით ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ

1. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებსა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს გაუწიონ დახმარება რკინის გზებს, უპირატესად სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან შედარებით მუშა-ძალისა და ქაპანზიდვის ძალის მოგროვების საქმეში რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან ბრძოლისათვის.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—ისეთ შემთხვევაში, როდესაც თოვლის ნამქერებთან ბრძოლის საჭიროებით უზრუნველყოფა მუშა-ხელისა და ქაპანზიდვის მოგროვების წესით შეუძლებელია, გაიწვიონ, ამიერ-კავკასიის რკინის გზების დირექტორებისა და საექსპლოატაციო რაიონების უფროსების მოთხოვნით, მოსახლეობა ქაპანზიდვის შრომის ბეგარაზე მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და სასოფლო საბჭოებს—მიუჩინონ საცხოვრებელი სადგომები თოვლის ნამქერებთან ბრძოლისათვის გაწვეულ მუშა-ძალას და აგრეთვე შესაფერი ადგილები საზიდავთა და ცხოველთა დასაბინავებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ.-რე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1931 წ. დეკემბრის 23.
თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის კადრების განყოფილებაში ამხ. ორჯონიკიძესთან დილის 11 საათისათვის გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ცინცაძე (მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი), მახარაშვილი (შრომის სახალხო კომისარიატი), ქიქინაძე (კოლმეურნეობათა ცენტრი), ცაგარელი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), კადრების სექტორის გამგე (სამკურნალო-ტექნიკური ნედლეული).

ამხ. ბილანიშვილს წინადადება ეძლევა გამოცხადდეს ამხ. ბენიაშვილთან.

—:—

ა.-წ. 10 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ნარიმანოვის სახელობის კლუბში შესდგება საქართველოს ლ.ა. კომკავშირის 26 კომუნარის სახელობის სარაიონო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი აქტივთან ერთად. დღის წესრიგი: 1. კომკავშირული ბილეთის გამოცვლის შესახებ; 2. საკონფლიქტო კომისიების მუშაობის გარდაქმნის შესახებ, 3. საკონფლიქტო კომისიების პლენუმის არჩევა.

—:—

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდნენ ც. კ-ის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში 11 თებერვალს დილის 12 საათზე (ოთახი № 15) ამხ. გარსევანიშვილთან: ცხოვრებაშვილი, ომარიძე (საქართ. პროფკავშირთა საბჭო), კუპრაშვილი („საქართველოს ჩაი“), ჩანკვევა (ამიერ-კავკ. სახვაჭრობა), კოხალეიშვილი (ამიერ-კავკ. გზათა ინჟინერების ინსტიტუტი), გაჩეჩილაძე (განათლების სახალხო კომისარიატი)

ა.-წ. 10 თებერვალს საღამოს 6 საათზე რკ. გზ. მე9-ე შრ. სკოლაში (პლეხანოვის 136) შესდგება სტალინის რაიონის მასწავლებელთა კომუჯრედის ღია კრება. რაიონში შემავალ სკოლების პარტ-წევრ კანდიდატების, ა.ლ.კ.კ-ის წევრებისა და უპარტიო მასწავლებლების დასწრება აუცილებელია.

—:—

საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი 10 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში იწვევს რაიონის ყოველი დარგის პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტების თათბირს უჯრედების კულტურულ - საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან ერთად. დღის წესრიგი: 1. პარტგანათლების ქსელის მდგომარეობა რაიონში. 2. პროპაგანდისტთა სემინარების მოწყობის შესახებ, 3. მიმდინარე საკითხები. წინადადება ეძლევა ზემოხსენებულ ამხანაგებს დაუგვიანებლივ გამოცხადდნენ. პარტუჯრედ. მდივნებმა უნდა უზრუნველყონ მათი დროზე გამოცხადება. იწარმოებს აღრიცხვა.

—:—

„26“ კომუნარის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება იტყობინება, რომ ა.-წ. 16 თებერვალს საღამოს 6 საათზე „26“ კომუნარის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების შენობაში (კახეთის ქუჩა № 1, მე-3 სართ., ოთახი № 9) გაიმართება „26“ კომუნარის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის სექტორის შტატგარეშე ინსტრუქტორების თათბირი. ყველას გამოცხადება სავალდებულოა.

სახელმწ. ოპერა
10 თებ. 6 აბ 7 წარ. ქარმენი
11 თებ 8 აბ 7 წ. ს. ი. მიგაის მონაწ. სევილ. დალაქი. 6 თებერ. „რიგოლეტო“-ზე აღებ. ბილ. ძალაშია 11 თებერვ.
12 თებ 13 აბ 9 წარ. ტრილბი
13 თებ. აბ გარ. მუხტაროვას პირ. გამ. მიგაის მონაწ. ქარმენ
13 თებ. ფატმა მუხტაროვას პირვ. გამოსვლა ს. ი. მიგაის მონაწ. აბონ. გარეშე ქ ა რ მ ე ნ ი. ბილეთები იყიდება. წარმოდგენა იქნება საღ. 8 ს. აბონენტები, რომელთაც არ გადაუხდიათ 15 წარმოდ. აბონემენტი მე-7 შესატანი და 10 წარმოდ. აბონემენტის მე-6 შესატანი წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრ. წესით. ნ. 279

რუს. თეატრი
11 თებერვ აბონემენ. გარეშე განგაში
12 თებერვ აბონემენ. გარეშე თეთნულდ
13 თებერვალს აბონ. გარეშე ლამარა
დასაწყისი სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. ნ. 273

სახ. დრამა
10 თებ 2 აბ 6 წ. კური
11 თებ აბონ გარ როგორ ბეგლარის როლში უშანგი ჩხეიძე
14 თებ 4 აბ 7 წ მოსუსი ენთუზიასტი
უკანასკნელი ვადა მე-6 გადასახადისა არის 10 თებერ., რის შემდეგ გაუქმებული იქნება ყველა დაუფ. აბონემენტები. ნ. 282

ხმოვანი კინო ოქტომბერი (ყ. აპოლო) სეან. 12.2.4.6-30.8-30.10-30.
დღის კინო სპარტაკი სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო სპარტაკი სეან. დას. 6. 7-30. 9. 10-30.
კინო დამკვრელი (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6. 7-30. 9, 10-30.
რ. ლიუქსემბურ. სახ. (ყოფ. [illegible]) სეან. დას. 6-30. 8. 9-30. 11.
კინო დარბაზი სეან. დას. 6. 7-30 9 10-30

უკანასკნელი დღეები ახალი [illegible]
მხატვ. სურ. [illegible]
რეჟ. ბერიშვილი, ოპერ. პოლიკევიჩი
ამერიკული მხატვრული ფილმი შავი ციკლონი
გაროლდ ლოიდი სურათში მორცხვი
ნინა ლი მხატვრულ სურათში ზღვის ღელვის [illegible]
მის მენდ უკანასკნელი მე-3 სერია.

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.
დღეს და ყოველდღე ახ. პროგრამა
ნ. პ. გლადილშჩიკოვის და მისი [illegible] გამოსვლა
ბალანსის უდიდესი მიღწევა 3 [illegible]
სპორტსმენი [illegible]
საუკეთესო აკრობატ. [illegible]
ადამიანი ორკესტრი [illegible]
ნ. 283

ექიმი მ. ღ. ზანდუკელი შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკურ. კაბინეთი. პეტრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღ. 7—8. ტელ. № 21-45. 25—18

ქალ. თბილისის მომარაგების მომწესრიგებელი განყოფილება
თანახმად თბილისის საბჭოს 20 ოქტომბრიდან № 194 სავალდებულო დადგენილებისა, აუწყებს თბილისის კომუნალურ სახლთა სამმართველოებს და კერძო სახლთა მფლობელობებს, რომ იმ სახლთმფლობელობებში და კერძო სახლებში, სადაც 15 თებერვლისათვის არ იქნება ჩამოყალიბებული მომარაგების სამეულები და ოქმები მარაგ სამეულის შემადგენლობის დასამტკიცებლად გადაგზავნილი სასურსათო საბუთების სექციაში ბამბის რიგი № 2-ში მათი მობინადრეები: (მუშა მოსამსახურეები და სხვა) მე 2 კვარტალის სასურსათო საბუთებს ვერ მიიღებენ რის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სახლთა სამმართველოებს და კერძო სახლთა მფლობელებს.
შენიშვნა: ა) იქ, სადაც სახლთა სამეული არსებობს სახლი მარაგსამეულით დაარსებული არ იქნება, უკანასკნელის მოვალეობის შესრულება დაეკისრებათ მასვე სახლთა სამეულს მხოლოდ მათი აღრიცხვისათვის საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ცნობები სამეულში შემავალ პირებისა.
ბ) ყოველგვარი ახსნა-განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით სახლთა სამმართველოებს და კერძო სახლთმფლობელებს შეუძლიათ მიიღონ ამხ. მხეიძესთან ბამბის რიგი № 2, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 12 საათამდე და საღამოს 6 საა-დან 10 საა-მდე.
მომარაგ. მომწესრ. განყ. გამგე ხვედელიძე.
სასურ. საბუთების სექციის გამგე შოვნაძე. ნ. 277

ჩქარა ახალი ხმოვანი ფილმი
=ერთი=
რეჟისორები: კოზინცევი და ტრაუბერგი
კომპოზიტორი—შოსტაკოვიჩი
„ერთი“—უდიდესი ნაბიჯია წინ. ეს არის არა მარტო თანამედროვე მხატვრების სურათი, არამედ აგრეთვე სურათი მხატვრების, რომლებიც შეგნებულად იძებენ თანამედროვეობაში მასალას თავისი შემოქმედების.
(ჟურნალიდან „თანამედროვე პროლეტ.-კინოსთვის“) 295

თანახმად საქართვ. ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის № 223 დადგენილებისა თბილისის საბჭოს მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ვინოგრადოვი-შოკატს ბაგრატის-ას. შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გ-ს და სახელის შოვკატია ახალ სახელზე კარ ნაზედ გამოცვლის შესახებ.
თბ. საბ. მმაჩის ბიურ. გამ. კოვზირიძე.
საქმისმწ. ფირცხალავა.

ექიმი პირაშკოვი ვლ. ვას. ყურის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამოობით 6—7 ს. ფლეროვსკის ქ. № 22. 13—1

ექიმი ა. დ. კეკელია სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა“-ს პირდაპირ, ტელ. 12—67. 25—16 8004

საბჭოთა მწერლების ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღ. 7 საათ. კალის № 5. (ყოფ. არტილერიის). დაკრძალვა მთაწმინდაზე 11 თებერვალს. 2-1 1043

სოფელ ნოსირში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბაგრატ გესარიონის-ძე კიზირია. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1037

სახელმძღვანელოების ავტორების, მთარგმნელების, რედაქტორების და კორექტორების საყურადღებოდ.
11 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, სახელგამი ხსნის ავტორების, მთარგმნელების, რედაქტორების და კორექტორების მოკლევადიან კურსებს, რომელზედაც დამუშავდება ქართული მართლწერის და ტერმინოლოგიის საკითხები.
კურსებზე დასწრება სავალდებულოა სახელმძღვანელოების ავტორების, მეტადრე მთარგმნელების, რედაქტორებისა და კორექტორებისათვის.
მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ სახელგამში ამხ. ორაგველიძესთან.
სახელგამის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ბიბინეიშვილი. ნ. 280

საქ. მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს ესაჭიროება ბუღალტრები და მოანგარიშეები საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ ხელფასი შეთანხმებით. მისამართი: ლენინის ქუჩა № 32. ნ. 278

ამბროსი, ელპიტი, ქეთო, შუშანიკა მახარაძეები, ელენე ვადაჭკორია მწუხარებით იუწყებიან ახლო ნათესავის საუკეთესო მეგობრის, განათლების მუშაკის აკვილინა თედ.-ას. მახარაძის გარდაცვალებას. 1027

ამხანაგები: თამარა ჩიქოლოვისა, თამარა გედევანიშვილისა. იარა ზაქაიძისა. თამარა ჩიქვაიძისა, ვლადიმერ ზაქაიძე, ადამა [illegible]ნიშვილი შალიკო ჩილაჩავა, ბაგრატ წონიკაშვილი იაბო სარუაშვილი იუწყებიან ანგელინა მახარაძის გარდაცვალებას. 1030

ფაცია მგელაძე ცხარე ცრემლით დასტირის ბავშობიდანვე მეგობრის გრიშა რაფიელის-ძე ცინცაძის უდროოდ დაკარგვას და გულითად თანაგრძნობას უცხადებს დამწუხრებულ ოჯახს. 1041

ნაზია და ქეთუშა ცინცაძეები ცხარე ცრემლით დავსტირით ძვირფას და დაუვიწყარ გრიშა რაფიელის-ძე ცინცაძის უდროოდ დაკარგვას. 1036

ძმა გიგა ცოლშვილით, ძმისშვილები: ბენია მენი, მიშა ლადო, ქეთო და ანანა მირიანაშვილები დავსტირით ძვირფას ძმის და ბიძის ნიკოლოზ ზაქ.-ძე მირიანაშვილის გარდაცვალებას 1038

დამწუხრებულნი: ქმარი ილიკო, შვილები: საშა, ლიუბა და ელენე ცაგარეიშვილები, სიძე გალაქტიონ ცქიტიშვილი პატარა მაყვალთი იუწყებიან, რომ გორის ჯიხაიშში, 12 თებერვალს, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ მართა ნინუა-ცაგარეიშვილის

ტყავდამმუშავებელ კოოპერატიული ამხ-ბა „დაბლუხი“-ს გამგეობა და წევრები თანამშრომლებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს ამავე ამხანაგობის დამაარსებელი გამგეობის წევრის სტეფანე ხარ.-ძე ტერ-გრიგორიანის გარდაცვალებას. დასაფლავება 12 თებერვალს, 4 საათზე. 2—1 1032

დამწუხრებული მშობლები: დედა ანნა, მამა დიმიტრი და მძღია. ძმა კოტიკო [illegible] იუწყებიან მათი საყვარელ გოგონას ნ უ ს ი კ ო ს ტრაგიკულად გარდაცვალებას. გასვენება 11 თებერვალს 5 საათზე პეტრიაშვილის ქ. № 14. ვერის ახალ სასაფლაოზე. 1035

ქიმ. ტექ. დარგის ახალ კურს დამთავრებულნი სტუდენტები უღრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ ამხ. ნ. ხნიზროვსკაიას ტრაგიკულად დაღუპვის გამო. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 საათზე, პეტრიაშვილის ქ. № 15. 1034

დამწუხრებული ცოლი მარომბა შვილებით: მოლა, მიხაკო, ოლია. სონია, ჭუჭულა. დარეჯანი, რძლები, შვილიშვილები: გივი, თამაზი, იუწყებიან ძვირფას ივლიანე ესეს-ძე სულუხიას გარდაცვალებას დაკრძალვა 11 თებერვალს ქ. ოზურგეთში. 1028

დამწუხრებული შვილები: ელენე ლლონტი, ნინა კეჭყმაძე. მარო ბურჭულაძე, თამარა ღოღობერიძე, ცუცა კიკილიძე ქმარ-შვილებით იუწყებიან საყვარელ და დაუვიწყარ ივლიანე ესეს-ძე სულუხიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ოზურგეთში, 11 თებერვალს. 1029

დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე ზაქარიას-ასული და შვილი [illegible] ტერ ნერსეს-ძე გორგაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, რომ თებერვლის 8 ს ქ. ზესტაფონში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ტერენტი რომანოზ.-ძე გორგაძე 1040

ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ [illegible] სამკერვალო არტელის წევრები ამავე არტელის წევრების ნინა ფეტვიაშვილის და იოსებ მარტიროზოვის უდროოდ გარდაცვალების გამო. 1036

უახლოესი მეგობრები: პ. გოგოლაძე, რ. ჯაფარიძე, მ. მოსეშვილი ქ. მიროტაძე, ნადია და თინა მესხი აუწყებენ საზოგადოებას მეგობარ [illegible] მამის ირაკლი კიკალიშვილის გარდაცვალებას. 1039

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 978